DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Abramishvili, R. / აბრამიშვილი, რ. / Абрамишвили,Р.М.
- Title: Tbilisi-Archaeological sites volume I / თბილისის არქეოლოგიური ძეგლები ტომი I / Тбилиси Археологические памятники том I
- Publication Date: 1978
- Publisher: Georgian Academy of Sciences, Center for Archaeological Studies
- Place of Publication: Tbilsi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_6970ea7541

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ძეგლები

თბილისი I

თბილისი

არქეოლოგიური ძეგლები



I

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

არქეოლოგიური კომისია
АРХЕОЛОГИЧЕСКАЯ КОМИССИЯ
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა
და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
АРХЕОЛОГИЧЕСКИЙ ЦЕНТР ИНСТИТУТА ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ И
ЭТНОГРАФИИ им. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

ТБИЛИСИ

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ

I

TBILISSI

SITES ARCHEOLOGIQUES

I

· МЕЦНИЕРЕБА ·
· METSNIEREBA ·

1978


IVE
3989

თბილისი

არქეოლოგიური ძეგლები

19170

I



• მეცნიერება •

1978

902.6 (C 1)
902.6 (47.922)
თ 388

ნაშრომში ქვეყნდება თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ქალაქის ტერიტორიაზე გათხრილი ენეოლით-ბრინჯაოს ხანის ძეგლები: დელისის ენეოლითური ხანის ნასახლარი, თრელის ბრინჯაოს ხანის ნასახლარი და სამაროვანი. განსაზღვრულია აღნიშნული ძეგლების ქრონოლოგია და არქეოლოგიური კულტურის ის წრე, რომელშიც ესა თუ ის ძეგლია მოქცეული. ნაშრომს თან ერთვის აღნიშნული ძეგლების დახასიათება და აღმოჩენილი ნივთების კატალოგი.

რედაქტორი რ. აბრამიშვილი

თ 10602 / M 607(06)—78 209—77 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978

წინასიტყვაობა

საქართველოში ოცდაათიანი წლებიდან ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დაგროვდა დიდძალი არქეოლოგიური მასალა, რომელიც ახლებურად აშუქებს საქართველოს ძველი ისტორიის პრობლემებს. აღნიშნული მასალის საფუძველზე არაერთი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებითაც. სამწუხაროდ, დღემდე უდიდესი ნაწილი ესოდენ საყურადღებო მასალისა გამოუქვეყნებელია. ძალზე მცირეა ისეთი ნაშრომები, სადაც მოცემულია მოპოვებული არქეოლოგიური მასალის სრული მეცნიერული პუბლიკაცია. ეს მნიშვნელოვნად აფერხებს ამ მასალის გამოყენებას და თითქმის შეუძლებელს ხდის მისი ანალიზის შედეგად გამოთქმულ მოსაზრებათა საფუძვლიანობის ყოველმხრივ შემოწმებას.

ყოველივე აღნიშნულის გამო, ქართული არქეოლოგიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს წლების განმავლობაში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის სრული პუბლიკაცია, რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს მკვლევართა ფართო წრისათვის. სწორედ ამ მიზანს ისახავს წინამდებარე ნაშრომი, რომელშიც ქვეყნდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1970—1972 წლებში გათხრილი ძეგლები — უძველესი დროიდან (ძვ წ. V ათასწლეული) ძვ. წ. XI ს.-მდე; კერძოდ, დელისის ენეოლითური ხანისა და თრელის ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელ ნასახლარებზე და თრელის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა. აღნიშნულ წლებში თრელის სამაროვანზე გათხრილი ძვ. წ. XI—VI საუკუნეების სამარხთა პუბლიკაცია გათვალისწინებულია მეორე ტომში. მომავლის საქმეს წარმოადგენს თრელის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნასახლარისა და ექსპედიციის მიერ გამოვლენილი სხვა ძეგლების გამოქვეყნება.

იმისათვის, რომ მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეექმნას თბილისის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიურ დიაპაზონსა და ხასიათზე, შესავლის სახით ვიძლევით ექსპედიციის მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების ძირითად შედეგებს. ნაშრომს თან ერთვის საპუბლიკაციო მასალის კატალოგი. კატალოგში ნივთების დეტალური აღწერისაგან თავი შევიკავეთ იმ მოსაზრებით, რომ იგი კომპენსირებულია თანდართული საილუსტრაციო მასალით და კვლევით ნაწილში მოცემული არქეოლოგიური ძეგლების ზოგადი დახასიათებით. ამის გამო კატალოგში აღნიშნულია ნივთის მხოლოდ ის ნიშნები, რომელთა შესახებაც საილუსტრაციო მასალა არ იძლევა სათანადო წარმოდგენას.

კატალოგი შეადგინეს რ. აბრამიშვილმა, ლ. აპრესოვმა, ნ. გიგუაშვილმა, დ. გოცირიძემ, კ. კახიანმა, ელ. კილასონიძემ, ნ. ოქროპირიძემ და ირ. სულთა-

ნიშვილმა. კატალოგის თავდაპირველი ვარიანტის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე, ალ. რამიშვილმა, სპ. წიქარიძემ და ნ. დათაშვილმა. რეზიუმეს, კატალოგისა და ნაშრომის სხვა ნაწილების ფრანგული თარგმანი ეკუთვნის ლ. აპრესოვს.

გარდა ზემოაღნიშნული თანამშრომლებისა, 1968—1972 წლებში თბილისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ვადით მონაწილეობდნენ: აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლები — ალ. ბოხოჩაძე, ნ. თუშიშვილი, კ. კვიჟინაძე, კ. მელითაური, გ. მირცხულავა, დ. მუსხელიშვილი, ლ. სახაროვა, ჯ. სონღულაშვილი, ო. ღამბაშიძე (უფრ. მეც მუშაკები), კ. კალანდაძე, ვ. ნიკოლაიშვილი, ქ. რამიშვილი, ზ. შატბერაშვილი (უმც. მეც. მუშაკები), აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები — ე. გოგაძე და დ. ცინცაძე (უფრ. მეც. მუშაკები), ხელშეკრულებით მოწვეული თანამშრომლები — მ. აბრამიშვილი, ლ. ახალაია, ნ. ბოსტაშვილი, ს. ბურდილაძე, ჯ. გვეტაძე, ნ. გუგეშიძე, გ. თოდუა, მ. თუშიშვილი, ქ. იორდანიშვილი, მ. კიკნაველიძე, ეს. მაჩაბელი, გ. მანჯგალაძე, მ. მარგველაშვილი, ვ. ნადარეიშვილი, ვ. სადრაძე, ლ. ფირცხალავა, მ. ქავშბაია, ნ. შატილოვა, ნ. ჩაჩავა, ვ. ჩიხლაძე, თ. ჭეიშვილი, დ. ჭილაშვილი, ირ. ხუნდაძე, თ. ჯღარკავა.

სამხატვრო სამუშაოები ეკუთვნის ნ. აბრამიშვილს, ლ. ანტენს, ნ. ამბრიაშვილს, ს. ბოლქვაძეს, გ. დანელიას, გ. კონიაშვილს, ეს. მაჩაბელს, ფ. ტოგონიძეს, მ. ქავშბაიასა და სპ. წიქარიძეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია თ. კვალიაშვილის და ლ. ანტენის ღვაწლი, რომელთა დახმარებით მაღალხარისხოვნად შესრულდა სამხატვრო სამუშაოების ძირითადი ნაწილი.

ტოპოგრაფიული სამუშაოები შეასრულეს დ. ყირიმელაშვილმა და ნ. ვარაზაშვილმა, ფოტოსამუშაოები — ვ. ავალიანმა, ვ. ასტახოვმა ვ. არჩვაძემ, ვ. თულაშვილმა, გ. კაზარიანმა, მ. კოზლოვსკიმ, ს. მუშეგოვმა და ა. ნუცუბიძემ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აგრეთვე ექსპედიციაში ხელშეკრულებით მოწვეულ თანამშრომელთა მიერ შესრულებული ის მეტისმეტად შრომატევადი სამუშაო, რომელიც აღმოჩენილი კერამიკის აღსადგენად ჩატარდა. სარესტავრაციო სამუშაოების მაღალი ხარისხი განსაზღვრა ამ სამუშაოთა ხელმძღვანელის კ. კახიანის დიდმა მონდომებამ და უნარმა.

დიდი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითადი შედეგები

დიდი თბილისის[1] არქეოლოგიური ექსპედიცია შეიქმნა 1972 წელს დიღმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე[2]. მისი ძირითადი მიზანია იმ არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა და შესწავლა, რომლებსაც ამა თუ იმ მიზეზის გამო დანგრევა-განადგურება მოელის. საკვლევი არეალის გაზრდამ, ბუნებრივია, გამოიწვია ექსპედიციის მეცნიერული პრობლემატიკის გაფართოებაც. თავდაპირველად ექსპედიციის მიზანი იყო დიღმის ხეობის მაგალითზე თვალი გაედევნებინა ხეობის, როგორც ისტორიული ერთეულის, განვითარებისათვის უძველესი დროიდან ფეოდალური ხანის ჩათვლით. დღეისათვის ექსპედიცია, აღნიშნულის გარდა, შეისწავლის მდ. მტკვრის ორივე სანაპიროზე არსებულ არქეოლოგიურ კულტურათა განვითარებასა და ურთიერთობას საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში და თბილისის გადედაქალაქების წინაპირობებს.

ექსპედიციამ მუშაობა დაიწყო თბილისის ტერიტორიაზე ადრე აღმოჩენილი მასალის შესწავლით[3]. პარალელურად ახდენდა დაზვერვებს. ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად გაირკვა, რომ თბილისის ყველა რაიონი საკმაოდ ადრეული დროიდან არის დასახლებული.

დღეისათვის გამოვლენილია 130-ზე მეტი არქეოლოგიური ძეგლი (ნახ. № 1). უდავოა, რომ შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად მათი რიცხვი ბევრად უფრო გაიზრდება.

ხელთარსებული მონაცემების მიხედვით, ქალაქის ტერიტორია უძველესი დროიდან საკმაოდ მჭიდროდ იყო დასახლებული.

თბილისის ტერიტორიაზე უძველესი ძეგლია დელისის ნასახლარი, რომელიც გამოვლინდა ვაჟა-ფშაველას გამზირზე წარმოებული მიწის სამუშაოების დროს[4]. ფერადი ტაბ. II$_1$

აღმოჩენილი მასალის სიმცირის მიუხედავად (ნახ. 4—6), დღეს უკვე ცხა-

---

[1] ტერმინი დიდი თბილისის ქვეშ იგულისხმებოდა ქალაქის ის ტერიტორიაც, რომელიც გენერალური გეგმის მიხედვით, 2000 წლისათვის დასახლებული უნდა იყოს. 1975 წლიდან ეს ტერიტორია უკვე მოექცა ქალაქის ფარგლებში (ნახ. 1).

[2] დიღმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია შეიქმნა 1968 წელს. თავდაპირველად მის ძირითად მიზანს შეადგენდა თრელიგორების ბორცვებზე არსებული იმ კულტურული ფენების შესწავლა, რომელიც დაზიანდა და გაშიშვლდა „თბილწყალსადენის“ სამმართველოს მიერ ჩატარებული მიწის სამუშაოების დროს. 1969 წ.-დან ექსპედიცია გათხრებს აწარმოებს ძირითადად იმ ტერიტორიაზე, სადაც გათვალისწინებულია საქართველოს სამხედრო გზის ე. წ. დიღმის კვანძის მშენებლობა.

მას შემდეგ რაც წინამდებარე ნაშრომი გადაცემულ იქნა დასაბეჭდად დიდი თბილისის არქეოლოგიურ ექსპედიციას კვლავ ეწოდა დიღმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია.

[3] თბილისის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საქმეში დიდი და ნაყოფიერი მუშაობა აქვთ ჩატარებული დ. ქორიძეს, გ. ლომთათიძეს, ი. გრძელიშვილსა და ო. ტყეშელაშვილს. მათ მიერ ჩატარებული კვლევა-ძიება დიდ დახმარებას უწევს ექსპედიციას.

[4] ნასახლარის დიდი ნაწილი განადგურდა სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შენობის საძირკვლისათვის ქვაბულის ამოღებისას.

დია, რომ ამ ძეგლს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიის უძველესი ისტორიის შესწავლისათვის. დელისის ნასახლარის მასალა პარალელებს პოულობს, ერთი მხრივ, ძვ. წ. V—IV ათასწლეულის პირველი ნახევრის ამიერკავკასიის ე. წ. ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის (ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრისა და III ათასწლეულის) მასალასთან. დელისის ნასახლარისადმი ინტერესი იზრდება იმის გამოც, რომ ამ ძეგლის კერამიკა რამდენადმე განსხვავდება რა შულავერ-შომუთეფეს ადრესამიწათმოქმედო კულტურის კერამიკისაგან, გარკვეულ მსგავსებას პოულობს ზემო იმერეთის სინქრონულ მასალასთან. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, დელისის ნასახლარის შემდგომ შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჯერ კიდევ არასაკმარისად შესწავლილ, ერთი მხრივ, ამიერკავკასიის ე. წ. ადრესამიწათმოქმედო და ადრებრინჯაოს ხანის კულტურათა, ხოლო მეორე მხრივ, შულავერ-შომუთეფეს კულტურისა და დასავლეთ საქართველოს სინქრონული ძეგლების ურთიერთდამოკიდებულების საკითხის გასარკვევად.

დელისის ნასახლარს დაახლოებით ძვ. წ. V ათასწლეულის დასასრულითა და IV ათასწლეულის პირველი ნახევრით ვათარიღებთ. ამგვარად, თბილისის ტერიტორიაზე არსებულ ნასახლარებს 6000 წლის ისტორია აქვს. უკვე დამტკიცებული სამშენებლო გეგმების მიხედვით დელისის ნასახლარს განადგურება მოელის. ეს ძეგლი წინასწარ აუცილებლად ყოველმხრივ უნდა იქნეს შესწავლილი.

თბილისის ტერიტორიაზე ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები უკვე არაერთ რაიონშია აღმოჩენილი: დიღმის მასივში, ვაშლიჯვარაში, დიდუბეში, საბურთალოზე (რამდენიმე ადგილას), ზემოავჭალაში და ზაჰესის მახლობლად.

შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები აღმოჩენილია ღრმაღელეში, ლილოში, დიღმის მასივსა და ფონიჭალაში.

თბილისის ტერიტორია განსაკუთრებით მჭიდროდ იყო დასახლებული გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. ამ პერიოდის ძეგლები გამოვლენილია ავლაბარში, ორთაჭალაში, ნავთლუღში, ვაშლიჯვარაში, დიდუბეში, ღრმაღელეში, ნაძალადევში, ავჭალაში, ზემოავჭალაში და მთაწმინდის ფერდობზე, თბილისის ზღვის მახლობლად, საბურთალოზე, დიღმის ველზე, შავნაბადასთან და სხვა ადგილებში. ხშირ შემთხვევაში ზემოჩამოთვლილ რაიონებში აღნიშნული პერიოდის რამდენიმე ძეგლია აღმოჩენილი.

თბილისი საკმაოდ მჭიდროდ იყო დასახლებული ანტიკურ ხანაშიც. ამ ხანის ძეგლები აღმოჩენილია ლენინის მოედნის მახლობლად, ორთაჭალაში, ავლაბარში, მთაწმინდის ფერდობზე, ვაკეში, დიდუბეში, ნაძალადევში, ღრმაღელეში, პლეხანოვის გამზირზე და მის მიდამოებში, დიღმის მასივში, ვაშლიჯვარაში, გლდანში, ავჭალაში და სხვა ადგილებში. გამოვლენილი ძეგლები უმთავრესად გვიანანტიკურ ხანას მიეკუთვნება.

თბილისის ტერიტორია მჭიდროდ იყო დასახლებული ფეოდალურ ხანაშიც. ამ ხანის ძეგლებიც ქალაქის თითქმის ყველა რაიონშია აღმოჩენილი (ნახ. 1).

თბილისის უძველესი ისტორიის შესასწავლად საჭიროა ჩატარდეს ფართო მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები ადრეფეოდალური თბილისის უძველეს რაიონებში — კალასა და ისანში. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის არსებული მონაცემების მიხედვით ეს ადგილები უკვე ძვ. წ. XIII საუკუნიდანაა დასახლებული.

დიდი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიცია გათხრებს აწარმოებს ძირითადად დიღმის მასივისა და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე.

დიღმის ველზე, მდ. მტკვრისა და მდ. დიღმისწყლის შესართავთან, საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ არსებობს უძველესი დროიდან დასახლებული ბორცვები „თრელიგორეები“ (ნახ. 2. ტაბ. II). ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანიდან დაწყებული, ფეოდალური ხანის ჩათვლით, აღნიშნულ ბორცვებზე და მათ მახლობლად აღმოჩენილი ძეგლები ამ ტერიტორიაზე უწყვეტი ცხოვრების არსებობაზე მეტყველებენ.

ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარის ნაშთები ძირითადად აღმოჩენილია დიღმისწყლის მარცხენა ნაპირზე, თრელიგორების სამხრეთი ბორცვების ძირში. ამ უბანზე ექსპედიციამ გათხარა რამდენიმე ურთიერთმონაცვლე კულტურული ფენა, რაც, თავის მხრივ, ამ პერიოდის დასახლების ხანგრძლივობაზე მიგვითითებს. აღნიშნული ფენები შეიცავენ მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელ კერამიკას (ნახ. 7—13, ტაბ. VI—XI). ქვედა ფენასთან დაკავშირებულ ორმოებში მტკვარ-არაქსის კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა მცენარეულჩანართებიანი თიხის ჭურჭელი (№№ 67, 123, 125, 130, 265, 267, 268, 284 და სხვ.). ფერადი ტაბ. III

როგორც ცნობილია, ე. წ. ბზენარევი კერამიკა დამახასიათებელია ამიერკავკასიის V—IV ათასწლეულის ძეგლებისათვის. მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ჭურჭლის ადრეული ფორმებისა და ე. წ. ბზენარევი კერამიკის თანაარსებობა გვაფიქრებინებს, რომ ნასახლარის ქვედა ფენები მიეკუთვნება ენეოლითის გვიან საფეხურს ან ენეოლითიდან ადრებრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდს (დაახლ. ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარი). ამ ნასახლარის ზედა ფენები კი ადრებრინჯაოს ხანისაა (დაახლოებით ძვ. წ. III ათასწლ).

ნასახლარის მახლობლად არსებობდა მისი სინქრონული სამაროვანი. აღნიშნული პერიოდისათვის დამახასიათებელია წრიულქვაყრილიანი ორმოსამარხები (ტაბ. XII$_1$). ზოგიერთ შემთხვევაში მიცვალებულის ჩონჩხი ოხრითაა შეღებილი (სამარხი № 26).

აღსანიშნავია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურისა და მისი წინამორბედი ძეგლების ურთიერთობის საკითხი სათანადოდ არ არის შესწავლილი. ამის ძირითადი მიზეზია ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ არ არის საკმარისად გამოვლენილი მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპისა და ამიერკავკასიის ე. წ. ადრესამიწათმოქმედო კულტურის დასასრულის ძეგლები, სადაც ამ ორი კულტურის ურთიერთობა აისახებოდა. აღნიშნულის გამო ამ საკითხების გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დელისისა და თრელის ნასახლარების ყოველმხრივ შესწავლას.

საზოგადოების შორს წასულ ქონებრივ და სოციალურ დიფერენციაციაზე მიგვითითებს თრელის სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის მიწურულის სამარხები. ამ სამაროვნის ერთ-ერთი ყველაზე მდიდრული სამარხი (№ 43) წარმოადგენს გრუნტში ამოთხრილ, ძელებით გადახურულ მოგრძო კამერას 5,5×2,2 მ-ზე. მასში აღმოჩნდა ოცზე მეტი თიხის ჭურჭელი, ორი ხარის თავის ქალა, კიდურები და წვრილფეხა რქოსანი საქონლის მთლიანი ჩონჩხი. გადასახურ ძელებზე ვნახეთ კიდევ რამდენიმე თიხის ჭურჭელი და მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ნეკნები — აღაპის ნაშთი. დაკრძალვის რიტუალი ადასტურებს ადამიანის მსხვერპლად შეწირვასაც. გადახურვის ჩამონგრეულ ძელებზე აღმოჩნდა მიცვალებულის დანახშირებული ჩონჩხი ძალზე მოკრუნჩხულ პოზაში. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მიცვალებული წინასწარ იყო

გათოკილი. მის მახლობლად აღმოჩნდა პასტის მძივები და პირამიდულთავიანი ბრინჯაოს საკინძი (ნახ. 18, 19, ტაბ. XIII—XVI). რადგან თვით სამარხში ადამიანის ჩონჩხის კვალიც კი არ აღმოჩენილა, საგულისხმოა მთავარი მიცვალებულის მთლიანი კრემაცია. სამარხი ძვ. წ. II ათასწლ. შუა ხანებით უნდა დათარიღდეს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თრელის სამაროვანზე აღნიშნული ხანის საზოგადოების რიგითი წევრების სამარხები საკმაოდ ღარიბია და ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ ერთ თიხის ჭურჭელს შეიცავს (სამარხი № 84, ნახ. 24).

ფერადი ტაბ. IV1–3

თრელის სამაროვნის ამ პერიოდის სამარხების ინვენტარი განსხვავდება თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებისაგან (ნახ. 19, 21, 24, 26) და, ინარჩუნებს რა თავის ლოკალურ თავისებურებებს, ყველაზე ახლოს დგას, ერთი მხრივ, შიდა ქართლის (ნული, ქვასათალი, კასპი და სხვ.), ხოლო მეორე მხრივ, კახეთისა და სომხეთის, განსაკუთრებით კი მისი დასავლეთი რაიონების მასალასთან (არიჩის სამაროვანი). აღნიშნულ რაიონებს შორის კავშირი ძირითადად მდ. მტკვრის ხეობით უნდა განხორციელებულიყო. ჩვენი აზრით, თრიალეთისა და ზემოთ ჩამოთვლილ რაიონების ძეგლებს შორის განსხვავება არ შეიძლება მხოლოდ მათ შორის არსებული ქრონოლოგიური სხვაობით აიხსნას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თრელის სამაროვნის აღნიშნული სამარხების ბიკონუსური ჭურჭელი მაღლა აწეული ყურებით მსგავსებას პოულობს მცირე აზიის ანალოგიურ კერამიკასთან[5]. ამგვარი ჭურჭელი აღმოჩენილია საქართველოს სხვა ადგილებშიც (სამთავროს სამაროვანი, კახეთი, ბორჯომის ხეობა).

შუა-და გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლების კულტურულ-ქრონოლოგიური ურთიერთობის თვალსაზრისით ფრიად საყურადღებოა თრელის სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის მიწურულის სამარხები, რომელთაც ჩვენ ზოგადად ძვ. წ. XV ს-ით ვათარიღებთ. ამ სამარხების ნივთთა უმეტესობა შუაბრინჯაოს ხანისათვისაა დამახასიათებელი (ნახ. 23, 28, ტაბ. XVIII—XIX), ნაწილი კი გვიანბრინჯაოს ხანის ე. წ. ადრეული ეტაპის კერამიკის ანალოგიურია (ნახ. 23, № 426, ნახ. 28, დერგი ქვედა მარცხენა კუთხეში).

ქრონოლოგიური თვალსაზრისით, აღნიშნულ ძეგლებს მოსდევს ე. წ. გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის სამარხები. ისინი, წინამორბედი სამარხების მსგავსად, დასაკრძალავორმოიანი ქვისწრეებით შემოვლებული ყორღანებია. გამონაკლისს წარმოადგენს ყორღანული სამარხი № 37, რომელსაც გეგმაში მართკუთხედის ფორმა ჰქონდა და შემოზღუდული იყო ქვის მოზრდილი კვადრებით (ნახ. 29, ტაბ. XXX). სამარხის ქვაყრილის ფართობი 100 მ² აღემატება. სამარხი წარჩინებულ მეომარს უნდა ეკუთვნოდეს. მასში თიხის ჭურჭლისა და ბრინჯაოს იარაღის გარდა (ნახ. 31, ტაბ. XX—XXI) აღმოჩნდა წვრილფეხა რქოსანი საქონლის 7 ჩონჩხი (ნახ. 30), რაც განვითარებული იალაღური ტიპის მესაქონლეობაზე უნდა მიგვითითებდეს.

დიღმის ხეობის გვიანბრინჯაოს ხანის ე. წ. ადრეული ეტაპის ძეგლები (ნახ. 29—43, ტაბ. XX—XXV) უახლოეს პარალელებს პოულობს კახეთის, თრიალეთისა და სომხეთის დასავლეთი რაიონების ძეგლებთან.

---

[5] სომხეთისა და მცირე აზიის ანალოგიური ჭურჭლის მსგავსების შესახებ არაერთხელ აღნიშნულა სპეციალურ ლიტერატურაში.

აღნიშნული პერიოდის ძეგლებს ჩვენ ძვ. წ. XV ს. ბოლოთი და XIV ს. ვათარიღებთ.

თრელის სამაროვანზე ძვ. წ. XIV ს. ბოლოდან თუ XIII-ს დასაწყისიდან ჩნდება სამარხთა ახალი ტიპი — ქვაყრილიანი ორმოსამარხები. სამარხთა ეს ტიპი არსებობს ძვ. წ. VI ს. ჩათვლით, სამარხთა ტიპის შეცვლასთან ერთად იცვლება ინვენტარიც (ნახ. 44—80, ტაბ. XXVI—XLI). აღნიშნული პერიოდის სამარხები უახლოეს პარალელებს პოულობენ სამთავროს სამაროვნის ძეგლებთან. ფერადი ტაბ. V, VI_2, 3, VII — IX

თრელის სამაროვანზე უკვე გაითხარა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის 100-ზე მეტი სამარხი. მათ შორის ინვენტარის სიმდიდრით გამოირჩევა წარჩინებული მეომრების სამარხები, რომლებიც შეიცავენ მრავალრიცხოვან თიხის ჭურჭელს, სხვადასხვა ლითონის, პასტის, მინისა და ნახევრად ძვირფასი ქვების სამკაულს, ბრინჯაოს სარტყლებსა და ბრინჯაოსა და რკინის იარაღს. მათ შორის გვხვდება სხვადასხვა ტიპის მახვილები, სატევრები, შუბები, ისრისპირები და სხვა ნივთები (ნახ. 61, 62, 78—80). ამავე სამარხებში აღმოჩენილია აგრეთვე მსხვილფეხა და, უფრო ხშირად, წვრილფეხა რქოსანი საქონლის ძვლები.

ექსპედიციის მიერ გათხრილია აგრეთვე ორი დასაკრძალავდარბაზიანი სამარხი. ეს სამარხები ბანურსახურავიანი ჯარგვალებია. ორივე შემთხვევაში დადასტურდა თვით სამარხის კრემაცია. ინვენტარის მრავალრიცხოვნებითა და სიმდიდრით განსაკუთრებით გამოირჩევა დასაკრძალავდარბაზიანი სამარხი № 16. დასაკრძალავი სამარხის ფართობი 70 მ²-ს აღწევს, სიმაღლე კი 4 მ-ს აღემატება. სამარხში აღმოჩნდა 100-ზე მეტი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოსა და რკინის რამდენიმე ათეული ნივთი, პასტისა და სარდიონის მძივები და ა. შ. აღმოჩენილ ნივთთა შორის თავისი მაღალმხატვრულობითა და სინატიფით გამოირჩევა ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ჭვირულ სადგარზე მდგარი ღვთაება (წარჩინების ნიშანი), ცხენის თავის ორი სკულპტურული გამოსახულება (შტანდარტის თავები), თიხისაგან ნაძერწი ცხენის გამოსახულება, ზოომორფული ჭურჭელი, გეომეტრიული ორნამენტით შემკული შავპრიალა ხელადები, რიტუალური დანიშნულების გამჭოლხვრელიანი, ბიკონუსური ჭურჭელი და მოჭიქული კერამიკა. გარდა ამისა, სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს მუზარადი, ხელშუბისპირი, ყუნწიანი ისრისპირები და 14 სხვადასხვა ტიპის ცხენის ლაგამი, საკისრე რგოლები ზარაკებითურთ, ბალთები და სხვ. სამარხი ეკუთვნის წარჩინებულ მეომარს, სავარაუდოა — ტომის ბელადს. ფერადი ტაბ. X

მეორე სამარხი აღმოჩნდა პირველის მახლობლად. ეს სამარხი შედარებით მცირე ზომისაა 42 მ². მიუხედავად იმისა, რომ სამარხი გაძარცული იყო, მასში აღმოჩნდა მრავალრიცხოვანი ნივთები, რომელთა შორის მაღალმხატვრულობით გამოირჩევა: ღვინის ჭურჭელი — ხარი, ალებასტრის ფიალა, თიხის ორნამენტირებული დიდი ზომის ჭურჭელი, ოქროს მძივები და სხვა.

ორივე დასაკრძალავდარბაზიანი სამარხი სინქრონიულია და ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებით თარიღდება.

ეს სამარხები თავისი კონსტრუქციით, დაკრძალვის წესით, სიმდიდრით და ნაწილი ინვენტარით აშკარად განსხვავდებიან საქართველოს სინქრონული

ძეგლებისაგან და, ინარჩუნებენ რა თავისებურებებს, გარკვეულ მსგავსებას პოულობენ აზერბაიჯანისა და ჩრდილო-დასავლეთ ირანის ძეგლებთან.

თრელის ნასახლარის მდებარეობამ ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში უძველესი სავაჭრო გზების გზაჯვარედინზე და სხვადასხვა არქეოლოგიურ კულტურათა შეხვედრის რაიონში განაპირობა ის გარემოება, რომ აქ არსებულ ძეგლებზე სხვადასხვა დროს ამა თუ იმ არქეოლოგიური კულტურის ზეგავლენა აისახა.

თრელის სამაროვანზე ზემოაღნიშნული ცვლილებები დაკრძალვის წესჩვეულებასა და ინვენტარში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მოძრაობის ამსახველი უნდა იყოს.

ფერადი ტაბ. I_1

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში (დაახლოებით ძვ. წ. მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარი და I ათასწლეულის პირველი ნახევარი) დიღმის ველზე არსებობდა იმ დროისათვის გრანდიოზული დასახლება. გაირკვა, რომ იმ ხანაში ტერასულად იყო დასახლებული 1,5 კმ-ზე გადაჭიმული თრელიგორების ყველა ბორცვი (ტაბ. II). აღნიშნული დროის მოსახლეობის სიმრავლეზე მიგვითითებს დასახლების სიმჭიდროვეც. განსაკუთრებით მჭიდროდ იყო დასახლებული აღნიშნული ბორცვების აღმოსავლეთი ფერდობები. ამ ფერდობებზე, როგორც წესი, ერთი შენობა უშუალოდ ემიჯნება მეორეს და ხშირად ქვედა ტერასის ბანი ზედა ტერასის მცხოვრებთა ეზოს წარმოადგენდა. მოსახლეობის სიმჭიდროვეზე მიგვითითებს ის გარემოებაც, რომ აქ არაერთხელ დადასტურდა ერთმანეთის მონაცვლე სამშენებლო ფენები.

აღნიშნული ნასახლარის სათავსოები წარმოადგენენ რიყისა და ფლეთილი ქვით ტალახის ხსნარზე ნაგებ, ნახევრად მიწურ, ბანურსახურავიან, ერთოთახიან შენობებს. ზოგიერთ ნაგებობაში აღმოჩნდა საყრდენი ბოძების ნამთები. საცხოვრებელი ოთახების კედლები შიგნიდან თიხით იყო შელესილი. ყველა საცხოვრებელ შენობაში აღმოჩენილია პურის საცხობი ღუმელი, რომელსაც ეკვრის დაბალი ბაქნები სხვადასხვა ფორმის სამსხვერპლოებით (ტაბ. IV—V). როგორც ჩანს, ღუმელები, როგორც პრაქტიკული, ასევე რელიგიური თვალსაზრისით, კერას ენაცვლება. სამეურნეო დანიშნულების სათავსოები ზოგიერთ შემთხვევაში უშუალოდ ემიჯნება საცხოვრებელ ოთახს. მათში ხშირად ვხვდებით მიწაში ჩაფლულ ღვინის, ძმრისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტების შესანახ ქვევრებს. ძვ. წ. VIII—VII სს. ერთ-ერთ შენობაში აღმოჩნდა ხორბალი, ყურძნის წიპწები და ქვევრი.

ამ ნასახლარზე ყველა საამშენებლო ფენას ემჩნევა ხანძრისა და ნგრევის კვალი, რაც ძირითადად მტრის შემოსევების შედეგი უნდა იყოს.

ფერადი ტაბ. XI_1, XII_{3-5}

დიღმის ველი საკმაოდ ინტენსიურად იყო დასახლებული ანტიკურ ხანაშიც. აღმოჩენილია ელინისტური ხანის ქვევრსამარხები, ორმოსამარხები და რომაული პერიოდის ორმოსამარხები.

გვიანანტიკური ხანის სამარხებიდან ინვენტარის სიმდიდრით გამოირჩევა წარჩინებული მეომრის სამარხი. სამარხში აღმოჩნდა: რკინის გრძელი მახვილი, სატევარი, შუბისპირი, სამფრთიანი ისრისპირები, ბრინჯაოს აბზინდები და ბალთები, ოქროს ორწილადი სამაჯური (ფერ. ტაბ. XI_2) და რკინის ორი ბეჭედი მათში ჩასმული სარდიონის გემა-ინტალიოთი. ერთ-ერთ გემაზე გამოსახულია მაღალფეხიანი ჭურჭელი მარადიული ცეცხლით, მეორეზე კი — ათენაპალადა შუბითა და ფარით. ამას გარდა, სამარხში აღმოჩნდა რომაელი იმპერატორის ავგუსტუსის ვერცხლის ორი დენარი და სხვა. სამარხი ახ. წ. III საუკუნის II ნახევრით თარიღდება.

ფერადი ტაბ. $XII_{1,2}$

დიღმის მასივის ტერიტორიაზე აღნიშნული სამარხის მახლობლად ნაწილობრივ გაითხარა გვიანანტიკური ხანის აბანო, რაც, თავის მხრივ, მის მახლობლად სასახლის არსებობაზე მიგვითითებს[6].

თრელიგორები და დიღმის ველი დასახლებული იყო ფეოდალურ ხანაშიც. გამოვლენილია ადრეფეოდალური ხანის ნასახლარი, მარანი და გვიანფეოდალური პერიოდის სამარხები.

ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა ვაშლიჯვარას სამაროვანზეც, რომელიც საქართველოს სამხედრო გზასთან, დიღმისწყლის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს. ამ სამაროვანზე აღმოჩნდა გვიანანტიკური ხანისა და ადრეფეოდალური პერიოდის სამარხები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აღნიშნული სამაროვნის ერთი სამარხი, რომლის ქვაყუთზე აღმართული იყო სტელა მასზე შემორჩენილი ძველი ქართული დამწერლობით[7]. სამარხი VI ს-ით თარიღდება. ფერადი ტაბ. XII[6]

მოპოვებული მასალა მიგვითითებს, რომ დიღმის ხეობა დასახლებული იყო ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით განვითარებული ტომებით, რომლებიც საკმაოდ ინტენსიურად მისდევდნენ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ დიღმის ხეობას აქვს საკმაოდ დიდ ფართობზე გადაჭიმული თავისი, როგორც ზამთრის, ასევე ზაფხულის საძოვრები და ნაყოფიერი მიწები, რომლებიც უძველესი დროიდან ირწყვებოდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დიღმის ხეობაზე გადიოდა თრიალეთის ზაფხულის საძოვრებისაკენ მიმავალი ე. წ. ცხვრის გზა. თრელიგორების მოსახლეობის დაწინაურებას ხელი შეუწყო აგრეთვე აღნიშნული ბორცვების სტრატეგიული თვალსაზრისით ხელსაყრელმა მდებარეობამ. ამ ბორცვების მცხოვრებნი, ერთი მხრივ, იცავდნენ თრიალეთისაკენ მიმავალ გზას, ხოლო მეორე მხრივ, კონტროლს უწევდნენ მდ. მტკვრის ხეობაზე გამავალ მაგისტრალურ გზას.

ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალიდან ჩანს, რომ დიღმის ხეობა წარმოადგენდა იმ ეკონომიკურ ერთეულს, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა თბილისის გადედაქალაქებაში.

ОСНОВНЫЕ ИТОГИ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ БОЛЬШОГО ТБИЛИСИ

Археологическая экспедиция Большого Тбилиси[1] создана в 1972 году на базе Археологической экспедиции Дигомского ущелья[2]. Ее основной целью являются выявление, охрана и изучение тех археоло-

[6] აბანო ნაწილობრივ დაინგრა პოლიგრაფკომბინატის შენობის მშენებლობის დროს.

[7] სტელა დაზიანებულია და მასზე მხოლოდ 5 ასოღაა შემორჩენილი.

[1] Под термином Большой Тбилиси подразумевалась и та территория города, которая по генеральному плану к 2000 году должна быть заселена. Эта территория с 1975 года уже вошла в черту города (рис. 1).

[2] Археологическая экспедиция Дигомского ущелья была создана в 1968 году. Первоначально главной целью экспедиции было исследование культурных слоев на холмах Трелигореби, которые были повреждены и оголены во время земляных работ, производимых Управлением «Тбилводопровода», а с 1969 года до настоящего времени экспедиция ведет раскопки в основном на той территории, где предполагается строительство т. н. Дигомского узла Военно-Грузинской дороги. После того, как данная работа была сдана в печать, археологическая экспедиция Большого Тбилиси вновь была переименована в Археологическую экспедицию Дигомского ущелья.

гических памятников, которым по тем или иным обстоятельствам грозит разрушение — уничтожение. Расширение ареала полевых исследований экспедиции, естественно, вызвало и соответствующее расширение научной проблематики. Первоначально научной целью экспедиции являлось, на примере Дигомского ущелья, проследить развитие ущелья («хеоба») как исторической единицы с древнейших времен до феодальной эпохи включительно. В настоящее время экспедиция, кроме того, изучает развитие и взаимоотношения археологических культур, расположенных на обоих берегах р. Куры (в черте исследуемой территории), а также существующие предпосылки в создании Тбилиси как столичного города.

Экспедиция начала работу с изучения ранее найденных материалов на территории Тбилиси[3]. Параллельно велись и разведывательные работы. Изыскания показали, что все районы Тбилиси были заселены весьма рано.

Количество выявленных на сегодня археологических памятников Тбилиси превышает 130 (рис. 1). Нет сомнения, что во время будущих изысканий данное число намного увеличится. Существующие данные указывают на плотность населения территории города в древности.

Древнейшим памятником на территории Тбилиси является Делисское поселение, обнаруженное во время земляных работ на пр. Важа-Пшавела[4].

Цветн. табл. II$_1$

Несмотря на малочисленность обнаруженного материала (рис. 4—6), этот памятник имеет огромное значение для изучения древнейшей истории Грузии и Закавказья вообще. Материал Делисского поселения находит параллели, с одной стороны, с памятниками т. н. раннеземледельческих культур Закавказья V—IV тысячелетия до н. э., а с другой стороны — материалами т. н. Куро-Аракской культуры. Интерес к Делисскому поселению растет и по той причине, что керамика этого памятника, несколько отличаясь от керамики Шулаверо-Шомутепинской раннеземледельческой культуры, проявляет определенное сходство с синхронными материалами Земо Имерети. На основании вышеотмеченного, дальнейшее исследование Делисского поселения имеет огромное значение для освещения до сих пор недостаточно изученного вопроса взаимоотношений, с одной стороны, т. н. раннеземледельческой и раннебронзовой культур Закавказья, а с другой стороны, т. н. Шулаверо-Шомутепинской культуры с синхронными с ним памятниками Западной Грузии.

Делисское поселение нами датируется приблизительно концом V, первой половиной IV тысячелетия до н. э. Таким образом, поселения, существующие на территории Тбилиси, насчитывают 6000 лет.

По уже утвержденным строительным планам Делисскому поселению грозит уничтожение. Предварительно этот памятник должен быть обязательно всесторонне изучен.

Поселения раннебронзовой эпохи на территории Тбилиси обнаружены уже во многих районах: в Дигомском массиве, Вашладжвара, Дидубе, Сабуртало (в нескольких местах), Земоавчала и поблизости ЗАГЭС.

Памятники среднебронзовой эпохи выявлены в Грмагеле, Лило, Дигомском массиве и Поничала.

---

[3] По изучению археологических памятников Тбилиси большую и плодотворную работу провели Д. Л. Коридзе, Г. А. Ломтатидзе, и И. А. Гдзелишвили и О. В. Ткешелашвили. Результаты их изысканий оказали большую помощь экспедиции.

[4] Большая часть поселения была уничтожена при разрытии котлована для фундамента здания Министерства сельского строительства.

Территория Тбилиси была особенно плотно заселена в эпоху поздней бронзы-раннего железа. Памятники этого периода обнаружены в Авлабари, Ортачала, Навтлуги, Вашладжвара, Дидубе, Грмагеле, Надзаладеви, Авчала, Земоавчала, на склоне горы Мтацминда, у Тбилисского моря, в Сабуртало, Дигомской долине, близ Шавнабада и др. местах. В перечисленных районах часты случаи обнаружения нескольких памятников данного периода.

Тбилиси достаточно плотно был заселен и в античную эпоху. Памятники этого времени обнаружены близ площади Ленина, в Ортачала, Авлабари, на склоне горы Мтацминда, в Ваке, Дидубе, Надзаладеви, Грмагеле, на проспекте Плеханова и в его окрестностях, в Дигомском массиве, Вашладжвара, Глдани, Авчала и др. местах. Выявленные памятники, в основном, относятся к позднеантичному периоду.

Территория Тбилиси плотно была заселена и в феодальную эпоху. Памятники этого времени также обнаружены почти во всех районах города (рис. 1).

Для изучения древней истории Тбилиси необходимо в широком масштабе произвести археологические раскопки на территории Кала и Исани — в древнейших районах раннефеодального города Тбилиси. Следует отметить, что по имеющимся на сегодня данным эти места были заселены уже с XIII в. до н. э.

Археологическая экспедиция Большого Тбилиси ведет раскопки в основном в северо-западной части г. Тбилиси, на территории Дигомского массива и его окрестностях. На Дигомской равнине, у слияния рек Куры и Дигмисцкали, вдоль Военно-Грузинской дороги растянуты населенные с древних времен холмы «Трелигорееби» (рис. 2, табл. II). Начиная с эпохи энеолита — ранней бронзы, вплоть до феодальной эпохи, на упомянутых холмах и их окрестностях найдены памятники, свидетельствующие о беспрерывной жизни на данной территории. Цветн. табл. I_1

Остатки селища эпохи энеолита-ранней бронзы, в основном, выявлены на левом берегу реки Дигмисцкали, у подножия южного холма Трелигореби. На этом участке экспедицией было раскопано несколько чередующихся культурных слоев, что указывает на длительность существования поселения этого периода. Вышеотмеченные слои содержат керамику, характерную для памятников Куро-Аракской культуры (рис. 7—13, табл. VI—XI). В ямах, связанных с нижним слоем, вместе с упомянутой керамикой найдены глиняные сосуды с растительными примесями (№№ 67, 123, 125, 130, 265, 267, 268, 284 и др.). Цветн. табл. III

Как известно, т. н. саманная керамика характерна для памятников Закавказья V—IV тысячелетий. Сосуществование ранних форм глиняных сосудов Куро-Аракской культуры с саманной керамикой дает возможность предположить, что нижний слой поселений относятся к поздней ступени энеолита или к переходному периоду от энеолита к ранней бронзе (приблизительно третья четверть IV тысячелетия до н. э.). Верхние же слои этого селища относятся к эпохе ранней бронзы (приблизительно, к III тысячелетию до н. э.).

Вблизи этого поселения существовал синхронный ему могильник. Характерными погребениями этого времени являются грунтовые ямы, окаймленные кругами из камней (табл. XII_1). В некоторых случаях скелет покойника окрашен охрой (погребение № 26).

Следует особо отметить, что вопрос о взаимоотношении Куро-Аракской культуры с предшествующими памятниками еще недостаточно изучен. Главной причиной этого является то обстоятельство, что пока недостаточно выявлены, с одной стороны, памятники раннего

этапа Куро-Аракской культуры, а с другой, памятники конца т. н. раннеземледельческой культуры Закавказья, где были бы отражены взаимоотношения этих двух культур. Поэтому для изучения этого вопроса особое значение приобретает всестороннее исследование Делисского и Трельского поселений.

О далеко зашедшей имущественной и социальной дифференциации общества указывают погребения Трельского могильника конца эпохи средней бронзы. Одно из богатых погребений этого могильника № 43 представляет собой удлиненную камеру (5,5 м × 2,0 м), вырытую в грунте и перекрытую бревнами. В этом погребении было обнаружено свыше двадцати глиняных сосудов, а также черепа и конечности быков и целый скелет мелкого рогатого животного.

Над бревнами перекрытия было обнаружено еще несколько глиняных сосудов и ребра крупного рогатого скота — остатки погребальной трапезы. Погребальный ритуал предусматривал и человеческое жертвоприношение: над бревнами обвалившегося перекрытия был обнаружен обугливший скелет усопшего в сильно скорченной позе. Оставалось впечатление, что покойник предварительно был связан. Возле него были найдены пастовые бусы и бронзовая булавка с пирамидальной головкой (рис. 18, 19, табл. XIII—XVI). Так как в самом погребении не было обнаружено и следа человеческого скелета, предполагается полная кремация главного покойника.

Погребение датируется серединой II тысячелетия до н. э. Следует особо отметить, что на Трельском могильнике погребения рядовых членов общества этого времени довольно бедны и в некоторых случаях содержат всего один глиняный сосуд (погреб. № 84, рис. 24).

Цветн. табл. IV_{1-3}

Инвентарь погребений Трельского могильника (погребения №№ 43, 51, 81, 84, 104, рис. 19, 21, 24, 26, табл. XIII—XVII) отличается от триалетских памятников среднебронзовой эпохи и, имея свои локальные особенности, ближе всего стоит, с одной стороны, к памятникам Шида Картли (историческая область в центральной части Грузии), а с другой — Кахети (восточная часть Восточной Грузии) и Армении, а особенно близко с материалами ее западных районов (погребения Аричского могильника). Связи между упомянутыми районами, в основном, по-видимому, осуществлялись по ущелью р. Куры. По нашему мнению, различие между памятниками Триалети и перечисленных областей нельзя объяснить только хронологической разницей, сущствующей между ними.

Следует особо подчеркнуть то обстоятельство, что биконические сосуды с дугообразными ушками из вышеупомянутых погребений Трельского могильника (рис. 19, 24) находят определенное сходство с аналогичными предметами из Малой Азии[5]. Керамика данного типа найдена и в других местах Грузии (Самтаврский могильник, Кахети, Боржомское ущелье).

С точки зрения культурно-хронологических взаимоотношений памятников эпохи средней и поздней бронзы большой интерес представляют материалы погребений Трельского могильника конца эпохи средней бронзы, датируемые нами приблизительно XV в. до н. э. (погребения №№ 53, 74, 115). Большинство предметов из этих погребений имеют характерные черты памятников среднебронзовой эпохи, а часть — т. н. раннего этапа поздней бронзы (рис. 23, 28, табл. XVIII—XIX).

---

[5] О сходстве аналогичных сосудов Армении и Малой Азии уже неоднократно указывалось в специальной литературе. См. Г. Е. Аршян. Малоазийские формы в керамике Армении среднего бронзового века. СА, 1973, № 4, с. 40—49; Т. С. Хачатрян. Древняя культура Ширака. Ереван, 1975, с. 117.

19170




Рис. 2

2. თბილისი 1

ა.შ. ჯანელიძის სახელობის ბიბლიოთეკა

В хронологическом отношении за вышеупомянутыми погребениями следуют погребения эпохи поздней бронзы. Эти погребения, как и все предыдущие, являются ямными курганами, окаймленными кругами из камней. Исключением является курганное погребение № 37, четырехугольное, огражденное большими нетесанными камнями (рис. 29, табл. XX). Площадь этой ограды больше 100 м². Погребение, по-видимому, принадлежит знатному воину. В нем, кроме глиняной посуды и бронзового оружия (рис. 31, табл. XX—XXI), обнаружено 7 скелетов мелкого рогатого скота (рис. 30), что, со своей стороны, говорит о развитом скотоводстве, по-видимому, яйлажного типа.

Памятники т. н. раннего этапа эпохи поздней бронзы Дигомского ущелья находят ближайшие параллели с памятниками Кахети, Триалети и с Западными районами Армении. Памятники упомянутого времени датируются нами концом XV—XIV вв. до н. э.

На Трельском могильнике с конца XIV или начала XIII в. до н. э. появляется новый тип погребений — грунтовые ямы с каменной насыпью. Этот тип погребений существует до VI в. до н. э. включительно. С изменением типа погребений меняется и инвентарь (рис. 44—80, табл. XXVI XLI). В упомянутое время памятники Дигомской долины ближайшие параллели находят с памятниками Самтаврского могильника. На Трельском могильнике раскопано уже больше ста погребений эпохи поздней бронзы-раннего железа. Среди них богатством инвентаря выделяются погребения знатных воинов, содержащие многочисленную глиняную посуду, украшения из разных металлов, пасты, стекла и полудрагоценных камней, бронзовые пояса и бронзовое и железное оружие. Среди них разнотипные мечи, кинжалы, копья, стрелы и прочие предметы (рис. 44—80). В этих погребениях найдены также кости крупного, чаще, мелкого рогатого скота.

Цветн. табл. V, VI_2, 3, VII—IX

Экспедицией раскопаны также две могилы с погребальными залами. Эти погребения представляют собой срубы с плоским перекрытием. В обоих случаях зафиксирована кремация самого погребения. Богатством и многочисленностью инвентаря особо выделяется могила с погребальным залом № 1. Площадь погребального зала достигает 70 м², а высота превышает 4 м. В погребении было обнаружено до ста глиняных сосудов, несколько десятков бронзовых и железных предметов, пастовые и сердоликовые бусы и т. д. Среди обнаруженных предметов своей высокой художественностью и изяществом выделяются: отлитое из бронзы божество, стоящее на ажурной подставке (знак отличия), два скульптурных изображения голов лошади (навершие штандартов), глиняная скульптура (лошади), зооморфные сосуды, чернолощенные кувшины, украшенные геометрическим орнаментом, сквозные биконические сосуды ритуального назначения и глазурованные сосуды.

Цветн. табл. X

Кроме того, в погребении были обнаружены: бронзовый шлем, дротик, черенковые стрелы и 14 конских сбруй — удила разных типов, шейные гривны с колокольчиками, бляхи и т. д.

Погребение принадлежало знатному воину, по-видимому, вождю племени.

Второе погребение было обнаружено недалеко от первого. Оно сравнительно меньшего размера — 42 м². Несмотря на то, что это погребение было разграблено, в нем обнаружены многочисленные предметы, среди которых высоким искусством выделяются: винный сосуд-бычок, алебастровая пиала, большие глиняные орнаментированные сосуды, золотые бусы и др.

Обе могилы с погребальными залами синхронны и датируются VIII—VII вв. до н. э.

Эти погребения по своей конструкции, погребальному обряду, богатству и некоторым найденным в них предметам резко отличаются от синхронных погребений Грузии и, сохраняя свои особенности, находят определенное сходство с памятниками Азербайджана и северо-западного Ирана.

Расположение Трельского поселения в центральной части Закавказья, в районе встреч отдельных археологических культур и на перекрестке древних торгово-обменных путей, обусловило то обстоятельство, что на данном памятнике в разное время проявляется преобладание влияния той или иной археологической культуры.

Упомянутые изменения в погребальных обрядах и инвентаре Трельского могильника являются, по-видимому, отражением передвижения разных этнических групп.

В эпоху поздней бронзы-раннего железа (приблизительно вторая половина второго и первая половина I тысячелетия до н. э.) на Дигомской равнине существовало поселение грандиозных для того времени масштабов. Экспедицией установлено, что в ту эпоху террасообразно были заселены все холмы Трелигореби, растянувшиеся на 1,5 км (табл. III). О величине этого населенного пункта говорит и плотность самого населения. Особенно густо были заселены восточные склоны упомянутых холмов. На этих склонах обычно одно помещение непосредственно примыкает к другому. Нередко перекрытие одного здания являлось двориком для жителей дома, расположенного на верхней террасе за этим помещением. О плотности этого населения говорит также то обстоятельство, что здесь неоднократно встречаются следующие друг за другом строительные слои. Цветн. табл. I_1

Помещения этого поселения представляют собой однокомнатные полуземлянки с плоским перекрытием. Стены этих домов выложены из рваных камней и булыжников. В некоторых зданиях обнаружены остатки опорных бревен. Стены жилых комнат изнутри были оштукатурены глиной. В каждом жилом помещении обнаружены печи, к которым, обычно примыкают невысокие площадки с жертвенниками разных форм (табл. IV—V). По-видимому, эти печи заменяют очаги как в практическом, так и в религиозном отношениях. Помещения хозяйственного назначения, в некоторых случаях непосредственно примыкают к жилым комнатам. В них нередко встречаются закопанные в землю кувшины для хранения вина, уксуса и разных сельскохозяйственных продуктов. В одном помещении VIII—VII вв. до н. э. обнаружены зерна пшеницы, виноградные косточки и винный кувшин.

На данном поселении все строительные слои носят следы пожара и разрушения, что, по-видимому, в основном является результатом вражеских нашествий.

Дигомская долина довольно интенсивно заселена и в античную эпоху. Обнаружены кувшинные и грунтовые погребения эллинистической эпохи и грунтовые погребения римского периода. Цветн. табл. XI_1, XII_{3-5}

Из погребения позднеантичной эпохи богатством инвентаря выделяется погребение знатного воина с захоронением коня и собаки. В погребении были обнаружены длинный железный меч, кинжал, копье, трехлопастные стрелы, бронзовые застежки и бляхи, золотой браслет (цветн. табл. XI_2), два железных перстня с вставными сердоликовыми геммами интальо. На одной из гемм изображен сосуд на высокой ножке с угасающим огнем, а на другой — Афина Паллада с копьем и мечом. Кроме того, в погребении было найдено два серебряных динария римского императора Августа и др. Погребение датируется второй половиной III в. до н. э. Цветн. табл. $XII_{1, 2}$

На территории Дигомского массива, недалеко от упомянутого погребения, частично раскопана баня[6] позднеантичного времени, что, со своей стороны, указывает на существование поблизости и дворца.

Трелигореби и Дигомская равнина были населены и в феодальную эпоху. Выявлены остатки поселения и марани (место для хранения вина), раннефеодальной эпохи и погребения позднефеодального периода.

Цветн. табл. XII$_6$

Экспедиция раскопки вела и на Вашладжвареском могильнике, расположенном у Военно-Грузинской дороги, на правом берегу р. Дигмисцкали. На этом могильнике обнаружены погребения позднеантичного времени и раннефеодального периода. Одно погребение этого могильника заслуживает особого внимания, над каменным ящиком которого была воздвигнута надгробная стелла с древнегрузинскими буквами[7] (погребение датируется VI в. до н. э.).

Из обнаруженных материалов явствует, что население Дигомского ущелья, во всяком случае, с эпохи поздней бронзы — раннего железа довольно интенсивно занималось как земледелием, так и животноводством и было заселено развитыми в экономическом и культурном отношении племенами. Этому способствовало то обстоятельство, что Дигомское ущелье имеет хорошие зимние и летние пастбища, занимающие огромную территорию, и плодородные земли, орошаемые с древнейших времен. Следует отметить, что через Дигомское ущелье проходила дорога к Триалетским летним пастбищам. Развитию населения на холмах Трелигореби и в их окрестностях способствовало также то обстоятельство, что эти холмы в стратегическом отношении расположены на очень выгодном месте. Жители этих холмов, с одной стороны, охраняли дорогу, ведущую в Триалети, а с другой — контролировали магистральную дорогу, проходящую по ущелью р. Куры.

Добытый экспедицией материал свидетельствует о том, что столь крупное поселение Дигомского ущелья являлось той экономической единицей, которая сыграла определенную роль в создании Тбилиси как столичного города.

LES EXPLORATIONS ARCHEOLOGIQUES MENEES SUR LES CHANTIERS DE CONSTRUCTION DU GRAND TBILISSI

L'expédition archéologique du Grand Tbilissi[1] fut organisée en 1972 sur la base de l'expédition archéologique de la gorge de Digomi[2].

Elle a pour but essentiel de mettre à jour, conserver et étudier les monuments archéologiques qui sont en danger de destruction pour divers motifs. L'élargissement des recherches par les expéditions est à la base d'un accroissement des problèmes scientifiques. Jadis le but de l'expédition consistait, à l'exemple de celle de la gorge de Digomi à observer le développement de la gorge («Khéoba») comme unité historique des temps anciens jusqu'à l'époque féodale y compris. Actuellement l'expédition, en outre, observe le développe-

---

[6] Баня частично была разрушена во время строительства здания «Полиграфкомбината».

[7] Стелла оказалась поврежденной и на ней сохранилось всего 5 букв.

[1] Sous le terme du Grand Tbilissi on sous-entendait le territoire qui, d'après le plan général doit être peuplé vers 2000, fig. I.

[2] L'expédition de la gorge de Digomi fut organisée en 1968. Au début le but essentiel de l'expédition était investigation des couches culturelles sur les collines de Tréligorébi, qui ont été endomagées et découvertes à la suite des travaux de terrassement, menés par l'administraton de «Tbilcanalisation», depuis 1969 l'expédition mène des fouilles essentiellement sur le territoire ou est envisagé la construction du soit-disant noeud de Digomi de la Route Militaire. Cet article était déjà en préparation lorsque l'expédition archéologique du Grand Tbilissi reprit le nom de celle de Digomi.

ment et les relations des sites archéologiques disposés sur les deux rives de la Koura dans les limites du territoire à étudier et considère également les conditions qui ont contribuées à faire de Tbilissi la capitale.

L'expédition a commencé son travail par l'étude des matériaux trouvés auparavant sur le territoire de Tbilissi[3]. Et parallèlement des prospections ont été menées. Les recherches ont démontré que presque toutes les quartiers de Tbilissi étaient peuplés très tôt.

Le nombre des monuments archéologiques mis à jour actuellement sur le territoire de Tbilissi, dépasse 130 (fig.1). Il est évident que le nombre des monuments archéologiques va encore grandir à la suite des recherches envisagées.

Les données existentes nous indiquent la densité de la population du territoire de la ville dans l'antiquité.

L'habitation de Délissi est le plus ancien monument sur le territoire de Tbilissi, découvert sur l'avenue Vaja-Pchavéla[4], pendant des travaux de terrassement (pl.I). Malgré la rareté des matériaux archéologiques (fig. 4-6), ce monument a une grande importance pour étude de l'histoire ancienne de la Géorgie et de la Transcaucasie en général. Les matériaux d'habitation de Délissi trouvent des parallèles, d'une part, dans les monuments les plus anciens de l'agriculture ancienne de la Transcaucasie des V—IV millénaires av. J. C., d'autre part, dans les matériaux de la culture Kouro-araxe de la fin des IV—III millénaires av. J. C. Pl en couleur II$_1$

L'intérêt de l'habitation de Délissi est ogmenté du fait, que sa céramique se distingue un peu de celle de l'agriculture ancienne de Choulavéri et de Chomoutépé, mais donne des ressemblances avec les matériaux synchroniques de Zémo Iméréti. Il en découle, que l'étude ultérieure de l'habitation de Délissi a une grande importance pour élucider le problème encore insuffisamment étudié des relations des cultures de l'agriculture ancienne et du bronze ancienne de Transcaucasie, d'une part, et celles de Choulavérie et de Chomoutépé, avec les monuments synchroniques de la Géorgie occidentale, d'autre part. L'habitation de Délissi est datée par nous aux environs de la fin du V et de la première moitié du IV m. av. J. C. Ainsi, les habitations sur le territoire de Tbilissi comptent 6000 ans. D'après le plan de reconstruction déjà sanctionné l'habitation de Délissi doit être détruite. Avant sa déstruction ce monument doit être étudié à fond.

On a découvert des habitations du Bronze Ancien sur le territoire de Tbilissi dans les régions suivantes: à Digomi, Vachladjvara, Didoubé, Sabourtalo (dans plusieurs endroits), Zémoavtchala et près de l'usine hydroélectrique de Zémoavtchala.

Des monuments de l'époque du bronze moyen ont été mis à jour à Grmaguélé, à Lilo, à Digomi et à Phonitchala.

La densité de la population de Tbilissi était particulièrement forte pendant la période de transition du Bronze Récent au début du Fer. Des monuments de cette période ont été découverts à Avlabari, Ortatchala, Navtlougui, Vachladjvara, Didoubé, Grmaguélé, Nadzaladévi, Avtchala, Zémoavtchala,

---

[3] D. Koridzé, G. Lomtatidzé, I. Grdzélichvili et O. Tkéchélachvili ont mené des travaux féconds dans le domaine des vestiges archéologiques. Le fruit de leurs recherc-es a été d'une grande aide pour l'expédition.

[4] Une grande partie de l'habitation fut complètement détruite pendant qu'on procédait à des excavations en vue des fondements de l'édifice du Ministère de la construction Campagnarde.

Gldani, Varkétili, Phonitchala, sur les flancs de Mtatsminda, près de la mer de Tbilissi, à Sabourtalo, dans la vallée da Digomi, à proximité de Chavnabada etc. Dans les régions déjà sus-indiquées les découvertes des monuments appartenant à la même période sont assez fréquentes.

Tbilissi était assez intensément peuplé à l'épouqe antique. Des monuments de cette période ont été découverts; près de la place Lénine, à Ortatchala, à Avlabari, sur la pente du mont Mtatsminda, à Vaké, à Didoubé, à Nadzaladévi, à Grmaguélé, sur l'avenue Plékhanov et ses environs, à Digomi, à Vachladjvara, Gldani, Avtchala etc. Ces monuments appartiennent essentiellement à une periode antique récente.

Le territoire de Tbilissi était trop peuplé même à l'époque féodale Des monuments de cette période ont également été découverts dans touts les quartiers de la ville (fig.1).

Pour étudier l'histoire antique de Tbilissi il convient d'explorer les régions les plus anciennes de l'époque féodale de Tbilissi, celles de Kala et Issani. Il faut remarquer que ces sites étaient déjà peuplés au XIII s. av. J. C.

Pl. en couleur I$_1$

L'expédition archéologique du Grand Tbilissi mène des fouilles principalement dans la partie nord-ouest de Tbilissi sur de territoire de Digomi et ses environs. Dars la vallée de Digomi près du confluent de la Koura et Digmistskhali, le long de la Route Militaire s'allongent les collines Tréligorébi habitées des tempes les plus anciens (fig. 2, pl. II).

De l'énéolithique—Bronze Ancien jusqu'à l'époque féodale y compris, sur ces collines et leurs environs des monuments qui nous indiquent l'existence de la vie continue sur ce territoire, ont été découverts (fig. 3).


Les vestiges d'habitations de lépoque énéolithique — Bronze Ancien ont été mis à jour essentiellement sur la rive gauche de Digmistskhali au pied de la colline sud de Tréligorébi. A cet endroit l'expédition a découvert plusieurs couches culturelles successives qui démontrent l'existence permanente de la population à cette période. Ces couches contiennent la céramique caractéristique de la culture Kouro-Araxe (fig. 7—13, pl. VI—XI).

Pl en couleur III

Dans les caveaux liés à la couche inférieure, à côté de la céramique déjà sus—indiquée se trouvaient des vases aves des vestiges de végétaux (№№67, 123, 125, 130, 265, 267, 268, 284 etc).

Il est connu que, la soit—disant céramique avec des vestiges de végétaux est typique pour les monuments de Transcaucasie des V—IV m. La coexistence des formes primitives de la poterie de la culture Kouro-Araxe et de la céramique avec des vestiges de végétaux nous permet d'admettre que la couche inférieure des habitations appartient à l'époque récente de l'énéolithique ou à la période transitoire de l'énéolithique au Bronze Ancien (approximativement la deuxième moitié du IV m. av. J.C.). Les couches supérieures de cette habitation peuvent être attribuées à l'époque du Bronze Ancien (appr. III m. av. J.C.).

A proximité de cette habitation existait une nécropole de la même période. cette période est caractérisée par les caveaux funéraires, bordés de cercles de pierres (pl.XII$_1$). Dans certains cas le squelette est peint à l'aide d'ocre (tombe N 26).



Bob. 3

Il faut noter que le problème des relations de la culture Kouro-Araxe avec les monuments précedents n'est pas encore suffisamment étudié. Cela est du essentiellement au fait que d'une part, peu de monuments du début de la culture Kouro-Araxe ont été découverts ainsi que, d'autre part, ceux de la fin du soit-disant agriculture ancienne de Transcaucasie qui auraient pu refléter les relations de ces deux cultures. C'est pourquoi pour élucider ce problème il faut particulièrement étudier les habitations de Délissi et de Tréli.

Les tombes de la nécropole de Tréli de la fin du Bronze Moyen nous indiquent la différenciation sociale et économique très avancée de la société.

Une des plus riches sépultures de la nécropole de Tréli (№ 43) représente une chambre funéraire allongée (5,5m x 2,0) creusée dans la terre et recouverte de poutres en bois. Cette sépulture contenait plus d'une vingtaine de vases en terre, ainsi que des crânes et des membres de bovidés et tout un spuelette d'ovin. Au-dessus des poutres de couverture se trouvaient encore quelques vases et des côtes de bovins, restes de repas funéraire. Le rite funéraire envisageait même le sacrifice humain, au-dessus des poutres écroulées fut découvert un squelette carbonisé, replié fortement sur lui-même; on pourrait penser qu'il avait été ligoté avent d'être brûlé. A son côté se trouvaient des perles en pâte et une épingle en bronze à tête pyramidale (fig. 18,19, pl. XIII—XVI). Comme cette tombe ne contenait aucune autre trace de squelette humain on suppose que c'était la crémation du corps essentiel. Cette tombe est datée par nous de la deuxième moitié du IIm. av. J. C. Il faut souligner qu'à la nécropole de Tréli les tombes des simples membres de la société de cette époque sont assez pauvres et dans certains cas ne contiennent qu'un seul vase (tombe № 84, fig. 24).

Pl en couleur IV_{1-3}

Le mobilier funéraire de la nécropole de Tréli de cette époque se distingue des monuments de Trialéti de l'époque du Bronze Moyen (fig. 19, 21, 24, 26,) et avec ses caractéristiques locales a plus de ressemblances d'une part, avec les monuments de Chida Kartli (région historique dans la partie centrale de la Géorgie) et d'autre part, avec ceux de Kakhéti (partie est de la Géorgie orientale) et d'Arménie mais surtout avec ses régions occidentales (les tombes de la nécropole de Aritche). Les relations entre ces régions s'effectuaient en grande partie, sans doute, par la gorge et les vallées de la Koura en contournant Trialéti (région historique de la Géorgie du sud) parce qu'à notre point de vue, la différence entre les monuments de Trialéti et ceux des régions déjà citées ne peut pas seulement s'expliquer par la différence chronologique existant entre eux.

Il faut souligner que des vases biconiques aux anses cintrées des tombes de la nécropole de Tréli montrent certaines ressemblances avec des objets analogiques de l'Asie Mineure[5]. La céramique de ce type a déjà été découverte dans d'autres localités de la Géorgie (la nécropole de Samtavro, Kakhéti).

[5] La ressemblance avec des vases provenant d'Arménie et de l'Asie Minuere a déjà été indiquée plusieurs fois dans la littérature spéciale.

Cf. Г. Е. Аршян, Малоазийские формы в керамике Армении среднего бронзового века. СА, 1973, № 4, с. 40 — 49; Т. С. Хачатрян. Древняя культура Ширака, Ереван, 1975, с. 117.

Au point de vue des relations culturelles et chronologiques des monuments des époques du Bronze Moyen et du Bronze Récent, les matériaux des tombes de la nécropole de Tréli de la période transitoire datée par nous aux environs du XV s. av. J. C., ont une grande importance. Une grande partie des objets de ces tombes est typique pour les monuments de l'époque du Bronze Moyen (fig. 23, 28, pl. XVIII — XIX) et une autre partie pour ceux du Bronze Récent (fig. 23, № 426, fig. 28, cruche).

Dans l'ordre chronologique après les tombes déjà mentionnées viennent celles du début du Bronze Récent. Ces tombes comme toutes les précédentes représentent les tertres bordés de cercles de pierres, exeption faite du tertre rectangulaire № 37 qui est bordé de grandes pierres non taillées (fig. 29, pl. XX). La surface de cette bordure est plus de 100 m². Outre la poterie et des armes en bronze, cette tombe contenait 7 squelettes d'ovins (fig. 30), qui nous parlent de l'élevage développé de haut pâturage. La tombe est sans doute celle d'un guerrier notable.

Les monuments du début du Bronze Récent de la gorge de Digomi se rapprochent le plus de ceux de Kakhéti, de Trialéti et de la région occidentale de l'Arménie. Les monuments de cette période datent de la fin des XV — XIV siècles av. J. C.

Dès le XIII s. av. J. C. à la nécropole de Tréli apparaît un nouveau type de tombes, ou caveau funéraire avec un remblai de pierres. Ce type de tombes subsiste jusqu'au VI s. avant J. C. (y compris). Avec le changement du type de tombe on note également un changement de mobilier funéraire (fig. 44—80, XXVI, XLI). Les monuments de la vallée de Digomi de cette période offrent des points communs avec les sites du cimetière de Samtavro. Actuellement à la nécropole de Tréli près d'une centaine de tombes de l'époque du Bronze Récent —début du Fer sont mises à jour. Parmi elles, par la richesse de leur mobilier funéraire se distinguent celles de guerriers notables, qui contiennent une immense quantité de poterie, des parures en divers métaux, en pâte, en verre et en pierres semi-précieuses, des ceintures en bronze et des armes en bronze ou en fer, comme p. ex. des épées de différents types, des poignards, des pointes de flèches et autres objets (fig. 78-80). Dans les mêmes tombes on a également découvert quelques ossements de bovins mais surtout d'ovins.

Pl en couleur V. VI₂, a. VII—IX

L'expédition a également mis à jour deux tombes avec des chambres funéraires. Ces tombes représentaient des cages avec un toit plat. Dans ces deux cas on a constaté la crémation de la tombe même. La tombe № 1 avec sa chambre funéraire se distingue par sa richesse et la quantité de son mobilier funéraire. La dimension de la chambre funéraire atteint 70 m², sa hauteur dépasse 4m. Dans cette sépulture on a découvert une centaine de vases en terre cuite, quelques dixaines d'objets en bronze et en fer, des perles en pâte et en cornaline etc. Parmi eux, par leur valeur artistique et par leur élégance se distinguent une déesse fondue en bronze, posée sur un socle ajouré (signe de distinction), 2 représentations de têtes de cheval (enseignes), une figurine d'un animal (cheval) en terre, rhytons zoomorphes, cruches lustrées noires, ornées de motifs géometriques, vases biconiques à trou, sans doute d'usage rituel, vases couverts de glaçure. En outre, dans la même tombe on a découvert un casque en bronze, une tête de javelot, des pointes de flèches et 14

Pl en couleur X

mors de différents types, des colliers de cheval avec des clochettes, des plaques etc. Cette sépulture appartenait à un guerrier notable, sans doute à un chef de tribu.

Une deuxième tombe fut découverte à proximité de la première. Elle est plus petite—42m². Cette tombe était pillée mais malgré cela elle a livré une grande quantité d'objets parmi lesquels par leur valeur artistique se distinguent: un rhyton zoomorphe en forme de taureau, une coupe en albâtre, de grands vases en terre, des perles en or etc. (pl. en couleur).

Ces deux tombes avec des chambres funèraires sont synchroniques et datent des VIII—VII ss. av. J. C.

Par leur construction et manière funèraire, ainsi que par la richesse de certains objets, ces tombes se distinguent beaucoup des sépultures de Géorgie et tout en gardant leurs traits caractéristiqus ont certaines ressemblances avec des monuments d'Azerbaidjan et de l'Iran du nord-ouest.

La situation de l'habitation de Tréli dans la partie centrale de la Transcaucasie, dans la région de la confluence de certaines cultures archéologiques, et au carrefour des anciennes routes commerciales a conditionné la prédominance de l'influence de telle ou telle culture archéologique sur ce monument à différentes époques.

Les changements déjà indiqués dans les coutumes funéraires, ainsi que dans le mobilier funéraire de la nécropole de Tréli nous indiquent le déplacement de différents groupes ethniques.

Pl. en couleur I$_1$

A l'époque du Bronze Récent—début du Fer (appr. II moitié du II et la I moitié du I m. av. J. C.) dans la vallée de Digomi existait une habitation d'une dimension grandiose pour l'époque. L'expédition a constaté qu'à cette époque les habitations de toutes les collines de Tréligorébi, que s'étendent sur 1,5 km étaient en forme de terrasses (pl. III). La densité de la population nous parle également de la grandeur de cette localité. Les versants est de ces collines étaient particulièrement peuplés. Sur ces versants, habituellement, les habitations sont étroitement liées les unes aux autres. Très souvent la toiture d'un bâtiment servair de cour aux habitations disposées sur les terrasses supérieures. De la densité de la population témoigne encore une fois le fait, qu'ici on trouve souvent des couches de cornstructions, qui se suivent.

Les habitations de cet établissement représentent des semi-huttes avec une seule pièce et avec toit plat. Les murs de ces maisons sont construits en moellons et en pierres. Dans certains bâtiments on a découvert les restes de supports en bois. A l'intérieur les murs étaient plâtrés à l'aide d'argile. Dans chaque logement on a découvert des fours auxquels attenaient des autels de formes diverses (pl. IV—V). Il est évident que ces fours remplacent les foyers dans le sens pratique aussi bien que religieux. Dans certains cas les locaux à usage ménager sont attenants aux chambres d'habitation. On y trouve souvent des jarres placées dans le sol dans lesquelles on conservait du vin, du vinaigre et des produits agricoles. Dans une habitation que date des VIII—VII ss. av. J. C. on a découvert des grains de blé, des noyaux de raisin et une jarre.

Les couches de construction de cette habitation gardent la trace de conflagration et de destruction, qui est évidemment le résultat des invasions.

La vallée de Digomi était suffisamment peuplée même à l'époque antique. Ici on a découvert des jarres tombales et des caveaux funéraires de l'époque hellénistique, et des caveaux funéraires de la période romaine. Pl. en couleur XI, XI_{3-5}

Parmi les tombes de l'époque antique récente, par la richesse de son mobilier funéraire se distingue celle d'un guerrier notable avec l'inhumation d'un cheval et d'un chien. Dans cette tombe on a découvert une longue épée en fer, un poignard, une tête de lance, des pointes de flèches à trois aillettes, des plaques et des agrafes en bronze, un bracelet en or (pl. en couleur XI_2), deux bagues en fer ornées de gemmes. Sur une des gemmes est représenté un vase sur pied long avec une flamme éternelle et sur l'autre Afine Pallade avec une lance et un bouclier. Dans la même tombe on a également retrouvé deux dinars en argent de l'empereur romain Auguste et autres. Cette tombe est datée par nous du III s. ap. J. C. Pl en couleur $XII_{1, 2}$

Sur le territoire de Digomi, à proximité de la tombe déjà mentionnée on a partiellement mis à jour des bains[6] de l'époque antique récente. Ce fait nous indique qu'un palais doit exister à proximité.

Tréligorébi et la vallée de Digomi ont été peuplés même à l'époque féodale. Ici on a découvert des vestiges de l'habitation et «marani» (cellier ou on conserve le vin) du début de l'époque féodale et des tombes de l'époque féodale récente.

L'expédition menait des fouilles à la nécropole de Vachladjvara située près de la Route Militaire, sur la rive droite de Digomistskhali. Dans cette nécropole ont été mises à jour des tombes de l'époque antique récente et du début de la période féodale. Une des tombes de cette nécropole mérite une attention particulière. Au-dessus du coffre de pierres était érigée une stèle avec des lettres en géorgien ancien[7]. Cette tombe date du VI s. après J. C. Pl en couleur XII_6

Les matériaux découverts nous indiquent que la population de la gorge de Digomi, en tout cas de l'époque du Bronze Récent-début du Fer, s'occupait d'une manière intense, d'agriculture et d'élevage, et que ce territoire était peuplé par des tribus très développés sur le plan économique et culturel. Cela est du au fait que la gorge de Digomi possède des pâturages d'été et d'hiver, qui s'étendent sur un grand territoire et des terrains fértiles arrosés, depuis des temps reculés. Il convient de signaler que la gorge de Digomi était traversée par la route menant aux pâturage d'été de Trialéti. Le fait que ces collines occupaient un emplacement très favorable dans le sens stratégique a également contribué au développement de la population sur les collines de Tréligorébi. Les habitants de ces collines gardaient, d'une part, la route de Trialéti et d'autre part, surveillaient la route magistrale qui suivait la gorge de la Koura.

Les matériaux trouvés par l'expédition témoignent qu'un si grand établissement de la gorge de Digomi représentait une unité économique ayant joué un rôle important pour que Tbilissi devienne la capitale.

---

[6] Les bains ont été partiellement détruits pendant la construction de l'édifice de «poligrafcombinat».

[7] Cette stèle était endommagée et n'avait conservé que 5 lettres.

დელისის ნასახლარი

1972 წლის იანვარში ვაჟა-ფშაველას გამზირზე (№ 45), ნასოფლარ დელისის მახლობლად, საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შენობის საძირკვლისათვის ქვაბულის ამოღების დროს დაინგრა ენეოლითური ხანის ნასახლარის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი — 30 მ×36 მ-ზე.

ქვაბულის დათვალიერებისას კულტურული ფენის არსებობას ყურადღება მიაქცია ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელმა, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ჯ. ჯანელიძემ. შემდეგ ეს ადგილი დაათვალიერეს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგებმა ალ. ჯავახიშვილმა და დ. თუშაბრამიშვილმა, რომელთაც ზოგადად განსაზღვრეს ამ ძეგლის ხასიათი, ხანა და თარიღი[1].

მშენებლობის გამო აღნიშნულ ძეგლზე მეტ-ნაკლებად ფართო მასშტაბის კვლევა-ძიების ჩატარება ვერ მოხერხდა.

1972 წლის 2 ივლისიდან 10 ივლისამდე ნასახლარზე დაზვერვითი ხასიათის გათხრები ჩაატარა თბილისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ[2]. ექსპედიციამ ჩამოწმინდა ქვაბულის კედლები და აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ გაავლო სადაზვერვო თხრილი 8 მ× 1 მ-ზე. ქვაბულის სამხრეთი კედლის გაწმენდა ვერ მოხერხდა, რადგან აქ დაგროვილი იყო მშენებლების მიერ ქვაბულიდან ამოღებული მიწა. ქვაბულის სხვა მხარეს კი, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან დაახლოებით 5 მ-ის სიღრმეზე, ჩანდა 10—15 სმ-ის სისქის ნახშირისა და ნაცრის ფენა, რომელშიც ჩართული იყო კერამიკის ნატეხები, ობსიდიანის ანატკეცები და ძვლის ფრაგმენტები.

1976 წელს აღნიშნული სამინისტროს საინჟინრო ლაბორატორიის შენობის ჩრდილოეთით დაწყებულ იქნა მიწისქვეშა ავტოსადგომისა და სასადილოს მშენებლობა. ქვაბულის ამოღების დროს (20 მ×5 მ-ზე), მიწის თანამედროვე ზედაპირიდან დაახლოებით 5 მ-ის სიღრმეზე, კვლავ აღმოჩნდა კულტურული ფენა, რომელიც, სამწუხაროდ, თითქმის მთლიანად განადგურდა. ქვაბულის ჩრდილოეთი კედლის ჩამოწმენდის შედეგად ჭრილში გამოჩნდა კიდევ ერთი კულტურული ფენა, რომელიც ექსკავატორს მთლიანად ჰქონდა მოხსნილი. ორივე ფენა ქვაბულს მთელ სიგრძეზე გასდევდა. აღნიშნული ფენები ერთმანეთისაგან გამოყოფილია დაახლოებით 20 სმ-ის სისქის სტერილური შრით. თითოეული ამ ფენის სისქე დაახლოებით 15 სმ-ია. ნასახლარის გავრცელების დადგენის მიზნით ექსპედიციამ სასოფლო მშენებლობის სამინის-


---

[1] ჯ. ჯიშკარიანი, ნამოსახლარი 6 ათასი წლისაა, გაზ. „კომუნისტი“, 1972, 22, IV.

[2] რ. აბრამიშვილი, ე. გოგაძე, ნ. თუშიშვილი, კ. კალანდაძე, დ. მუსხელიშვილი, ალ. რამიშვილი. დიდი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითადი შედეგები, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წ., თბილისი, 1973, გვ. 39, 40.

ტროსათვის განკუთვნილ ტერიტორიაზე გაავლო სადაზვერვო თხრილი. გამოირკვა, რომ ნასახლარს უჭირავს აღნიშნული დაწესებულებისათვის განკუთვნილი მთელი ტერიტორია (4500 მ²) და უდავოა, რომ მის ფარგლებსაც სცილდება.

ქვაბულის ჭრილი გეოლოგიური თვალსაზრისით 1972 წელს შეისწავლა ჰ. ჯანელიძემ. მისი მონაცემების მიხედვით, ზემოდან I ფენა 1,8 მ-ის სიღრმემდე წარმოადგენს თანამედროვე კულტურულ ფენას, რომელიც შეიცავს




ნახ. 4

აგურისა და კრამიტის ნატეხებსა და სხვა ჩანართებს; II ფენა (1,8 მ-დან 2,3 მ-მდე) ღია მოყვითალო ფერის თიხაა, რომელშიც აქა-იქ ჩართულია მცირე ზომის დაკუთხული ქვები; III ფენა (2,3—2,7 მ) მუქი მოყვითალო ფერის პროლუვიური თიხებია; IV ფენა (2, 7—2,8 მ) შეიცავს მცირე ზომის დაკუთხულ ქვებს; V ფენა (2,8 მ-დან — 3,0 მ-მდე) ყვითელი თიხებია; VI ფენა (3,0—3,5 მ) წარმოდგენილია ღვარცოფული ნალექების ჰორიზონტით, რომელიც შეიცავს როჭკ და თიხანარევ ქვიშებს; VII ფენა (3,5—4,6 მ) წარმოადგენს მოყვითალო-მონაცრისფრო მშრალ ადვილადშლად თიხებს და შეიცავს კულტურულ ნაშთებს; VIII ფენა (4,6—5,8 მ) შეიცავს ღვარცოფულ ნალექებს, რომელიც წარმოდგენილია წვრილი ღორღიანი უხეში ქვიშებისა და ქვიშანარევი პროლუვიური თიხების შრეებით.

1972 წელს ექსპედიციის მიერ გათხრილ უბანზე შეიმჩნეოდა ცეცხლის კვალი. კულტურული ფენის ქვედა ნაწილში აღმოჩნდა ნაცრისა და ნახშირის შემცველი 10—15 სმ-ს სისქის შრე. არქეოლოგიური მასალის უდიდესი ნაწილი მოპოვებულია სწორედ ამ ნახანძრალ ფენაში. გათხრილი ფართობის სიმცირის გამო არქეოლოგიური მასალა მცირერიცხოვანია. იგი შეიცავს თიხის ჭურჭლის ნატეხებს (ნახ. 4_{1-21}; ტაბ. $1_{2, 6, 7, 8}$), ბაზალტის იარაღს (ნახ. 4_{22}, ტაბ. $1_{22.}$), შურდულის მრგვალი რიყის ქვას (ინვ. № 23), ობსიდიანის ანატკეცი-იარაღებს (ნახ. 5) და ცხოველის ძვლის ფრაგმენტებს.

დელისის ნასახლარზე მოპოვებული თიხის ჭურჭელი იმდენად ფრაგმენტულია, რომ მისი ზომისა და ფორმის შესახებ არასრული წარმოდგენა გვაქვს. ყველა მათგანი ნაძერწია ხელით. თიხა შეიცავს ობსიდიანის, ბაზალტის, ქარ-




ნახ. 5

სის, კაჟისა და სხვა წვრილკენჭოვან მინარევებს. კერამიკის ფრაგმენტები ძირითადად მორუხო-მოვარდისფროა. მათი ზედაპირი ჩვეულებრივ ხაოიანია. ზოგიერთ ნატეხს ზედა-და შიდაპირზე წვრილი ღარების სახით ეტყობა მოსწორების კვალი, ზოგიერთი კი გაპრიალებულია, მათგან ერთი (№ 16) მსგავსია მტკვარ-არაქსის კერამიკისა. ერთ ნატეხზე შემორჩენილია უნაგირისებური ფერადი შველილი. ტაბ. II_1

1976 წელს აღმოჩენილი მასალა (ნახ. 6) რამდენადმე განსხვავდება 1972 წლის მონაპოვრისაგან. კერამიკა შედარებით უფრო მუქი ფერისაა, ზედაპირი მორუხო-მონაცრისფროა, ხოლო შიდაპირი და კეცი — მოშავო. იგი არ შეიცავს ობსიდიანის, ბაზალტისა და კაჟის მინარევებს, სამაგიეროდ გვხვდება შამოტის ჩანართები. ეს კერამიკა თავისი საერთო იერით, კეცით და ფაქტურით ახლო დგას შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის თიხის ჭურჭელთან. აღნიშნულ მასალასთან ერთად აღმოჩნდა აგრეთვე შედარებით განლექილი თიხისაგან დამზადებული, შავპრიალა ზედაპირიანი თიხის ჭურჭლის ორი ფრაგმენტი. ერთი მათგანი ვარდისფერსარჩულიანია (ნახ. 6d), ერთზე კი შემორჩენილია კოპისებური დანაძერწი (ნახ. 6b). აქვეა ნაპოვნი ობსიდიანის ქუსლამოღარული ისრისპირი (ნახ. 6c). აღნიშნული მასალა აღმოჩენილია ექსკავატორით მუშაობის დროს ძლიერ დაზიანებულ ფართობზე, რის გამოც რომელიმე ფენისადმი მისი უდავოდ მიკუთვნება არ შეგვიძლია. შავპრიალა ზედაპირიანი კერამიკა და ობსიდიანის ქუსლამოღარული ისრისპირი ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი. ეს გარემოება კი გვავარაუდებინებს, რომ დელისის ნასახლარზე არსებობს უფრო გვიანი პერიოდის ფენაც. სავარაუდოა, ამ პერიოდს ეკუთვნოდეს ზედა ფენა.

დელისის კერამიკული ნაწარმი მსგავსებას პოულობს როგორც შულავერ-შომუ-თეფეს (წოფი, მუღანის ველი და სხვა), ასევე დასავლეთ საქართველოს თანადროულ ძეგლებთან.



ნახ. 6

დელისის ნასახლარის თიხის ჭურჭელი ფორმით, ზედაპირის დამუშავების ტექნიკით, ფაქტურითა და კეცით გარკვეულ მსგავსებას პოულობს სამელეკლდის ენეოლითურ კერამიკასთან[3]. ხოლო მოშავო-მონაცრისფრო კერამიკა კი, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ახლო დგას შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის თიხის ჭურჭელთან. დელისის ნასახლარის მასალას შულავერ-შომუ-

[3] Л. Глонти, А. Джавахишвили, Я. Киквидзе, Г. Джавахишвили, Д. Тушабрамишвили. Некоторые итоги полевых работ 1964 года, Урбнисской и Квирильской археологических экспедиции. ВГМГ XXV—B, 1968, с. 8.

თეფეს კულტურის ძეგლებთან აკავშირებს აგრეთვე ამ ძეგლებზე მოპოვებული შვერილებიანი კერამიკა (წოფი[4], ბუღანის ველის ძეგლები[5]).

დელისის ნასახლარის ქვის ნაწარმის შესწავლის შედეგად ლ. ნებიერიძე მივიდა შემდეგ დასკვნამდე: დელისის ნასახლარის ქვის ნაწარმი თავისი საერთო ნიშნებით ეკუთვნის ენეოლითური პერიოდის დროის იმ მონაკვეთს, როცა ქვის დამუშავების ტექნიკა საგრძნობლად ეცემა, ხოლო იარაღი გადაგვარებას განიცდის. ენეოლითისათვის ფართოდ დამახასიათებელ მიკრო ლამელებს აქ უკვე დაკარგული აქვს თავისი მნიშვნელობა. ძირითადად გვხვდება უსახური ანატკეც-ანამტვრევები და დაბალი ხარისხის ლამელისებური ანატკეცები. დაბალია აგრეთვე მეორადი დამუშავების ხარისხი — რეტუში უხეში, მსხვილფაცეტიანი და არათანმიმდევრულია. დარღვეულია ქვის ხანის საფხეკებისათვის დამახასიათებელი სამუშაო პირის გაფორმების ყოველგვარი ტრადიცია. დელისის ნასახლარის ქვის ნაწარმში ადვილად გამოიცნობა განვლილი საფეხურისათვის (ნეოლითი, ადრეენეოლითი) დამახასიათებელი, მაგრამ აქ უკვე ძალიან გადაგვარებული იარაღი: მიკრო და ბოლოკიდურა საფხეკები, საჭრისები და ასტამისებური იარაღი. მისი აზრით, ქვის ნაწარმის დამზადების ტექნიკა დელისის ნასახლარზე საგრძნობლად არის დაქვეითებული, მაგრამ ქვის დამუშავების ეს პროცესი კიდევ უფრო შორსაა წასული ადრებრინჯაოს ხანაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ დელისის ნასახლარს ადრესამიწათმოქმედო კულტურის იმ საფეხურის ძეგლად მივიჩნევთ, სადაც თავს იჩენს ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშნები და მის აბსოლუტურ თარიღს განვსაზღვრავთ დაახლოებით ძვ. წ. V ათასწლეულის დასასრულითა და IV ათასწლეულის I ნახევრით. დელისის ნასახლარის აბსოლუტური თარიღის განსაზღვრისას ძირითად საყრდენს წარმოადგენს ის გარემოება, რომ, ჩვენი აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურის უძველესი ძეგლის ქვედა ქრონოლოგიური თარიღი ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებით უნდა განისაზღვროს[6].

დელისის ნასახლარზე მოპოვებული მასალის მსგავსება, ერთი მხრივ, ქვემო ქართლის, ხოლო მეორე მხრივ, ზემო იმერეთის ენეოლითურ ძეგლებთან შეიძლება აიხსნას არა მხოლოდ ქრონოლოგიური ფაქტორით, არამედ იმ გარემოებითაც, რომ დელისის ნასახლარი მდებარეობს ქვემო ქართლსა და ზემო იმერეთს შორის და ამის გამო აქ აისახა ამ ორი რამდენადმე განსხვავებული სინქრონული კულტურის გავლენა.

მასალის სიმცირე არ იძლევა საშუალებას გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ დელისის ნასახლარის მკვიდრთა სამეურნეო ყოფაზე. არსებული მონაცემების საფუძველზე, გარდა თავისთავად სავარაუდო მეთუნეობისა და ქვის წარმოებისა, ოსტეოლოგიური მასალის მიხედვით აშკარაა, რომ დელისის ძველ მოსახლეობას მოშინაურებული ჰყავდა როგორც წვრილფეხა (ცხვარი), ასევე მსხვილფეხა (ძროხა) საქონელი[7].

---

[4] К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили. Древние культуры Южного Кавказа, Л., 1970, с. 32, рис. 9, 3, 4, 10.

[5] И. Г. Нариманов, Ф. Р. Махмудов, Энеолитические памятники на Мугани. Известие АН Азерб. ССР, Серия истории, философии и права, № 2, Баку, 1967, с. 89, табл. I$_{1,2}$.

[6] აღნიშნული ძეგლების დათარიღების შესახებ იხილეთ წინამდებარე ნაშრომის 42—44 გვერდები.

[7] ოსტეოლოგიური მასალა განსაზღვრა პალეონტოლოგმა ო. ბენდუქიძემ.

დელისის ნასახლარზე მოპოვებული ესოდენ მცირერიცხოვანი მასალაც აშკარას ხდის თუ რამდენად საყურადღებო ძეგლია გამოვლენილი. მოსალოდნელია, რომ ძეგლის ფართო მასშტაბით შესწავლა გარკვეულ სიახლეს შეიტანს, ერთი მხრივ, ადრესამიწათმოქმედო და მტკვარ-არაქსის, ხოლო მეორე მხრივ შულავერ-შომუ-თეფესა და ზემო იმერეთის ენეოლითურ კულტურათა ურთიერთობის საკითხის გარკვევაში. თბილისის ტერიტორიაზე არსებული ამ უძველესი ძეგლის შესწავლას გადაუდებელს ხდის ის გარემოებაც, რომ უახლოეს ხანაში მას სრული განადგურება მოელის.

თრელის მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარი

დიღმის მასივსა და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე ყველაზე ადრეული ხანის ფენები მტკვარ-არაქსის კულტურას მიეკუთვნება. ამ ხანის დასახლება მდებარეობდა მდ. დიღმურას ორივე ნაპირზე, დიღმის ველის სამხრეთ ნაწილში, საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ არსებული ბორცვების აღმოსავლეთი ფერდობების ძირში. არსებული მასალების მიხედვით ეს ძეგლი რამდენიმე ჰექტარზე იყო გადაჭიმული და იმ დროისათვის საკმაოდ დიდ დასახლებას წარმოადგენდა.

მდ. დიღმურას მარჯვენა ნაპირზე მდებარე ამ დასახლების ნაწილი განადგურდა საქართველოს სამხედრო გზის რეკონსტრუქციისა და მდ. დიღმის წყლის ახალი ხიდის მშენებლობის დროს[1]. საქართველოს სამხედრო გზის რეკონსტრუქციისა და საცხოვრებელი ნაგებობების მშენებლობის დროს განადგურდა მდ. დიღმურას მარცხენა ნაპირზე მდებარე ამ დასახლების ერთი ნაწილიც. სამწუხაროდ, აღნიშნული ხანის ნასახლარის შემორჩენილი ნაწილიც საგრძნობლადაა დაზიანებული უფრო გვიანი ძეგლებითაც.

ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა სამხრეთ-აღმოსავლეთი სექტორის BC, BF და ნაწილობრივ BH ფართობებზე[2]. აღნიშნულ ტერიტორიაზე გაითხარა ადრებრინჯაოს ხანის ძლიერ დაზიანებული ნასახლარის ნაშთები, მასთან დაკავშირებული 6 ორმო და ორი (№ 26 და № 54) სამარხი (ნახ. 3)[3].


თრელების მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი ნასახლარი მრავალფენიანია. გათხრილ ფართობის ზოგიერთ უბანზე მოხერხდა სულ ცოტა სამი სტრატიგრაფიულად ურთიერთმონაცვლე ფენის დადგენა. სამი სტრატიგრაფი-

---

[1] ამის შესახებ ცნობა მოგვაწოდეს არქეოლოგებმა დ. ქორიძემ, ი. კიკვიძემ, ა. ბოხოჩაძემ და ეთნოგრაფმა ჯ. სონღულაშვილმა.

[2] თრელებზე არსებული ძეგლის ტერიტორია დაყოფილია 4(SO, SW, NO და NW) სექტორად. სექტორების გამყოფი ღერძები გადის № 1 ბორცვზე და დამხობილია ქვეყნის მხარეების მიხედვით. სექტორები დაყოფილია ფართობებად (100 მ×100 მ), ხოლო ფართობები კვადრატებად (2 მ×2 მ). ფართობები აღინიშნება ლათინური ასოებით, ხოლო კვადრატები არაბული ციფრებით. როგორც ფართობები, ასევე კვადრატები აღინიშნება იმ კუთხის პიკეტის მიხედვით, რომელ სექტორშიც იმყოფება ესა თუ ის ფართობი ან კვადრატი. ასე, მაგალითად SO სექტორში განმსაზღვრელია SO პიკეტი, ხოლო SW სექტორში SW პიკეტი (ნახ. 2, 3). თითოეული პიკეტის მრიცხველი აღნიშნავს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გამავალ ხაზს, ხოლო მნიშვნელი—დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმავალი ხაზის რიგით ნომერს.

[3] 1969 წელს საქართველოს სამხედრო გზის ე. წ. დიღმის კვანძის მშენებლებმა დააზიანეს ამ ნასახლარის კულტურული ფენები. ჩვენს ექსპედიციას სხვადასხვა მიზეზების გამო შეწყვეტილი ჰქონდა მუშაობა. გამოვლენილი ძეგლების შესახებ ცნობა მიიღო აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა, რომლის თანამშრომლებმაც (დ. ქორიძე, ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი) აქ გათხარეს მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი ორი (№№ 1, 2) ორმო. შემდეგში ჩვენს მიერ აქვე გაითხარა ექსკავატორით დაზიანებული ამავე პერიოდის დანარჩენი ორმოები. ნახ. 3-ზე შტრიხით აღნიშნულია მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარის ნაშთები.


37
41
43
57
49
38
51
68
54
63
67
36
44
52
39
35
45
59
60
34
33
53
48
40
55
56
0 2 4 8
46

Fob. 7

ული ფენის არსებობა ეჭვს არ იწვევს ორ შემთხვევაში. BF ფართობის 16/31, 32 და 26—30/25—32 კვადრატებში (ნახ. 3). 16/31,32 კვადრატში ეს ფენები უშუალოდ იყო ერთმანეთზე განლაგებული, ხოლო მეორე უბანზე, მართალია, სამივე ფენა უშუალოდ ერთიმეორეზე არა დევს, მაგრამ ამ ფენების შედარებით პატარა ფართობზე და სხვადასხვა დონეზე აღმოჩენა მათ ურთიერთმონაცვლეობას აშკარას ხდის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გათხრილ ფართობზე ადრებრინჯაოს ხანის ფენების დონეთა სხვაობა 1,5 მ-ს აღემატება. ყველაზე ღრმად ამ დროის ფენები აღმოჩნდა BF ფართობის 40/34 და 43/33 კვადრატებში. რადგან ჩვენთვის საინტერესო პერიოდშიც სავარაუდოა დამრეცი რელიეფი, ხოლო ყველაზე დაბალი დონის შესატყვისი ფენები ჯერჯერობით ამ ნასახლარის სხვა უბნებზე არ არის გათხრილი, ამიტომ ძნელია გადაჭრით ითქვას აღნიშნულ სამ ფენასთან შედარებით აქ უფრო ძველი ფენები გვაქვს, თუ დონეთა ასეთი სხვაობა გამოწვეულია ნასახლარის ტერასული განლაგებით.


ყველაზე სრულად გათხრილია ნასახლარის ზედა ფენა (დაახ. 400 მ² ფართობზე), ხოლო ქვედა ფენები, შესწავლილია მცირე ფართობებზე. ეს ფენები, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ძლიერ დაზიანებულია მომდევნო პერიოდების ძეგლებისა და განსაკუთრებით ბრინჯაო-რკინის ხანის მჭიდროდ განლაგებული სამარხების მიერ. ამის გამო შედარებით ფართოდ გათხრილ ზედა ფენაშიც კი არ მოხერხდა თუნდაც ერთი შენობის კონტურის საგრძნობი ნაწილის გამოვლენა. მხოლოდ ერთ შემთხვევაში გაითხარა იატაკში ჩადგმული კერის ნაწილი. მართალია, ამ ხანის ძლიერ ფრაგმენტირებული კერამიკული მასალა და ობსიდიანის ანატკეცები თითქმის მთელ გათხრილ ფართობზე გვხვდებოდა, მაგრამ იატაკის თუ დონის დადგენა უმეტეს წილად 1 მ²-ზე ნაკლებ მონაკვეთებზე მოხერხდა. ამას თან ერთვის ისიც, რომ კულტურული ფენები საკმაოდ სუსტია (მათი სისქე დაახლოებით 10—14 სმ-ია), ხოლო აქ მოპოვებული მასალა მცირე რაოდენობისაა და უსახურია. ყოველივე აღნიშნულის გამო, ნასახლარის კულტურული ფენების ქრონოლოგიური გამიჯვნა დღეისათვის მოპოვებული მასალის მიხედვით არ ხერხდება.

მიუხედავად იმისა, რომ თრელის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარზე არ არის აღმოჩენილი ნაგებობის კედლები, აქ აღმოჩენილი ბათქაშის ნატეხები ხის ძელების კვალით მიგვითითებს თიხით შელესილი ხის ნაგებობის არსებობაზე.

არსებული მონაცემების მიხედვით ნასახლარზე გამოვლენილი ორმოები დაკავშირებული უნდა იყოს ქვედა ფენებთან. № 3 ორმო უდავოდ მესამე ფენის დროინდელია. სტრატიგრაფიული მონაცემებით სავარაუდოა, რომ ამავე ფენას ეკუთვნის № 5 ორმოც. ვერ მოხერხდა დანარჩენი ორმოების რომელიმე ფენასთან დაკავშირება, მაგრამ ყველა ორმოში აღმოჩენილი მასალის ერთგვაროვნება გარკვეულ საფუძველს გვაძლევს დანარჩენი ორმოებიც მათ სინქრონულად მივიჩნიოთ (ნახ. 7—13).

ზემოაღნიშნული ორმოებიდან ხუთი აღმოჩნდა BF ფართობზე (№ 1—18/49, № 2—11/21, № 3—16/32, № 4—8/20, № 5—29/19 კვადრატებში), ერთი კი (№ 6) — BH ფართობის 35/38 კვადრატში. იგი ყველაზე მეტად იყო დაზიანებული და მასალასაც მცირერიცხოვანს შეიცავდა.


თრელის ნასახლარზე გათხრილ ორმოებს ხაროსებური ფორმა და ბრტყელი ძირი აქვს. მათი სიმაღლე 1,1—2 მ-ს შორის მერყეობს. პირის დიამეტრი 0,5 მ-სა და 0,6 მ-ს შორის, ხოლო ძირისა 0,8 მ-სა და 1,1 მ-ს შორის. აღსანიშნავია, რომ ორმოებში გვხვდებოდა ერთგვაროვანი მასალა; თიხის ჭურჭლისა და


0 1 3
106
112
80
78
104
105
81
90
77
110
100
103
111
85
102
101
108
116
83
82
127
79
124
98
115
88
87
120
123
130
86
97
125
84
109
0 3 6 9
76
0 2 4 6
75
94

Obr. 8

ბათქაშის ფრაგმენტები, ობსიდიანის უსახო ანატკეცები და მცირე რაოდენობით ძვლის ფრაგმენტები. ყველა ორმოს ეტყობოდა ცეცხლის კვალი. ცეცხლის კვალი ეტყობა ორმოებში აღმოჩენილ კერამიკასაც. ხშირია შემთხვევა როდესაც ერთი ჭურჭლის ფრაგმენტები სხვადასხვა ფერისაა. რიგ შემთხვევაში კერამიკას იმდენად ძლიერი ტემპერატურის ზემოქმედება განუცდია, რომ ჭურჭელი დეფორმირებულია ან კიდევ ნაწილობრივ წიდად არის ქცეული.

თრელის მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი კერამიკა ნაძერწია ხელით. თიხაში შერეულია შამოტი, ქარსის წვრილი მინარევები და, იშვიათ შემთხვევაში, ხვინჭკა. ჭურჭელი სქელკეციანია და გამომწვარია მოწითალოდ ან



ნახ. 9


ფერადი ტაბ. II_2, III

მოყვითალოდ, გვხვდება შავად ნაპრიალებზედაპირიანი ჭურჭლის ფრაგმენტებიც. იშვიათ შემთხვევაში გვხვდება კერამიკა რელიეფური ორნამენტით.

ორმოებში მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელ კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა მცენარეულჩანართებიანი თიხის ჭურჭელი. იგი გამომწვარია მოწითალოდ, აქვს სქელი კეცი, ნაძერწია ფენებად და ძირითადად ანგობირებულია. რიგ შემთხვევაში შეღებილია წითლად. მცენარეული მინარევების გარდა თიხაში გვხვდება შედარებით მსხვილი კენჭები.

თრელის კერამიკულ მასალაში შეიძლება გამოიყოს ჭურჭლის ოთხი ძირითადი ფორმა: ორყურა ქოთნები (ნახ. $7_{33-35, 37}$; $8_{75, 76, 77}$; $9_{148, 149}$; $11_{204, 205}$), შედარებით პატარა ზომის ცალყურა ქოთნები (ნახ. $7_{39, 40}$; $8_{78, 79, 80, 81}$), დერგები (ნახ. $7_{46, 48}$; 8_{94}, $11_{207, 219, 220}$) და ჯამები (ნახ. 7_{52}; 8_{101}; $9_{162, 163}$; $10_{185, 183}$). ორყურა ქოთნებს ახასიათებს მაღალი ცილინდრული ყელი და ოდნავ გადაშლილი პირი, ფართო მუცელი და ძირისაკენ რამდენადმე შევიწროებული ტანი. ყურები ასეთ ჭურჭელს, როგორც წესი, მიძერწილი აქვს ყელისა და მხრის შეერთებასთან. მსგავს ქოთნებს ვხვდებით მტკვარ-არაქსის კულტურის თით-


ქმის ყველა ადრეულ ძეგლზე: დიდუბეში[4], კიკეთში[5], სამშვილდეში[6], ხიზანაანთ გორის E ფენაში[7], ღრმახევისთავზე (ნახ. 14 a, b, l). ანალოგიური ჭურჭლის ფრაგმენტები ცნობილია ლუგოვოს ნამოსახლარიდანაც[8]. პატარა ზომის ცალყურა ქოთნები ასევე დამახასიათებელია მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ძეგლებისათვის. მსგავსი ქოთნები აღმოჩენილია სამშვილდეში[9], დიდუბეში[10], კიკეთში[11], ღრმახევისთავზე (ნახ. 14g.p), ხიზანაანთ გორის E ფენაში[12]. თრელის ნასახლარზე დერგები რამდენიმე სახისაა. № 2 ორმოში აღმოჩენილია სამყურა დერგი (ნახ. 8_{94}). მას თანაბრად გამობერილი მუცელი და ძირისაკენ შევიწროებული ტანი აქვს. აღნიშნული კულტურის ძეგლებიდან რამდენიმე მსგავსი ჭურჭელია ცნობილი, მაგრამ ყველა ისინი ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან. ასე მაგალითად, ხიზანაანთ გორის E ფენაში აღმოჩენილ დერგს მხარზე აქვს პატარა ზომის ნახვრეტი, ყურები კი განლაგებულია მუცლის წიბოზე[13]. კიკეთის № 3 ორმოში ნაპოვნი დერგი შედარებით ვიწროყელიანია და მხარზე მიძერწილი აქვს დიდი ზომის ყურები[14]. რამდენადმე განსხვავდება თრელის სამყურა დერგისაგან სადგურ მეტეხთან აღმოჩენილი ჭურჭელიც[15]. იგი თითქმის სფერულია და ოდნავ ვიწროვდება ძირისაკენ. თრელის ნასახლარზე აღმოჩენილია დერგის ფრაგმენტებიც (შემორჩენილია მხოლოდ ყელის ნაწილი), რომელსაც ყელისა და მხრის შეერთების ადგილას აქვს პატარა ზომის ნახვრეტები (ნახ. 7_{48}, 11_{218}). ამ დერგებს ახასიათებს მაღალი ცილინდრული ყელი და ოდნავ გადაშლილი პირი. ნახვრეტებიანი დერგები აღმოჩენილია ქვაცხელას B_2 ფენაში[16] და სადგურ მეტეხთან[17], მაგრამ ორივე მათგანი ფორმით მკვეთრად განსხვავდება თრელის ზემოაღნიშნული ჭურჭლისაგან. თრელზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ქოთნის ფორმის დერგის ყელ-პირის ფრაგმენტები (ნახ. $8_{97,120,127}$). მსგავსი ჭურჭელი მრავლადაა აღმოჩენილი ხიზანაანთ გორის E ფენაში[18]. თრელზე მოპო-



ნახ. 10


---

[4] დ. ქორიძე. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. I, თბ., 1955, ტაბ. $I_{3,4}$—IV.
[5] გ. ფხაკაძე. ქვემო ქართლის ენეოლითი. თბ., 1963, ტაბ. III_3—$VIII_8$.
[6] გ. მირცხულავა. სამშვილდე. თბ., 975, ტაბ. XVI_3.
[7] ი. კიკვიძე. ხიზანაანთ გორის აღრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. თბ., 972, ტაბ. $XXVIII_3$.
[8] Р. М. Мунчаев. Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа, МИА-100, М, 1961, табл. $XV_{1,2}$.
[9] გ. მირცხულავა. დასახ. ნაშრ. ტ. $XIX_{4,5}$, $XX_{5,8}$.
[10] დ. ქორიძე. დასახ. ნაშრ. ტაბ. $I_{4,5}$.
[11] გ. ფხაკაძე. დასახ. ნაშრ. ტაბ. IV_3, XII_4, $XIII_3$.
[12] ი. კიკვიძე. დასახ. ნაშრ. ტაბ. $XXVIII_5$.
[13] ო. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბ., 1976 სურ. 36_{11}.
[14] გ. ფხაკაძე, დასახ. ნაშრ., სურ 11_2.
[15] გ. ფხაკაძე. აღრებრინჯაოს ხანის ნასახლარი სადგურ მეტეხთან. მაცნე, 1967, № 6, ტაბ. II_1.
[16] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი. ურბნისი, I. თბ., 1962, ტაბ. $XXIX_2$.
[17] გ. ფხაკაძე. აღრებრინჯაოს ხანის ნასახლარი სადგურ მეტეხთან. ტაბ. III.
[18] ი. კიკვიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 67.


268
250
248
230
245
252
244
246
223
236
233
210
212
205
247
215
211
217
265
227
219
240
204
258
207
267
206
229
220
243
249
208
214
213
224
228
209
0 2 4 6
218

Бяб. 11

ვებული ჯამებიც იმეორებენ მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ძეგლებზე აღმოჩენილი ჭურჭლის ფორმებს (დიდუბე[19], კიკეთი[20], სამშვილდე[21], ხიზანაანთ გორის E ფენა[22]). თრელის ნასახლარზე № 2 ორმოში მოპოვებულია საწური, რომელსაც დახვრეტილი ძირი აქვს. ნახვრეტებიანი ჭურჭელი აღმოჩენილია დიდუბეში, მხოლოდ ამ უკანასკნელს პირველისაგან განსხვავებით გვერდები აქვს დახვრეტილი[23]. № 1 და № 2 ორმოებში გარდა თიხის ჭურჭლისა აღმოჩენილია რქისებურშვერილიანი სადგარის ფრაგმენტები (ნახ. 7$_{56}$). ანალოგიური სადგარები ცნობილია მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ძეგლებიდან (ღრმახევისთავი[24], ხიზანაანთ გორის E ფენა[25], ზემო ავჭალა[26], ქულბაქევი[27], ქიულთეფეს II ფენა[28], შენგავითი[29] და ლუგოვოს ნამოსახლარი[30]). თრელის ნასახლარზე (კულტურულ ფენაში) აღმოჩენილია ქსოვილიანი კერამიკაც. ქსოვილიანი თიხის ჭურჭელი გვხვდება მტკვარ-არაქსის კულტურის როგორც ადრეულ (დიდუბე[31], ღრმაზევისთავი[32], სამშვილდე[33]), ასევე გვიანი ხანის ძეგლებზე (ამირანის გორა[34], ქვაცხელა[35], სტეპანაკერტი[36]. თრელზე დადასტურებულია აგრეთვე ჭურჭლის სარტყლებად ძერწვის წესი. № 1 ორმოში აღმოჩენილია ამ ტექნიკით ნაძერწი თიხის ჭურ-




ნახ. 12

[19] დ. ქორიძე. დასახ. ნაშრ. ტაბ. III$_{17}$, IV$_{1, 5, 6}$.
[20] გ. ფხაკაძე. დასახ. ნაშრ., ტაბ. XV$_{12, 3}$, IX$_{41, 10}$.
[21] ი. მირცხულავა. დასახ. ნაშრ. ტაბ. XL$_1$.
[22] ი. კიკვიძე. დასახ. ნაშრ. ტაბ. XXVIII$_8$.
[23] დ. ქორიძე. დასახ. ნაშრ. ტაბ. VI.
[24] Р. Абрамишвили, К. Кахиани, Д. Гоцiридзе. Грмахевиставское поселение и могильник. Полевые археологические исследования в 1974 году. Табл. XIV.
[25] ი. კიკვიძე. დასახ. ნაშრ.; ტაბ. XXVIII$_6$.
[26] გ. ფხაკაძე. დასახ. ნაშრ.; სურ. 11$_4$.
[27] ო. ჯაფარიძე. ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961. სურ. 4$_4$.
[28] Р. М. Мунчаев. Кавказ на заре бронзового века. Москва, 1975, рис. 214
[29] Р. М. Мунчаев. დასახ. ნაშრ. სურ. 21, $_{10, 11}$.
[30] Р. М. Мунчаев. Древнейшая культура северо-восточного Кавказа МИА 100, М. 1961, табл. XIX$_{2, 4}$.
[31] დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ. ტაბ. IX$_1$.
[32] Р. Абрамишвили, К. Кахиани, Д. Гоцiридзе. დასახ. ნაშრ. გვ. 20—22.
[33] გ. მირცხულავა. დასახ. ნაშრ. გვ. 2.
[34] ტ. ჩუბინაშვილი. ამირანის გორა. თბ., 1963, ტაბ. XVIII$_2$.
[35] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი. ურბნისი I. თბ., 1962, გვ. 49.
[36] Я. И. Гуммель. Памятники древности в окрестностях Килик-дага. Изв. Аз. Ф. АН СССР. 2. Баку, 1941, с. 34, рис. 6.

ჭლის ორი ფრაგმენტი (ინვ. № 80, 61). სარტყლები ორივე მხრიდან შელესილია თიხის სქელი ფენით. ჭურჭლის დამზადების ანალოგიური წესი ცნობილია დიდუბიდან[37] და ხიზანაანთ გორის E ფენიდან[38].

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ორმოებში (გამონაკლისია № 4 ორმო) მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკასთან ერთად აღმოჩენილია ბზენარევი კერამიკა. იგი, როგორც წესი, ანგობირებულია. ბზენარევი ჭურჭელი ძირითადად ცილინდრული ფორმისაა. გვხვდება მაღალი, რამდენადმე ტანში გამოყვანილი (ნახ. 7_{67}) და დაბალი ბრტყელძირა პირგადაშლილი ჭურჭელი (ნახ. $8_{123, 125, 130}$, 12_{284}). ანალოგიური ჭურჭელი მტკვარ-არაქსის კულტურის სხვა ძეგლებზე არ არის აღმოჩენილი.




ნახ. 13

მცენარეულჩანართებიანი კერამიკა დამახასიათებელია ენეოლითის ხანისათვის და მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე მას არ ვხვდებით. ამ მხრივ გამონაკლისია თრელის (№ № 1, 2, 3, 5, 6) და ღრმახევისათვის ადრეული ქრონოლოგიური ჯგუფის ორმოები, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელ კერამიკასთან თანაარსებობს ბზენარევი ჭურჭელი.

თრელის ზემოაღნიშნული კერამიკა უახლოეს პარალელებს მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ჯგუფის ძეგლებთან პოულობს. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ თრელის ნასახლარის ქვედა ფენების მასალა ქრონოლოგიუ-

[37] დ. ქორიძე. დასახ. ნაშრ. ტაბ. $VIII_1$.
[38] ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ. ტ. $XXVIII_9$.

რად წინ უნდა უსწრებდეს მტკვარ-არაქსის კულტურის დღემდე ცნობილ ყველა ძეგლს. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ თრელის ნასახლარის მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ჯგუფის კერამიკასთან ერთად აღმო-



ნახ. 14

ჩენილია ბზენარევი თიხის ჭურჭელი. ბზენარევი კერამიკა კი, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია ამიერკავკასიის წინამორბედი კულტურისათვის.

მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ძეგლები მკვლევართა მიერ დათარიღებულია ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრით[39], თუ მისი დასასრულით. რადგან ჩვენ, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ვგულისხმობთ, რომ თრელის ნასახლარის ქვედა ფენები ქრონოლოგიური თვალსაზრისით წინ უსწრებს მტკვარ-არაქსის კულტურის დღემდე ცნობილ ყველა ძეგლს, მის ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად, ზოგადად, ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებს მივიჩნევთ, ხოლო ზედა საზღვრად კი ძვ. წ. IV ათასწლეულის მესამე ნახევარს ვგულისხმობთ.

მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებიდან თრელის ნასახლარის ქვედა ფენების სინქრონულად მიგვაჩნია ღრმახევისათვის მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ქრონოლოგიური ჯგუფის ორმოები. აქაც აღნიშნული კულტურის ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელ თიხის ჭურჭელთან ერთად თანაარსებობს მცენარეულჩანართებიანი კერამიკა[40].

მიუხედავად იმისა, რომ დღეს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მტკვარ-არაქსის კულტურის შესწავლას, მისი თავდაპირველი კერის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

ბ. კუფტინი მტკვარ-არაქსის კულტურის სამშობლოს მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთით საზღვრავდა[41]. ა. ა. იესენი ფიქრობდა, რომ ძირითადი კერა, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურა ჩამოყალიბდა, მდებარეობდა საქართველოში, სომხეთში და აღმოსავლეთ ანატოლიაში[42]. რ. ბარნეი თავდაპირველად ამ კულტურის სამშობლოს აღმოსავლეთ ანატოლიაში გულისხმობდა, შემდეგ კი აღნიშნულ კულტურას მან ადრეულ ამიერკავკასიური უწოდა[43]. ტ. ბურტონ-ბრაუნის აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები პირველად აზერბაიჯანსა და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩნდნენ[44].

ტ. ჩუბინიშვილს დაუშვებლად მიაჩნია მტკვარ-არაქსის კულტურის რომელიმე ერთი პირვანდელი კერის არსებობა[45]. მისი აზრით, ამ კულტურის საწყისი ელემენტები მოჩანს მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე[45]. ო. ჯაფარიძე კი ვარაუდობს, რომ ერთ-ერთი არე, სადაც უნდა მომხდარიყო მტკვარ-არაქსის კულტურის ფორმირების პროცესი, უნდა იყოს ქვემო ქართლი თავისი მიმდგომი რაიონებით[47]. აღნიშნული მოსაზრება უფრო მეტად საფუძვლიანი გახდა მტკვარ-არაქსის კულტურის დღეისათვის ცნობილი უძველესი ძეგლების, თრელისა და ღრმახევისათვის აღმოჩენის შემდეგ.

თრელის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ამავე პერიოდის ორი სამარხი (№№ 26 და 54).

---

[39] ო. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. გვ 83.

[40] Р. М. Абрамишвили, К. К. Кахиани, Д. И. Гоциридзе. Грмахевистависские селища и могильники. Полевые археологические исследования в 1974 году, Тб., 1967, с. 21—22.

[41] Б. Куфтин. Урартские «колумбарии» у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит. ВГМГ, т. XIII-B. 1943, с. 126.

[42] А. А. Иессен. Кавказ и древний Восток в IV—III тысячелетии до н. э. КСИА, —93, Москва, 1963, с. 14.

[43] Ch. A. Burney. The Excavation at V Yanik-tepe, Azerbaijan, 1962, Iraq, vol. XXVI, part I, 1964, გვ. 54.


[44] T. Burton Brown. Third Millenniam Diffusion. Oxford, 1970, გვ. 5.

[45] Т. Чубинашвили. К древней истории Южного Кавказа, Тб., 1971, с. 135.

[46] Т. Чубинашвили. დასახ. ნაშრ., გვ. 135—136.

[47] ო. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. გვ. 76.

სამარხი № 26 (ნახ. 3, 15., ტაბ. XII$_1$). სავარაუდოა, რომ იგი წარმოადგენდა მიწაყრილიან ყორღანს. მას გარშემო შემოუყვება ძირითადად ნაფლეთი ქვიშაქვისაგან შედგენილი წრე. გათხრისას სამარხი მთლიანად დაფარული იყო თრელიგორებიდან ჩამოწოლილი მიწის სქელი ფენით. აღნიშნულის გამო ამ ფენიდან ყორღანული მიწაყრილის გამოყოფა ვერ მოხერხდა. მის არსებობას ვვარაუდობთ იმის გამო, რომ ქვებისაგან შემდგარი წრის ყრილი გარეთა ნაწილისაკენ რამდენადმე გადაქანებულია.



ნახ. 15


სამარხის წრე აღმოჩნდა BF ფართობის 27—30/25—29 კვადრატებში, ნოლი ხაზიდან 1,64 მ-ის სიღრმეზე[48]. წრის შუა ნაწილში (29—27 კვადრატებში) დაახლოებით იგივე დონეზე გაითხარა ქვაყრილი, რომლის ქვეშ აღმოჩნდა დასაკრძალავი ორმო. სამარხის იატაკი ქვაყრილის ზედაპირიდან 1,0 მ-ზე მდებარეობდა. სამარხში აღმოჩნდა მცირეწლოვანი ბავშვის ჩონჩხი. იგი დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ბავშვის ჩონჩხი და მის მახლობლად არსებული ფართობი რკინის ჟანგით — ოქრით წითლად იყო შეღებილი. მიცვალებულისათვის ინვენტარი არ ჩაუტანებიათ.

სტრატიგრაფიული მონაცემების მიხედვით აღნიშნული სამარხი უდავოდ მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელია. სამარხის მახლობლად დადასტურებულია ამ კულტურის ნაშთების შემცველი სამი ფენა. ერთი მათგანი სამარხის ქვაყრილზე მაღლაა, მეორე — სამარხის ქვაყრილის ძირის დონეზე, ხოლო მესამე — დასაკრძალავი ორმოს ქვეშ. ზემოაღნიშნულის მიხედვით № 26 სამარხი მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი ნასახლარის შუა პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ აქ აღმოჩნდა მიცვალებულის ოქრით შეღებილი ჩონჩხი. აღნიშნული რიტუალი კი ფართოდ იყო გავრცელებული ძვ. წ. IV—III ათასწლეულებში დასავლეთ ციმბირიდან სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ჩათვლით[49].

სამარხი № 54 აღმოჩნდა BF ფართობის 11—12/30—31 კვადრატებში, ნოლი ხაზიდან 1,15 მ-ის სიღრმეზე (სამარხის იატაკი). სავარაუდოა, რომ იგი წარმოადგენდა ორმოიან ყორღანს, რომელიც ექსკავატორით თითქმის იატაკამდე იყო აღებული გზის მშენებლობის დროს. სამარხი, როგორც ჩანს, გადახურული ყოფილა ხის ძელებით, რომლის ჩაქცევის შემდეგაც ყორღანის ყრილის ქვებს ჩაუღწევიათ სამარხის ძირამდე. დასაკრძალავი ორმო რამდენად-


[48] ნოლის ხაზი გადის № 37 სამარხის ზღუდის პირზე, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში (ნახ. 3).

[49] Н. Я. Мерперт. О связях Северного Причерноморья и Балкан в раннем бронзовом веке. КСИА, 105, с. 14—15.



ნახ. 16

მე წაგრძელებული იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ინვენტარის გავრცელების მიხედვით მისი ზომებია 1,8 მ×1,7 მ-ზე. სამარხის იატაკზე უწესრიგოდ იყო მიმოფანტული ადამიანის ცალკეული ძვლები და თიხის ჭურჭლის ნატეხები. (ნახ. 16).



ნახ. 17

სამარხში აღმოჩენილი ჭურჭელი (ნახ. 17) თავისი სპეციფიკური ნიშნებით (შავპრიალა ზედაპირი, ვარდისფერი სარჩული, ოდნავ გამოყვანილი ქვედა ტანი) ადრებრინჯაოს ხანის გვიან საფეხურს უნდა მიეკუთვნებოდეს.

მიუხედავად იმისა, რომ თრელის მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარისა და სამაროვნის გათხრილი ნაწილი ძლიერ დაზიანებული და ფრაგმენტულია და ამის გამო, დღეისათვის მოპოვებული მასალის მიხედვით, წამოჭრილი საკითხების მტკიცების საშუალება არა გვაქვს, უდავოა, რომ აღნიშნულ ძეგლს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თრელის მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი ნასახლარი ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ძეგლთაგანია, რომელიც მოიცავს ამ კულტურის განვითარების მთელ პერიოდს. ვიმედოვნებთ, რომ ამ ძეგლის შედარებით დაუზიანებელი ფენების სათანადოდ

შესწავლა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს, ერთი მხრივ, წინამორბედი და მომდევნო ხანის კულტურებთან მტკვარ-არაქსის კულტურის ურთიერთობის საკითხის გარკვევაში, ხოლო მეორე მხრივ, ამ კულტურის შედარებითი და აბსოლუტური ქრონოლოგიური შკალის დაზუსტებაში. ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს, შესასწავლი ძეგლის მაგალითზე თვალი გავადევნოთ მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ეტაპებს უძველესი დროიდან მის გვიან საფეხურამდე. ყოველივე აღნიშნულის საწინდარია ძეგლის მრავალფენიანობა და ის გარემოება, რომ იგი შეიცავს როგორც ადრეულ, ასევე მომდევნო კულტურებთან დამაკავშირებელ ელემენტებს.

თრელის შუა-და გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი

თრელის სამაროვანზე 1968—1975 წლებში გათხრილია 129 სამარხი. მათ შორის ადრებრინჯაოს ხანისაა ორი სამარხი[1], შუაბრინჯაოსი — რვა[2], ანტიკური პერიოდის — თორმეტი[3], ფეოდალური ხანის — ორი[4], დანარჩენი სამარხები კი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას მიეკუთვნება.

სამარხების უმრავლესობა აღმოჩენილია SO სექტორის BG და BF ფართობებზე, შედარებით მცირე ნაწილი — CB და CC ფართობებზე, ხოლო ერთი სამარხი — BH ფართობზე[6] (ნახ. 2,3).

წინამდებარე ნაშრომის ამ ნაწილში ვიხილავთ შუა-და გვიანბრინჯაოს ხანის სამარხებს ძვ. წ. XII ს-ის მიწურულამდე.

განსახილველ სამარხთა შორის შუაბრინჯაოს ხანისაა №№ 43, 51 და 53 სამარხები.

სამარხი № 43 (ნახ. 3, 18, 19, ტაბ. XII_2—XVI) აღმოჩნდა BG ფართობის 28—30_{1-4} კვადრატებში, ნოლი ხაზიდან 21 მ. სიღრმეზე (იატაკი). გეგმაში სამარხი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ წაგრძელებული კუთხეებმომრგვალებული მართკუთხედის ფორმისაა (5,5×2,1 მ-ზე). დასაკრძალავი ორმო ამოღებულია გრუნტში. ორმოს კედლები შეულესავთ საგულდაგულოდ შერჩეული თიხით. კედლების შელესილი ნაწილის სიმაღლე 1,25 მ აღწევდა. მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ სამარხი განზრახაა დამწვარი. დაწვის შემდეგ ჩაქცეულა ბანი. დასაკრძლავი ორმო გადახურული ყოფილა როგორც განივი, ასევე სიგრძივი ძელებით. სიგრძეზე გადებული ძელი აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. იგი აღმოსავლეთის კუთხიდან სამარხის შუა ნაწილამდე იატაკისაკენ ეშვებოდა. სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლის მახლობლად აღმოჩენილი განივი ძელებიც იატაკიდან 0,65 მეტრ სიმაღლეზე იყო.

დაწვის შემდეგ ყველაზე ღრმად გადახურვა ჩავარდნილა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნახევარში. ბანის ძელები აქ იატაკზე იდო. სამარხი ჩამოწოლილ ბანს ზემოთ მთლიანადაა დამწვარი. გამომწვარი კედლის შელესილობა მკვეთრად გამოიყოფა გრუნტისაგან. სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნახევარში და ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელთან შემორჩენილი იყო სამარხის ზემოთ შესრულებული რიტუალის კვალი. ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან, გადახურვის ძელებს ზემოთ, აღმოჩნდა თიხის 4 ჭურჭელი (403, 399, 397, 400), მსხვილფეხა საქონლის ნეკნები და ლულოვანი ძვალი. გადახურვის ძელებს ზე-

---

[1] №№ 26 და 54 სამარხები.

[2] №№ 43, 51, 53, 74, 81, 84, 104 და 115 სამარხები.

[3] №№ 1—5, 8, 17, 18, 20—22, 25 სამარხები.

[4] №№ 15 და 27 სამარხები.

[6] № 61 სამარხი.



ნახ. 18

4. თბილისი I

მოთ გაიწმინდა აგრეთვე სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში განლაგებული 4 ჭურჭელი (№ № 386, 393, 402, 404). აღნიშნულ ჭურჭელს ძლიერი ცეცხლის ზემოქმედების გამო ფერი ძირითადად შეცვლილი აქვს. თავდაპირველი ფერი შერჩა ჭურჭლის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც, ამა თუ იმ მიზეზის გამო, მიწით იყო დაფარული.

გადახურვის ზემოთ მოთავსებული იყო მიცვალებულის ჩონჩხიც. იგი აღმოჩნდა ჩაქცეულ ბანს ზემოთ, სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნახევარში. მიცვალებულის ძვლებიც ძირითადად დამწვარი და დანახშირებულია. გადახურვის ჩამოქცევისას მიცვალებულის ძვლების ერთი ნაწილი დაცილდა ჩონჩხს. ჩონჩხის მეტ-ნაკლებად უძრავად შემორჩენილი ნაწილების მიხედვით მიცვალებული დაუკრძალავთ ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში. მარჯვენა მუხლის ძვალი მიბჯენილი იყო ნიკაპთან, ხოლო ჭუსლის ძვალი კი მენჯს ეკვროდა. მიცვალებული დასვენებული იყო მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ ის წინასწარ იყო შეკოჭილი.

ბანს ზემოთვე, სამარხის სამხრეთ ნაწილში, მიცვალებულის თავის ქალასა და № 386 თიხის ჭურჭელს შორის აღმოჩნდა ბრინჯაოს პირამიდისებური-თავიანი საკინძი (№ 410). აქვე იყო სარდიონისა და პასტის მძივებიც (№ 411).


თვით დასაკრძალავ ორმოში მიცვალებულის ჩონჩხი არ აღმოჩნდა. სამარხის გადახურვის ზემოთ აღმოჩენილ ჭურჭელს გარდა დასაკრძალავ ორმოში აღმოჩნდა 20 თიხის ჭურჭელი. 13 მათგანი (№ № 382—385, 388—391, 395, 398, 401, 407, 408) განლაგებული იყო სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, 5 (№ № 392, 394, 396, 405, 406) — ჩრდილო-დასავლეთ ნახევარში, ჩაქცეულ ძელებს ქვეშ, ხოლო ერთი მოზრდილი ქოთანი (№ 387) იდო სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კედელთან, მის შუა ნაწილში. ამ უკანასკნელში კი იდო პატარა სამარილისებური ჭურჭელი (№ 409).

სამარხში აღმოჩნდა საქონლის ძვლებიც. ჩრდილოეთის კედელთან იდო ორი ხარის თავი. თითოეულ მათგანთან ელაგა ფეხების მუხლსქვემო ნაწილების ძვლები; წინა კიდურები — სახის გასწვრივ, ხოლო უკანა კიდურები — კეფის უკან. ამას გარდა, ჩრდილო-დასავლეთით აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის ორი მთლიანი ჩონჩხი. ერთ-ერთი მათგანის კისრის მალებთან იდო ობსიდიანის ანატკეცი.


სამარხი № 51 (ნახ. 3, 20, 21, ტაბ. XVII) წარმოადგენს ქვაყრილიან ორმოსამარხს, რომელსაც გარშემო შემოვლებული ჰქონდა ქვებისაგან შედგენილი წრე. წრე დაზიანებული იყო. მისი დმ. 6 მ-ზე მეტი უნდა ყოფილიყო. სამარხის ზევით არსებული ქვაყრილის ფართობი კი 1,8 (NS)×0,9 (OW) მეტრს უდრიდა. წრე და სამარხის ზევით არსებული ქვაყრილი ძირითადად შედგებოდა დაუმუშავებელი ქვიშაქვებისაგან. სამარხის ზევით არსებულ ქვაყრილში, გარდა ამისა, შერეული იყო რიყის ქვები. ქვაყრილი დასაკრძალავ ორმოში 0,6 მ. სიღრმემდე ეშვებოდა.

სამარხის წრე აღმოჩნდა BF ფართობის 31—34/29—32 კვადრატებში, ხოლო დასაკრძალავი ორმო — 32/30 კვადრატში. წრის ქვები და ქვაყრილის ზედა წყება ნოლი ხაზიდან 0,02 მ სიღრმეზე მდებარეობდა, სამარხის ძირი კი 1,65 მ-ზე.

დასაკრძალავ ორმოს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმართული მართკუთხედის ფორმა ჰქონდა. მისი ზომებია 2,0×1,2 მ-ზე. სამარხის სამხრეთ ნაწილში დაკრძალული იყო ზრდადასრულებული ინდივიდი მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ.


0 1 2 3
410
411
400
399
381
384
385
408
407
405
406
396
395
394
381
390
402
392
398
403
401
0 2 4 6
404
389
393
394
382
0 2 4 6
387
388


Obr. 19




Bob. 20

სამარხის ჩრდილოეთ კუთხესთან აღმოჩნდა ხუთი თიხის ჭურჭელი (ს№ № 412—416).

მიცვალებულის წინ, სამარხის ჩრდილოეთ კედელთან გაიწმინდა წვრილფეხა საქონლის ცუდად დაცული თითქმის მთლიანი ჩონჩხი. წვრილფეხა საქონლის ცალკეული ძვლები აღმოჩნდა აგრეთვე სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელთან და ჩრდილოეთ კუთხეში.



ნახ. 21



Grób 22

სამარხი — № 53 (ნახ. 3, 22, 23. ტაბ. XVIII—XIX) წარმოადგენდა ოდნავ შესამჩნევი სიმაღლის ქვაყრილიან ყორღანს. მისი დასავლეთი ნაწილი გზის მშენებლობის დროს ექსკავატორმა ჩამოშრა, ხოლო ჩრდილოეთი კიდე კი № 41 სამარხის გამართვის დროს დაზიანდა.

სამარხის აღმოსავლეთ ნაწილზე ადრეფეოდალური ხანის ყორე გადადიოდა. ქვაყრილის შემორჩენილი ნაწილი აღმოჩნდა BG ფართობის 24—25/8—10 კვადრატებში, ხოლო დასაკრძალავი ორმო — 24/9 კვადრატში. ქვაყრილის საერაუდო დიამეტრი 6 მეტრამდე უნდა ყოფილიყო. მის ცენტრალურ ნაწილში შეიმჩნეოდა ძაბრისებური ჩავარდნა. აქ, ჩვეულებრივ რიყის ქვებთან ერთად, დიდი რაოდენობით აღმოჩნდა საგანგებოდ შერჩეული თეთრი (კვარცის) ქვები. ქვაყრილის ზედაპირი ნოლი ხაზიდან 0,51 მ. სიმაღლეზე მდებარეობდა, ძაბრისებურ ჩავარდნაში კი ქვები 0,15 მ. სიღრმეზე ჩადიოდა. ყორღანის დასაკრძალავი ორმო კარგად გამოიკვეთა გრუნტში. იგი გეგმაში წარმოადგენდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ წაგრძელებულ მართკუთხედს. მისი ზომებია 1,8 მ × 1,3 მ-ზე. სამარხის იატაკი ქვაყრილის ზედაპირიდან 1,26 მ აღმოჩნდა. დასაკრძალავი ორმო ხის ძელებით უნდა ყოფილიყო გადახურული.

სამარხში მიცვალებულის ჩონჩხის არავითარი ნაშთი არ აღმოჩენილა. საეარაუდოა მიცვალებულის კრემაცია. სამარხში აღმოჩნდა თერთმეტი თიხის ჭურჭელი (№№ 419—429): ოთხი — ჩრდილო კედლის გასწვრივ, სამი — აღმოსავლეთ კედელთან, ხოლო ოთხი — მათ შორის სამარხის ჩრდილოეთ ნახევარში აღმოჩნდა ბრინჯაოს სატევარი (№ 430), სამარხის შუა ნაწილში — ბრინჯაოს ორი საკინძი (№№ 431, 432), სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნახევარში სარდიონის 6 მძივი და ერთი ნიჟარა (№ 433). გარდა ამისა, სამარხის დასავლეთ კედელთან გაიწმინდა ორი წვრილფეხა საქონლის ჩონჩხი, ცენტრალურ ნაწილში — წვრილფეხა საქონლის ლულოვანი ძვლები, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში — წვრილფეხა საქონლის ნეკნები, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში კი — ბეჭის ძვალი.

შუაბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება აგრეთვე თრელის სამაროვანზე 1973—1975 წლებში გათხრილი №№ 74, 81, 84, 104 და 115 სამარხები (ნახ. 24—28).

აღნიშნული პერიოდის ყველა სამარხი წრიულქვაყრილიანი ორმოსამარხია. მათ, მიწის მაშინდელ ზედაპირზე, დასაკრძალავი ორმოს ირგვლივ, შემოვლებული ჰქონდათ ძირითადად მოზრდილი ფლეთილი ქვიშაქვისაგან შემდგარი წრე. სამარხთა ერთი ნაწილის წრის შიდა სივრცე მთლიანად იყო შევსებული რიყის ქვებით[7], ზოგიერთ შემთხვევაში კი წრის შიგნით ქვაყრილი მხოლოდ დასაკრძალავი ორმოს თავზე აღმოჩნდა, ხოლო წრის დანარჩენი შიდა ნაწილი ხრეშით იყო მოფენილი[8]. ორივე ტიპის სამარხების დასაკრძალავი ორმოს ზევით არსებულ ქვაყრილში ჩვეულებრივ შერეული იყო თეთრი ფერის (კვარცის) ქვები.

თრელის სამაროვანზე სამარხთა გამართვის ზემოაღნიშნული წეს-ჩვეულებები არსებობს როგორც წინამორბედ, ასევე მომდევნო ხანაში. ასე, მაგალითად, ქვაყრილიანი ორმოსამარხების ირგვლივ ქვებისაგან შედგენილი წრეების შემოვლება ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრიდან გეხვდება[9] და არსებობას განაგრძობს ძვ. წ. IX ს. ჩათვლით[10], ხოლო დასაკ-

---


7 სამარხები №№ 53, 74, 84 და 104.

8 სამარხები №№ 51 და 81.


9 სამარხი № 26.

10 სამარხები №№ 71, 73.

რძალავი ორმოს ზევით არსებულ ქვაყრილში კვარცის ქვების შერევა დამახასიათებელ ნიშნად რჩება ძვ. წ. XIV ს. ჩათვლით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ჩვეულებას ვხვდებით დიღმის ხეობის სხვა სამაროვნებზეც (ნამგალამიწისა და დიდგორის ქვაყრილიანი ყორღანები). თრელის სამაროვანზე



ქვებისაგან შედგენილი წრის შიდა ნაწილის ხრეშით მოფენაც არსებობას გაგრძელებს ძვ. წ. IX ს-დე[11]. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თრელის სამაროვანზე წრიულქვაყრილიანი სამარხები ძვ. წ. XIV ს. ჩათვლით სამარხის გაბატონებული ტიპია, ხოლო ძვ. წ. XIII ს-დან ძვ წ. V ს-მდე ძირითადად ქვაყრილიანი ორმოსამარხები არსებობენ, ქვებისაგან შედგენილი წრეები კი ძვ. წ. XIII—IX საუკუნეებში მხოლოდ მდიდრულ სამარხებს შემოუყვება.



ნახ. 24

ქვის წრეები არ აღმოჩნდა შუაბრინჯაოს ხანის №43 და №115 სამარხების ზევით, მაგრამ თავდაპირველად მათ არსებობას ჩვენ არ გამოვრიცხავთ. ამ სამარხების ზევით არსებული ტერიტორია ინტენსიურად იყო გამოყენებული მომდევნო ხანაში და დასაშვებია, რომ წრეები გვიან პერიოდში განადგურდა. შესაძლოა №115 სამარხის წრის ნაშთს წარმოადგენდა მის მახლობლად უწესრიგოდ დაყრილი მოზრდილი ქვიშაქვის ლოდები

თრელის სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის სამარხთა უმეტესობის წრის დმ 6—8 მეტრს შორის მერყეობს. № 74 სამარხის ქვაყრილი ძლიერ იყო დაზიანებული, მაგრამ შემორჩენილი ნაწილიდანაც ცხადია, რომ ის სხვებზე უფრო დიდი იყო და მისი დმ 10 მ აღემატებოდა.


ჩვენთვის საინტერესო სამარხთა დასაკრძალავი ორმოები გეგმაში კუთხეებმომრგვალებული წაგრძელებული მართკუთხედებია. მათი ზომები ჩვეულებრივ 1,2—1,8×0,9—1,6 მ. შორის მერყეობს, № 74 სამარხის დასაკრძალავი ორმოს სიგრძე კი 4 მ-ს აღემატება (ნახ. 27), ხოლო ყველაზე დიდი № 43 სამარხის ზომებია 5,5×2,1 მ-ზე (ნახ. 18). სავარაუდოა, რომ დასაკრძალავი ორმოები გადახურული იყო ხის ძელებით. აღნიშნული ძელების ნაშთი აღმოჩნდა № 43 და № 74 სამარხებში. დასაკრძალავი ორმოების ხის ძელებით გადახურვის მანიშნებელია აგრეთვე მათი ჩაქცევის შემდეგ ქვაყრილებში წარმოქმნილი ძაბრისებური ჩავარდნები[12] და სამარხში ჩაცვენილი ქვები, რომლებსაც საგრძნობლად აქვს დაზიანებული ინვენტარი და ძვლები[13]. სხვებისაგან განსხვავებით № 43 სამარხის დასაკრძალავი ორმოს კედლები თიხით იყო შელესილი.

თრელის სამაროვნის, ჩვენთვის საინტერესო ხანის, დასაკრძალავი ორმოები ძირითადად დაშხრობილია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ. გამონაკლისს წარმოადგენს № 53 და № 74 სამარხები, რომლებიც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენაა მიმართული. თრელის სამაროვანზე როგორც დასაკრძალავი ორმოების, ასევე მიცვალებულის ჩრდილოეთისაკენ დამხრობა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისათვისაა დამახასიათებელი. საინტერესოა აღინიშნოს ის გარემოება, რომ № 53 და № 74 სამარხები სხვა ნიშ-

11 სამარხები №№ 71 და 73.

12 სამარხები №№ 53, 74, 104.


13 სამარხები №№ 51, 81, 84.



Obr. 25

ნებითაც (ამის შესახებ იხ. ქვემოთ), შუაბრინჯაოს ხანის სამარხთა შორის, ყველაზე გვიანდელების შთაბეჭდილებას ტოვებენ. როგორც ჩანს, თრელის სამაროვანზე სამარხთა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ დამხრობა უკვე შუაბრინჯაოს ხანის მიწურულიდან იწყება.


თრელის სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის ყველა სამარხი თითო მიცვალებულისათვისაა განკუთვნილი. № 43 სამარხში ჩვენ ორ მიცვალებულს ვვარაუდობთ, მაგრამ, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ერთი მათგანი მსხვერპლად უნდა იყოს შეწირული. სამარხთა უმრავლესობაში დადასტურებულია მიცვალებულის ინჰუმაცია, № 53 და 104 სამარხებში კი კრემაციაა სავარაუდო. № 43 სამარხშიც ძირითადი მიცვალებულის კრემაციაა საგულისხმო. ამ სამარხში ძირითადი მიცვალებულისათვის შეწირული ადამიანის ჩონჩხიც ნაწილობრივ დამწვარია და ზოგიერთი ძვლები ნახშირადაც კია ქცეული. განზრახაა დამწვარი თვით სამარხიც.



ნახ. 26

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული პერიოდის იმ სამარხებში რომლებშიც ინჰუმაციაა დადასტურებული, როგორც მდედრობითი, ასევე მამრობითი სქესის წარმომადგენლები დასაფლავებულია მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით.

ცნობილია, რომ სამთავროს სამაროვნის მიხედვით გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში მამაკაცებს მარხავდნენ მარჯვენა გვერდზე, ხოლო ქალებს —



Бъб. 27

მარცხენაზე[14]. იგივე წეს-ჩვეულებასთანა გვაქვს საქმე თრელისა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა სინქრონულ სამაროვნებზე. როგორც ჩანს, აღნიშნული წეს-ჩვეულება გვიანბრინჯაოს ხანიდან იწყება.

თრელის სამაროვანზე შუაბრინჯაოს ხანაში მიცვალებულები ჩვეულებრივ დამხრობილია თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ამ მხრივაც გამონაკლისს წარმოადგენს № 74 სამარხი, რომელშიც მიცვალებული თავით ჩრდილოეთისაკენაა დასაფლავებული. როგორც ამას ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, მიცვალებულების თავით ჩრდილოეთისაკენ დამხრობა თრელის სამაროვანზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისათვისაა დამახასიათებელი. ამ ნიშნითაც № 74 სამარხი შუაბრინჯაოს ხანის სამარხებს შორის ყველაზე გვიანდელად გამოიყურება.

მიცვალებულის დაკრძალვის საყურადღებო წეს-ჩვეულება დადგინდა № 43 სამარხის გათხრისას. რიგი საკითხების კვლევისათვის საინტერესო მასალას იძლევა ამ სამარხის ინვენტარიც. აღნიშნულის გამო ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია რამდენადმე დაწვრილებით შევჩერდეთ მასზე.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ამ სამარხის დასაკრძალავი ორმოს კედლები შელესილია საგანგებოდ შერჩეული თიხით. სავარაუდოა, რომ ნეშტის კრემაციის შემდეგ ფერფლი მოათავსეს № 382 დერგში, რომელსაც ირგვლივ შემოწყობილი ჰქონდა სამი სადგარი (№ № 383—385). მიცვალებულს თან ჩაატანეს ორი წვრილფეხა საქონელი და ორი მსხვილფეხა საქონლის თავფეხი.


საფიქრებელია, რომ წვრილფეხა საქონელი დაკლულია ერთ-ერთი მათგანის კისრის მალებთან აღმოჩენილი ობსიდიანის ანატკეცით. საგულისხმოა, რომ მიცვალებულისათვის იმ ქვეყნად გატანებულ ნივთებსა და საგზალს განზრახ აყრიან მიწას იმისათვის, რომ ისინი დაიცვან დაკრძალვის რიტუალში გათვალისწინებული ხანძრისაგან. დასაკრძალავი ორმოს ხის ძელებით გადახურვის შემდეგ სამარხის თავზე იმართება ქელეხი, რომლის დროსაც სრულდება ადამიანის მსხვერპლად შეწირვის რიტუალი. მსხვერპლად შეწირული ადამიანის ჩონჩხი ისე მკვეთრად იყო მოხრილი, რომ სავარაუდოა მისი წინასწარ საგანგებოდ გათოკვა, რის შემდეგაც მას წვავენ სამარხთან ერთად (მსხვერპლად შეწირული ადამიანის ჩონჩხი აღმოჩნდა გადახურვის ძეგლებზე). ხელთარსებული მონაცემების მიხედვით, ცეცხლი საკმაოდ ძლიერი ყოფილა რის შედეგადაც გამოიწვა სამარხის კედლები და მთლიანად ან ნაწილობრივ დაიწვა გადახურვის ძელები და ყველაფერი ის რაც ბანის ზემოთ იდო. ხანძარი იმდენად ძლიერი იყო, რომ გადახურვის ზემოთ აღმოჩენილი აღაპთან დაკავშირებული შავპრიალა თიხის ჭურჭელი გაწითლებულია, ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა საგრძნობი დეფორმაციაც განიცადა.

№ 43 სამარხში აღმოჩნდა თიხის 28 ჭურჭელი, ბრინჯაოს პირამიდისებურთავიანი საკინძი და სარდიონისა და პასტის მძივები (ნახ. 19). ფერადი ტაბ. IV1–3

სამარხში აღმოჩენილი კერამიკის უდიდესი ნაწილი შავზედაპირიანია. გამონაკლისს წარმოადგენს № № 405, 406, 409 ჭურჭელი და სადგარები (№ № 383—385). ჭურჭლის საგრძნობი ნაწილი ვარდისფერსარჩულიანია (№ № 387—389, 391, 393, 396, 407, 408, 397).

ჩვეულებრივ, სარჩულის გარე პირს თხელი, ლეგა-მორუხო ფერი გადაკრავს. № № 382, 401, 409 ჭურჭელსა და სადგარებს გარდა ყველას პრიალა

[14] ალ. კალანდაძე. სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი სამთავროს უძველეს სამაროვანზე, ხელნაწერი, თბ., 1947.



Бов. 28

ზედაპირი აქვს. განსაკუთრებით გულდასმით არის გაპრიალებული № 386 ქოთანი. ჭურჭლის უმეტესობა შემკულია გაპრიალების საშუალებით დატანილი ორნამენტით. გამონაკლისს წარმოადგენს № № 382, 387, 401, 405 ჭურჭელი და სადგარები (№ 383—385). № № 401, 405, 409 ჭურჭელი უორნამენტოა; დერგი № 387 შემკულია ჭდევით დატანილი ოთხკუთხედებისაგან შედგენილი შევრონებით, ჭურჭელი № 382 და სადგარები — ღარებით, ხოლო ქოთანი № 386 როგორც პრიალა, ასევე ნაჭდევი ორნამენტით. ამ სამარხის სხვა კერამიკისაგან მკვეთრად განსხვავდება დერგი № 382 და სადგარები. ისინი მჭისე თიხისაგანაა დამზადებული და თანაბრადაა გამომწვარი. მათ როგორც კეცი, ისე ზედა და შიდა პირი მორუხო-მოწითალო ფერისა აქვთ; № 401 ჭურჭელი კი შავკეციანია, დამზადებულია მჭისე თიხისაგან და დიდი რაოდენობით შეიცავს კვარცის ჩანართებს. უხეშადაა ნაძერწი რუხი ფერის № 409 მინიატურული ჭურჭელი. სხვა ჭურჭელთან შედარებით სქელკეციანია № 382 დერგი და სადგარები, თხელი კეცით კი გამოირჩევა ნაცრისფერზედაპირიანი № 405 და № 406 ჭურჭელი. გაპრიალების საშუალებით დატანილი ორნამენტი, როგორც წესი, მოთავსებულია ჭურჭლის მხრებზე. ყველაზე ხშირად გვხვდება ერთმანეთის თავდაყირა, მიჯრით განლაგებული სამკუთხედების მწკრივი. სამკუთხედები ჩვეულებრივ ირიბი ხაზებითაა შევსებული. იშვიათად ეს ხაზები ფუძის მიმართ ვერტიკალურია (ჭურჭელი № 386). სამკუთხედები ზოგჯერ მოთავსებულია ორ კონცენტრულ ხაზს შორის, ზოგჯერ კი ეს ხაზი მარტო მხრის ზედა ნაწილში შემოუყვება ჭურჭელს. გვხვდება სამკუთხედები, რომლებიც შუაში გაყოფილია ხაზით, რომლიდანაც ორივე მხარეს, ფერდების პარალელურად ეშვება ირიბი ზოლები (ჭურჭელი № № 388, 389, 393). შედარებით იშვიათია ბადისებური ორნამენტი (ჭურჭელი № 397 და № 399). № 400 სასმისის მხარზე დატანილია ფრიზში ჩასმული, ერთმანეთის პარალელური ირიბი ხაზები. ერთ შემთხვევაში (ჭურჭელი № 407) პირის ქვევით ბიკონუსისებურ ქოთანს გარშემო შემოუყვება ტეხილი ტალღისებური ორნამენტი. ტეხილი ტალღისებური ხაზები შეიმჩნევა № 404 ჭურჭელზეც. № 396 ჭურჭლის მხრები შემკულია ე. წ. პარკეტული ორნამენტით. რამდენიმე ჭურჭლის ორნამენტი უფრო რთულსახოვანია. ის შედგება სამკუთხედების, ირიბი, შვეული ტალღისებური და ტეხილი ხაზების კომბინაციისაგან (ჭურჭელი № 390 და № 395).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ № 43 სამარხის კერამიკისაგან განსხვავებით № 51 და № 53 სამარხების თიხის ჭურჭელი არ არის შემკული გაპრიალების საშუალებით. სამაგიეროდ ხშირია ჭდევის საშუალებით დატანილი შევრონები (№ 51 სამარხის № 412 ქოთანი და № 53 სამარხის № № 419—424 ჭურჭელი). ამ ნიშნით სამივე სამარხი ერთმანეთს უკავშირდება (ნახ. 19, 21,23). № 53 სამარხის თიხის ჭურჭლის უმეტესობაც შავპრიალა ზედაპირიანია და ვარდისფერსარჩულიანი. გამონაკლისს წარმოადგენს № № 426, 428 და 429 ჭურჭელი. № 428 კოჭობს რუხი-მოწითალო შიდა-და ზედაპირი აქვს. № 426 ქოთანი მჭისე თიხისაგან არის დამზადებული. მას აგურისფერი კეცი და რუხი-მონაცრისფრო შიდა-და ზედაპირი აქვს. ამ ქოთანს მთელ ტანზე გარშემო სპირალისებურად შემოუყვება მორგვის ტრიალის დროს დატანილი ღარები, მხრები კი ორ ტალღისებურ ღარს შორის მოთავსებული ე. წ. ფრჩხილისებური ორნამენტით აქვს შემკული. მჭისე თიხისაგან არის დამზადებუ-

ლი № 429 სამარილისებური ჭურჭელიც. სხვებისაგან განსხვავებით ის უხეშადაა ხელით ნაძერწი.

№ 51 სამარხის ხუთი ჭურჭლიდან № 415 ჭურჭელს შავი კეცი და შიდა ზედაპირი აქვს. სამი (№ 412—414) ლეგა ზედაპირიანია. მათგან № 413 ქოთანს ვარდისფერი სარჩული აქვს, № 412 ქოთანს — ლეგა-მორუხო შიდაპირი და რუხი ფერის კეცი, ხოლო № 414 ჭურჭელს — ლეგა შიდაპირი და აგურისფერი კეცი, № 416 ჭურჭელი კი რუხადაა გამომწვარი.

აღნიშნული სამარხები ერთმანეთს უკავშირდება მცირე ზომის პირფართო ქოთნებით (№ 43 სამარხის № 401, № 51 სამარხის № 414 და № 53 სამარხის № 428 ჭურჭელი, ეს უკანასკნელი დანარჩენებისაგან განსხვავებით ბიკონუსისებურია), ხელით უხეშად ნაძერწი მინიატურული ჭურჭელით (№ 43 სამარხის № 409 და № 53 სამარხის № 429 ჭურჭელი) და ყველაზე რიცხვმრავალი ქოთნებით, რომლებსაც პირისაკენ შევიწროებული დაბალი ყელი, ოდნავ გადაშლილი პირი და კვერცხისებური მუცელი აქვთ (№ 43 სამარხის № № 388—391, 393, 395, 396, № 53 სამარხის № № 419—423 და № სამარხის № № 412—413, 415 ჭურჭელი).

დაკრძალვის წეს-ჩვეულებებს გარდა, აღნიშნულ სამარხებს ინვენტარითაც ემსგავსება 1972 წლის შემდეგ გათხრილი შუაბრინჯაოს ხანის სამარხები. ასე, მაგალითად, კონუსისებურყელიანი და კვერცხისებური მუცლის მქონე ქოთნები აღმოჩენილია აგრეთვე № № 74, 104 და 115 სამარხებში; № 84 სამარხში აღმოჩენილია № 43 სამარხის ბიკონუსურტანიანი და ყურაწეული ჭურჭლის ანალოგიური ქოთანი (ნახ. 24); № 51 სამარხის № 414 ქოთნის მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია № 81 და 104 სამარხებში; № 53 სამარხის № 427 პირფართო ქოთნის ანალოგიურია № 81 სამარხის ორი ქოთანი, ხოლო № 53 სამარხის № 426 მჭისე თიხისაგან დამზადებულ ქოთანს, როგორც თიხით, ასევე ფორმითა და ორნამენტით, ძალიან ჰგავს № 115 სამარხის ერთ-ერთი ჭურჭელი. № 104 სამარხში კი № 43 და № 53 სამარხების ანალოგიური ბრინჯაოს პირამიდისებურთავიანი საკინძია აღმოჩენილი.

საქართველოს ტერიტორიაზე პირამიდისებურთავიანი ბრინჯაოს საკინძები აღმოჩენილია ნულში[15], ქვასათალში[16], თლიში[17], მეტეხში[18], ბრილში[19], აწყურში[20] და გომნაში[21].

აწყურსა და გომნაში ამ ტიპის საკინძები შემთხვევითაა აღმოჩენილი და მათი თანმხლები ინვენტარი ჩვენთვის არ არის ცნობილი. ყველა დანარჩენ სა-

---

[15] Б. А. Куфтин. Археологическая маршрутная экспедиция в Юго-Осетию и Имеретию. Тб., 1949, с. 31. Табл. XV.

მსგავსი საკინძები კუფტინის მიერ სოფ. ნულში აღმოჩენილია 1949 წ. ჩატარებული გათხრების დროსაც. მასალა გამოუქვეყნებელია. ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის წინაფეოდალური ხანის საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილებაში. იხ. კოლ. 29—61; 24, 30—41; 83. Б. В. Техов. Очерки древней истории и археологии Юго-Осетии, Тб., 1971, с. 82. рис. 8.

[16] О. М. Джапаридзе. Квасатальский могильник эпохи бронзы в Юго-Осетии, КСИИМК, вып. 60, 1955, с. 26.

[17] Б. В. Техов. დასახ. ნაშრ., გვ. 102, ნახ. 27.

[18] მ. ბარამიძე. კასპის სამაროვანი. მსკა, IV, 1965.

[19] გ. გობეჯიშვილი. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., 1952, გვ. 57, ტაბ. X; საქართველოს არქეოლოგია. გვ. 113, 114, 117, ტაბ. XII.

[20] გ. ნიორაძე. არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში. სსმმ, ტ. XIII—B, თბილისი, 1944, გვ. 196.

[21] გ. ნიორაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 206, ტაბ. XII.

მარხებს კი სპეციალისტები სამართლიანად შუაბრინჯაოს ხანის ბოლო პერიოდით ათარიღებენ. შუაბრინჯაოს ხანის დასასრულს მიეკუთვნება თრელის სამაროვნის ზემოაღნიშნული სამარხებიც.

თრელის სამაროვნის აღნიშნული სამარხების გვიანდელობაზე მიგვითითებს ის ფაქტი, რომ მათში აღმოჩენილი ჭურჭლის ერთ ნაწილს ეტყობა მორგვზე დამზადების კვალი. ამის დამამტკიცებლად მიგვაჩნია ჭურჭლის შიდა პირზე შემორჩენილი კონცენტრული ღარები. მსგავსი ღარები ემჩნევა № 43 სამარხის №№ 386, 387 და 392 ჭურჭელს, № 51 სამარხის № 415 ჭურჭელს და № 53 სამარხის №№ 419, 421—424 ჭურჭელს. ჩარხის კვალი შემორჩენილია №№ 74, 81, 104 და 115 სამარხების კერამიკის ერთ ნაწილზეც.

თრელის ზემოხსენებულ სამარხებს ჩვენ შუაბრინჯაოს ხანის გვიან პერიოდს მივაკუთვნებთ, რადგან მათში შუაბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელ ნივთებთან ერთად (№ 53 სამარხის ბრინჯაოს ყუნწიანი სატევარი, № 43, № 53 და № 104 სამარხების პირამიდისებურთავიანი ბრინჯაოს საკინძები და ყველა სამარხის ჭურჭლის უმეტესი ნაწილის ფორმები, კეცი და ორნამენტი) გვხვდება გვიანბრინჯაოს ხანის განმსაზღვრელი ნიშნებიც. ასეთად, პირველ რიგში, მივაჩნია მორგვის გამოყენება. თუ ჭურჭლის ერთ ნაწილს მისი გამოყენების მარტო კვალი ემჩნევა, ნაწილი უდავოდ მორგვზეა დამზადებული და კეცითაც გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკის მსგავსია. ასეთებია № 43 სამარხის დერგი № 382 და სადგარები №№ 383—385 (ნახ. 19), № 53 სამარხის № 426 ქოთანი (ნახ. 23) და მისი ანალოგიური ჭურჭელი № 115 სამარხიდან. № 43 სამარხის № 382 დერგი (ნახ. 19) როგორც კეცით, ასევე ფორმით ემსგავსება თრელის სამაროვნის სამარხ № 37-ს (ჭურჭელი № 439 და 440, ნახ. 31), სამარხი № 42-ის (ჭურჭელი № 444, ნახ. 33), სამარხი № 56-ის (ჭურჭელი № 455, ნახ. 39), ნამგალა მიწის № 1 ყორღანის (ნახ. 41), ბაიბურთის ქვიდა სამარხის[22] და ოლგოდეხის რაიონის სოფ. ულიანოვკის № 2 ყორღანის[23] მქისე თიხისაგან დამზადებულ ჭურჭელს. მათ ჩვეულებრივ მთელ ტანზე სპირალურად გარშემო შემოუყვებათ ღარები. ყველა ზემოაღნიშნულ სამარხს ჩვენ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპს მივაკუთვნებთ (მათი შეფარდებითი და აბსოლუტური ქრონოლოგიის შესახებ იხ. ქვემოთ). № 53 სამარხის № 426 ქოთანი (ნახ. 23) და მისი ანალოგიური ჭურჭელი № 74 (ნახ 28) და 115 სამარხებიდან კი უახლოეს პარალელებს პოულობენ თრელის № 42 სამარხის № 443 (ნახ. 33) და შულავერის რაიონში იმირის გორაზე გათხრილი № 12 სამარხის ერთ-ერთ ჭურჭელთან[24]. მსგავსი ჭურჭელი დამახასიათებელი ელემენტია გვიანბრინჯაოს ხანის ე. წ.

---

[22] Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети. Тб. 1941, рис. 88;
კ. ფიცხელაური. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები. (ძვ. წ. XV—VII სს.), თბ., 1973. გვ. 35, ტაბ. VI_2.

[23] რ. აბრამიშვილი. არქეოლოგიური გათხრები ლაგოდეხის რაიონში. გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ივ. ჯავახშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გაერთიანებული პირველი სამეცნიერო სესიის სამუშაო გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1965, გვ. 30.

[24] გ. ავალიშვილი. ქვემო ქართლი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. თბ. 1974, გვ. 30, ტაბ. II_1. სამწუხაროდ ტაბულაზე მოცემულ ქოთნის ნახატზე დატანილი არ არის სპირალური ღარები და ტალღისებური ორნამენტი.

ადრეული ეტაპის ძეგლებისათვის[25]. აღნიშნულის გამო თრელის სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის სამარხებს შორის ყველაზე გვიანდელებად მიგვაჩნია №№ 53, 74 და 115 სამარხები. №№ 53 და 74 სამარხების გვიანდელობის მანიშნებელი უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ ორივე ეს სამარხი, სხვა შუაბრინჯაოს ხანის სამარხებისაგან განსხვავებით, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ არის მიმართული. № 74 სამარხში მიცვალებულიც თავით ჩრდილოეთისაკენაა დამხრობილი. ჩრდილოეთისაკენ დამხრობა კი, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, თრელის სამაროვანზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხებისათვისაა დამახასიათებელი. № 74 სამარხში მიცვალებული სამხრეთ ნაწილშია დამარხული. ანალოგიური სურათი გვაქვს გვიანბრინჯაოს ხანის № 37 სამარხში (ნახ. 27,30).

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებისათვის კ. ფიცხელაურმა შეიმუშავა ახალი ქრონოლოგიური შკალა და მათი ახლებური პერიოდიზაცია მოგვცა.

კ. ფიცხელაურის მიერ მოცემული პერიოდიზაცია-ქრონოლოგიის მიხედვით ცალკე უნდა იქნეს გამოყოფილი შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის ძეგლები, რომლებიც მისი აზრით, ძვ. წ. 1450—1350 წლებს შორის უნდა მოთავსდნენ. გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის (გვიანბრინჯაო I) დროინდელ ძეგლებს იგი ძვ. წ. 1350—1250 წლებით ათარიღებს. ამ ქრონოლოგიურ ჯგუფში გაერთიანებული მასალა, კ. ციფხელაურის მიხედვით, წინ უსწრებს იმ ძეგლებს, რომლებსაც ჩვენ ე. წ. გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის დროინდელად მივიჩნევთ. ამ მასალას (ფოთლისებური სატევარი, მასრაგახსნილი შუბისპირი, თავხვია საკინძი, დახეთქილი სარდიონის მძივი და სხვ.) კ. ფიცხელაური გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურის ძეგლებად თვლის და ძვ. წ. 1250—1100 წლებს შორის ათავსებს. კ. ფიცხელაური შიდაქართლური ფოთლისებური სატევრების სინქრონულად მიიჩნევს ე. წ. კახური ტიპის შედგენილტარიანი სატევრების დროინდელ მასალას. შემდეგ ქრონოლოგიურ ჯგუფებს კი, მისი თქმით, იგი სამთავროს მასალაზე დაყრდნობით შემუშავებული ქრონოლოგიური შკალის მიხედვით ათარიღებს[26]. სინამდვილეში კ. ფიცხელაური თავის ქრონოლოგიურ შკალაში სრულიად არ ითვალისწინებს ჩვენ მიერ გამოყოფილ XIII—XII სს. ქრონოლოგიურ ჯგუფს. არ არის სათანადოდ გათვალისწინებული აგრეთვე სამთავროსათვის მიღებული ბრინჯაოს მახვილების თანამიმდევრობაც[27].

აღნიშნული პერიოდიზაცია და ქრონოლოგიური შკალა კ. ფიცხელაურმა შეიმუშავა ძირითადად იმ არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით, რომელიც

---

[25] დ. მუსხელიშვილი. ციხე-ქალაქი უჯარმა. საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი.

[26] კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 146 და შემდეგი, ტაბ. LXIX.

[27] რ. აბრამიშვილი. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-A და XXI—B, თბილისი, 1957, გვ. 134—139, ტაბ I; მისივე, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. XIV—VI სს), საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXII—B, თბილისი, 1961, გვ. 307—334; მისივე, R. Abramichvili. La nécropole de Samthavro et la chronologie des civilisations archéologiques du Bronze Récent et du début du Fer au Caucase. Actes du VIII Congres International des Sciences Préhistoriques et Protohistoriques. Beograd, 1973, p. 44—48.

მისი ხელმძღვანელობით მომუშავე კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ არის მოპოვებული[28].

ჩვენ ამჟამად არა გვაქვს შესაძლებლობა დეტალურად შევჩერდეთ ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხებზე. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ თრელის სამაროვანზე მოპოვებულმა მასალამ დაადასტურა ის ქრონოლოგიური შკალა, რომელიც სამთავროს სამაროვნის მასალაზე დაყრდნობით იქნა შემუშავებული[29].

როგორც ცნობილია, თრიალეთის XV ყორღანის ვერცხლის სალტიანი ბრინჯაოს შუბისპირისა და რას შამრას და კეფალარის შუბისპირების მსგავსების საფუძველზე ვ. შეფერი თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ყორღანების ზედა ქრონოლოგიურ საზღვრად ძვ. წ. 1450 წელს მიიჩნევს[30]. რადგან აღნიშნული შუბისპირები ერთმანეთის ანალოგიურები არ არიან, ბუნებრივია, ამ თარიღს სიზუსტის პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეს. მაგრამ იგი ზოგადად მართებულად მიგვაჩნია, რადგან აღნიშნული შუბისპირების მსგავსი იარაღი ძვ. წ. XVI—XV ს.ს. მიეკუთვნება[31].

თრიალეთის XV ყორღანის ანალოგიური შუბისპირი აღმოჩნდა კიროვაკანის ყორღანში, რომელიც შუაბრინჯაოს ხანის ძეგლთა შორის ერთ-ერთი გვიანდელთაგანია. ამაზე მიგვითითებს ის გარემოება, რომ მასში აღმოჩენილი ინვენტარის ნაწილი ტიპოლოგიურად ახლო დგას ამავე დანიშნულების გვიანბრინჯაოს ხანის ნივთებთან[32]. ხელთარსებული მონაცემებით ამიერკავკასიის შუაბრინჯაოს ხანის ზედა ქრონოლოგიური თარიღის განსაზღვრა საკმაოდ რთულია, მაგრამ, ვფიქრობთ, დიდად არ შევცდებით, თუ შუაბრინჯაოს ხანის ზედა ქრონოლოგიურ საზღვარს ზოგადად ძვ. წ. XV საუკუნით განვსაზღვრავთ[33].

კ. ფიცხელაური იზიარებს მკვლევართა იმ მოსაზრებას, რომლებიც შუაბრინჯაოს ხანის დასასრულად ძვ. წ. 1450 წ. მიიჩნევენ. გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობას კი იგი ასი წლით განსაზღვრავს და ამ პერიოდს ძვ. წ. 1450—1350 წლებს შორის აქცევს[34]. კ. ფიცხელაურის აზრით, გარდამავალი საფეხურის ხანგრძლივობას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ამ ხანის ძეგლებში გამოიყოფა სამი თანმიმდევრული საფეხური, ხოლო, მეორე მხრივ, ეს სამაროვნები დიდ ფართობზეა გადაჭიმული და საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამარხებითაა წარმოდგენილი[35].

---

[28] კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 123 და შემდ., ტაბ. XIX.

[29] თბილისის არქეოლოგიური ძეგლების II ტომში განზრახული გვაქვს საგანგებოდ შევჩერდეთ თრელის ბრინჯაო-რკინის ხანის სამაროვნის ქრონოლოგიაზე, სადაც შესაძლებლობა გვექნება უფრო დეტალურად განვიხილოთ აღნიშნული საკითხი.

[30] Cl. Schaeffer. Stratigraphie Comparée et Chronologie de l'Asie Occidentale (III et II millénaires). London, 1948, p. 511—512.

[31] C. Bleegen. Prosimna, II, Cambridge, 1937, 510; M. Gimbutas. Bronze Age Cultures in Central And Eastern Europe. London, 1965, გვ. 92. ნახ. 51; Cl. Scaeffer, დასახ. ნაშრ., გვ. 511—512.

[32] А. А. Мартиросян. Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1964, с. 64—69, рис. 28—32.

[33] მკვლევართა ერთი ნაწილი კიროვაკანის კომპლექსში ვარაუდობს ვაფიოსებური ვერცხლის კათხის არსებობას (კ. ფიცხელაური, იქვე). აღნიშნული კომპლექსი ინახება სომხეთის ისტორიულ მუზეუმში. ამ მუზეუმში ყოფნისას ზემოხსენებული ჭურჭლის არსებობა არ დადასტურდა.

[34] კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 145—146.

[35] კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ., გვ. 145.

ჩვენ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, კვლევის ამ საფეხურზე მაინც, გარდამავალ პერიოდში საფეხურების გამოყოფა და თანაც პირველი და მესამე საფეხურის თითო ძეგლით განსაზღვრა. ეს კიდევ უფრო არადამაჯერებელი ხდება იმის გამოც, რომ პირველი საფეხურისათვის მიკუთვნებული ერთადერთი ძეგლი — ილტოს კენოტაფი სულ ორ ნივთს (თიხის ჭურჭელს) შეიცავს. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ თვით კ. ფიცხელაურის თქმით პირველი საფეხური ქრონოლოგიურად შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპის არსებობის ფარგლებს არც კი უნდა სცილდებოდეს, რადგან ახლის გაჩენას ძველის წიაღში გულისხმობს[36].

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ კ. ფიცხელაურის მიერ გარდამავალი პერიოდის მესამე საფეხურის ძეგლად მიჩნეულ ულიანოვკის № 2 ყორღანს ჩვენ გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის დროინდელად მივიჩნევთ[37] (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

ამ ყორღანის თანადროულად მიგვაჩნია ჩვენ კ. ფიცხელაურის მიერ გარდამავალ ხანის ძეგლებად მიჩნეული კომპლექსების ერთი ნაწილი (მაგ. ოლეს № 11 და № 13 ყორღანები და ბაიბურთის სამარხები. ამის შესახებ იხ. ქვემოთ), ხოლო მეორე ნაწილი ზოგადად თრელის შუაბრინჯაოს ხანის სამარხების სინქრონულია (ილტოს კენოტაფი, ლილოს № 5 ყორღანი და სამთავროს სამხრეთი უბნის № 70 სამარხი).

მართებულად არ მიგვაჩნია კ. ფიცხელაურის მიერ გამოთქმული ის მოსაზრებაც, რომ შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი საფეხურის დროინდელი ლილოსა და ოლეს სამაროვნები დიდ ფართობზეა გადაჭიმული და საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამარხებითაა წარმოდგენილი[38]. სინამდვილეში თითოეულ ამ სამაროვანზე აღნიშნული პერიოდის სულ რამდენიმე სამარხია გათხრილი და ამდენად შეუძლებელია ვიცოდეთ მათი გავრცელების ტერიტორია და ამ პერიოდის სამარხების რაოდენობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო თრელის შუაბრინჯაოს ხანის ბოლო პერიოდის ძეგლების (რომელიც ზოგადად კ. ფიცხელაურის მიერ გარდამავალი პერიოდის კომპლექსების ერთი ნაწილის თანადროულია) შეფარდებითი და აბსოლუტური ქრონოლოგიის დადგენა, მასალის სიმცირის გამო, კვლევის ამ საფეხურზე, საკმაოდ რთულია, მაგრამ ვფიქრობთ არ შევცდებით, თუ აღნიშნულ კომპლექსებს ზოგადად ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებით დავათარიღებთ. სავარაუდოა, რომ ის სამარხები, რომლებშიც შუაბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელ მასალასთან ერთად გვიანბრინჯაოს ხანის ტიპიური ნივთები გვხვდება (თრელის № № 53,74, 115 სამარხები, ილტოს კენოტაფი, ლილოს № 5 ყორღანი, სამთავროს სამხრეთი უბნის № 70 სამარხი) ზოგადად ძვ. წ. XV ს-ით დათარიღდეს, ხოლო ის ძეგლები, რომლებშიც გვიანბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი მხოლოდ ცალკეული ნიშნებია აღმოჩენილი (ჩარხის კვალი და გვიანბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი ნივთების პროტოტიპები) ძვ. წ. XVI ს-ით განისაზღვროს (თრელის № № 43, 51, 81, 84, 104).


---

[35] კ. ფიცხელაური დასახ. ნაშრ. გვ. 45

[37] რ. აბრამიშვილი. არქეოლოგიური გათხრები ლაგოდეხის რაიონში, გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გაერთიანებული პირველი სამეცნიერო სესიის სამუშაო გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1965, გვ. 30.

[38] კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ., გვ. 145.


თრელის სამაროვნის №№ 43, 51 და 53 სამარხების შეფარდებითი და აბსოლუტური თარიღის განსაზღვრის შემდეგ გვინდა შევჩერდეთ მათში აღმოჩენილი მასალის ზოგიერთ თავისებურებაზე. ასე მაგალითად, საკმაოდ ორიგინალურია № 43 სამარხის ბიკონუსისებური ფორმის №№ 405—408 ჭურჭელი,



ნახ. 29

რომელსაც რკალისებური, პირს ზევით ამოსული ყურები აქვს. მათთან თავისი ფორმით ახლო დგას № 404 ჭურჭელიც (ნახ. 19).

№№ 405—408 თიხის ჭურჭლის მსგავსი კერამიკა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია მხოლოდ სამთავროს სამაროვნის სამხრეთი უბნის



Obr. 30

№№ 76,92 და 156 სამარხებში[39], კახეთში — სადუღას № 1 ყორღანში[40] და გომნაში[41]. საქართველოს ფარგლებს გარეთ, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია ლჭაშენის № 46[42] და არიჩის № 65 სამარხებში[43]. თრელის № 404 ჭურჭელი კი დიდ მსგავსებას პოულობს ლჭაშენის № 6 სამარხის ერთ-ერთ ჭურჭელთან[44]. თრელის № 43 სამარხი სადუღას № 1 ყორღანს და ლჭაშენის № 6 სამარხს უკავშირდება სამარხის აღნაგობითაც და დაკრძალვის ზოგიერთი წეს-ჩვეულებებით, რის გამოც ყველა მათგანს ჩვენ სინქრონულად მივიჩნევთ.

ზემოაღნიშნული ჭურჭელი თავისი ფორმით გენეტიკურ კავშირში არ იმყოფება ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ არც წინამორბედ — შუაბრინჯაოს პერიოდის, არც მომდევნო — გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკასთან. არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ აღნიშნული ჭურჭელი თავის ფორმას ანალოგიური მცირეაზიური კერამიკიდან იღებდეს[45]. სრულიად ორიგინალურია № 43 სამარხის ორმილაკიანი ქოთნები, რომლებიც გვიანბრინჯაოს ხანის სადღვებლების პროტოტიპებად მიგვაჩნია. პირამიდისებურთავიანი ბრინჯაოს საკინძები არ გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ შუაბრინჯაოს ხანის ადრეულ ძეგლებში. ამ ხანის გვიანი ეტაპის ძეგლებია ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, საქართველოს გარეთ გათხრილი ის სამარხებიც (აზნებურთი[46], არიჩი[47]), რომლებშიც ანალოგიური საკინძებია აღმოჩენილი. მსგავსი საკინძები ხმელთაშუაზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (რას შამრა[48], ტარსუსი[49]) გვხვდება III ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში და II ათასწლეულის დასაწყისში. უნდა ვიგულისხმოთ, რომ როგორც ბიკონუსისებური ჭურჭელი, ისე პირამიდისებურთავიანი საკინძები ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შუაბრინჯაოს ხანის მიწურულში მცირე აზიის ანალოგიური ნივთების მიბაძვითაა დამზადებული. არ არის გამორიცხული ისიც, რომ აღნიშნული ცვლილებები ამიერკავკასიის მატერიალურ კულტურაში ახალი ეთნიკური ჯგუფის მცირე აზიიდან შემოსვლასთან იყოს დაკავშირებული. სავარაუდოა, რომ

---

[39] სამთავროს სამხრეთი უბნის № 156 და № 92 სამარხების ბიკონუსისებური ჭურჭელი ცალყურაა. № 156 სამარხის აღნიშნული ჭურჭელი ახლო დგას თრელის № 407 და № 408 ჭურჭელთან. № 92 სამარხისა კი—№ 405 და № 406 ჭურჭელთან. სამთავროს აღნიშნულ სამარხებს ალ. კალანდაძე ორმოსამარხების შუა პერიოდის ძეგლებად მიიჩნევდა და ამდენად მათ თარიღს ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნით განსაზღვრავდა.

[40] აღნიშული ჭურჭელი გვანახა და სამარხის შესახებ ცნობები მოვვაწოდა შ. დედაბრიშვილმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებ.

[41] გ. ნიორაძე, არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIII-B, თბ., 1944, ტაბ. IXe.

[42] Г. Е. Арешян. Малоазийские формы в керамике Армении среднего бронзового века, СА № 4, 1973.

[43] Т. С. Хачатрян. Древняя культура Ширака. Ереван, 1975, с. 116, Рис. 71.

[44] Э. В. Ханзадян. Лчашенский курган № 6, КСИА АН СССР, 91, 1962, с. 66—71, рис. 25, Г. Е. Арешян. დასახ. ნაშრ. ნახ. 2_1.


[45] Г. Е. Арешян, დასახ. ნაშრ., გვ. 45—49; Т. С. Хачатрян. დასახ. ნაშრ., გვ. 117.

[46] В. Г. Алиев. Новые материалы о культуре расписной керамики в Азербайджане, СА, 1967, № 1.

[47] Т. С. Хачатрян. დასახ. ნაშრ., გვ. 118.

[48] Cl. Schaeffer. დასახ. ნაშრ., ნახ. 56 1.

[49] Hettz Goldman. Excavation at Cözlu-Kule, Tarsus, American Journal of Archaeology. vol. XLIV, I, 1940, გვ 67, სურ. 21.




Obr. 31

აღნიშნული კულტურის გავრცელება ამიერკავკასიაში უნდა მომხდარიყო სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან.

საგულისხმოა, რომ ამით არის გამოწვეული ესოდენ დიდი მსგავსება შირაქის ველისა (არიჩის სამაროვანი)[50] და საქართველოს შუაბრინჯაოს ხანის მიწურულის ზემოაღნიშნულ ძეგლებს შორის.

თრელის სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის მიწურულისა და თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებს შორის არსებული სხვაობა კი ძირითადად იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ეს ძეგლები სხვადასხვა ქრონოლოგიურ საფეხურს მიეკუთვნება. თრელის სამაროვნის ჩვენთვის საინტერესო პერიოდის სამარხები განსხვავდება რა თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებისაგან, ინარჩუნებს თავის ლოკალურ თავისებურებებს და ყველაზე ახლო მსგავსებას იჩენს, ერთი მხრივ, შიდა ქართლის (ნული[51], ქვასათალი[52], კასპი[53]), ხოლო მეორე მხრივ, კახეთისა და სომხეთის, განსაკუთრებით კი მისი დასავლეთი რაიონების, მასალასთან (არიჩის სამაროვანი). აღნიშნულ რაიონებთან კავშირი ძირითადად მდ. მტკვრის ხეობითა და თრიალეთის აღმოსავლეთის მხრიდან შემოვლით უნდა განხორციელებულიყო, რადგან, ჩვენი აზრით, თრიალეთისა და ზემოჩამოთვლილ რაიონების ძეგლებს შორის განსხვავება არ შეიძლება მხოლოდ მათ შორის არსებული ქრონოლოგიური სხვაობით აიხსნას. ხელთარსებული მასალების მიხედვით თრელის შუაბრინჯაოს ხანის მოსახლეობა მეთუნეობის გვერდით ფართოდ მისდევდა მესაქონლეობას, რომელსაც სავარაუდოა, რომ იალაღური ხასიათი ჰქონდა. აღნიშნული პერიოდის სამარხებში მსხვილფეხა საქონლის ძვლებთან ერთად (სამარხები №№ 43 და 74)




ნახ. 32

[50] Т. С. Хачатрян. დასახ. ნაშრ., გვ. 91—123.

[51] Б. А. Куфтин. Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию. Тб. 1949, с. 31—35, рис. 11.

[52] О. М. Джапаридзе. Квасатальский могильник эпохи бронзы.

[53] გ. ბარამიძე. კასპის სამაროვანი, მსკა, IV.



ნახ. 33

შედარებით დიდი რაოდენობით ვხვდებით წვრილფეხა საქონლის (ცხვარი) ძვლებს. ზოგიერთ სამარხში ცხვრის რამდენიმე მთლიანი ჩონჩხიც აღმოჩნდა (სამარხები №№ 43, 53, 104).

დასასრულ თრელის სამაროვნის შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის სამარხებთან დაკავშირებით, ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ

იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ პერიოდში აქ მოსახლე საზოგადოების განვითარებაში შეიმჩნევა ქონებრივი და სოციალური დიფერენციაცია. აღნიშნულ ხანაში თრელის სამაროვანზე მრავალრიცხოვანი ინვენტარის შემცველ სამარხების გვერდით (სამარხები №№ 43, 53, 74) გვხვდება შედარებით ღარიბული სამარხებიც (სამარხები №№ 51, 115). № 84 სამარხში კი მხოლოდ ერთი თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა. სოციალური დიფერენციაციის დამამტკიცებელ საბუთად მიგვაჩნია № 43 სამარხში ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ფაქტიც. საინტერესოა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ინვენტარის მიხედვით აღნიშნულ სამარხში დაკრძალული უნდა იყოს გვარის დაწინაურებული მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, რომელსაც თან ჩააყოლეს მონა-მხევალი.

თრელის შუაბრინჯაოს ხანის მოსახლეობის დაწინაურებაზე აღმოსავლეთ საქართველოს მთის წინა ზოლში (ნული, ქვასათალი) მცხოვრებ ტომებთან შედარებით, უნდა მიგვითითებდეს ის გარემოებაც, რომ ნაცვლად იქ გავრცელებული კოლექტიური სამარხებისა თრელის სამაროვანზე მხოლოდ ინდივიდუალური სამარხებია აღმოჩენილი.

თრელის სამაროვანზე საანგარიშო წლებში გათხრილ სამარხთა შორის გვიანბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება №№ 37, 42, 55 და 56 სამარხები.


აღსანიშნავია, რომ თრელის სამაროვნის მასალების მიხედვით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ადრეული რკინის ხანა ძვ. წ. XIII ს-დან იწყება. ამ დროით თარიღდება № 65 სამარხი, რომელშიც სხვა ნივთებს შორის აღმოჩნდა ბრინჯაოს აბზინდა ცხენის გამოსახულებით (ფერ. ტაბულა VII), ბრინჯაოს მთლიანადასხმული დაბალქუდიანი სატევარი და რკინის ხანა (ნახ. 76). თრელის ზემოხსენებული სამარხები, (№№ 37, 42, 55, 56) ქრონოლოგიური თვალსაზრისით უშუალოდ ემიჯნებიან ქვევიდან № 65 სამარხს. ისინი თანადროულებია და საკუთრივ გვიანბრინჯაოს ხანას მიეკუთვნებიან. ამიტომ არ არის მართებული, რომ აღნიშნულ პერიოდს (ძვ. წ. XV საუკუნის მიწურული — ძვ. წ. XIV საუკუნე) გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპი ეწოდოს.

ქვემოთ ვიძლევით თრელის სამაროვნის ბრინჯაოს ხანის სამარხთა აღწერილობას.

ფერადი ტაბ. VI$_1$

სამარხი № 37 (ნახ. 3, 29—31 ტაბ. XX—XXI) წარმოადგენს გეგმაში მართკუთხედის ფორმის, მცირე შემაღლების მქონე ქვაყრილიან ყორღანს, რომელიც შემოზღუდულია ერთ წყებად დალაგებული, უხეშად დამუშავებული ქვის კვადრების ორი მწკრივით. მისი ზომებია 12,4 მ×11,0 მ-ზე. სამარხის ქვაყრილი აღმოჩნდა BF ფართობის 34—40/14—21 კვადრატებში. ზღუდის შიდა სივრცე მთლიანად იყო შევსებული რიყის ქვებისაგან შემდგარი ყრილით, რომელიც ნაწილობრივ ზღუდეზეც გადადიოდა. ქვაყრილის სისქე ყორღანის შუა ნაწილში 0,5 მ აღწევდა. ზღუდის კვადრების ზედაპირზე, სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გავლებული იგვაქვს ნოლის ხაზი.

ქვაყრილის შუა ნაწილს კრატერისებური ჩავარდნა ჰქონდა. აქ ძირითადად გვხვდებოდა საგანგებოდ შერჩეული კვარცის ქვები. ჩავარდნის ადგილზე აღმოჩნდა გვიან ჩაშვებული სამარხი № 36, ხოლო მის ქვეშ სამარხი № 37-ის დასაკრძალავი ორმო, რომელიც ამოჭრილია გრუნტში და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენაა წაგრძელებული. მისი ზომებია 4,4 მ×1,3 მ-ზე. დასაკრძალავი ორმო აღმოჩნდა 36—37/16—18 კვადრატებში, ნოლის ხაზიდან 3 მ სიღრმეზე. დასაკრძალავი კამერა ხის ძელებით იყო გადახურული. სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, იატაკიდან 0,8—1,7 მ-ის სიმაღლეზე აღმოჩნდა გადასახუ-




ნახ 34

რი ძელების დანახშირებული ნაწილები. გადახურვის ჩაქცევის შემდეგ ქვები ქვაყრილის ზედაპირიდან 2,7 მ-ის სიღრმეზე იყო ჩაცვენილი.

მიცვალებული დაკრძალული იყო დასაკრძალავი კამერის სამხრეთ ნაწილში, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ. სამარხ-

ში აღმოჩნდა შვიდი თიხის ჭურჭელი (ექვსი სამარხის ჩრდილოეთ ნახევარში, აღმოსავლეთ კედელთან, ერთი — № 438 — შუა ნაწილში, მიცვალებულის ჩრდილოეთით), ბრინჯაოს სატევარი (№ 441 — მიცვალებულის თავის უკან), ბრინჯაოს შუბისპირი (№ 422 — სამარხის ჩრდილოეთ ნახევარში) და შვიდი ცხვრის ჩონჩხი (სამარხის ჩრდილოეთ ნახევარში). გარდა ამისა მიცვალებულის ჩრდილოეთით კიდევ ერთი ცხვრის ცალკეული ძვლები იდო.



ნახ. 35


ფერადი ტაბ. IV$_4$

სამარხი № 42 (ნახ. 3, 32, 33, ტაბ. XXII) აღმოჩნდა BF ფართობის 34—40/44—49 კვადრატებში. იგი წრიულქვაყრილიანი ორმოსამარხია. ქვაყრილი შემოფარგლული იყო დიდი ქვებით. ქვაყრილის შუა ნაწილი ჩავარდნილი იყო. დასაკრძალავი ორმოს ზომებია 2,35 მ × 1,1 მ-ზე. სამარხი ეკუთვნის ზრდასრულებულ ინდივიდს. იგი დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე კიდურებმოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ. მარცხენა ხელი ამოდებული ჰქონდა თავქვეშ. თავის ქალა დაძრული იყო თავდაპირველი მდგომარეობიდან და გადმოვარდნილი ტანისაკენ.

მიცვალებულს თავის ქალაზე შერჩენილი ჰქონდა ვერცხლის დიადემის ნაწილები (№ 450). ყელისა და მუცლის არეში აღმოჩნდა სარდიონის 42, ყავისფერი ქვის 2 და თეთრი პასტის 7 მძივი (№ 451). გარდა ამისა, სამარხში იდო თიხის 7 ჭურჭელი (443—446). მათგან მხოლოდ ერთი ჭოთანი (№ 444) აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ ნაწილში, ხოლო დანარჩენი განლაგებული იყო სამარხის ჩრდილო ნაწილში. სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები.

სამარხი № 55 (ნახ. 3, 34—37, ტაბ. XXIII—XXIV) აღმოჩნდა BF ფართობის 40—42/46—48 კვადრატებში. იგი მოზრდილი ფლეთილი ქვებით

წრიულად შემოზღუდული ქვაყრილიანი ორმოსამარხია. წრის დიამეტრი დაახლოებით 5,3 მ-ია. წრის შიდა სივრცე, აღმოსავლეთი ნაწილის გარდა, მთლიანად დაფარული იყო რიყის ქვებით. აქ, როგორც ჩანს, ქვაყრილი აყარეს მომდევნო ხანაში № 47 სამარხის გამართვისას. მოზრდილი ფლეთილი ქვებითვე იყო შემოზღუდული დასაკრძალავი ორმოც. მისი კონტური ორმოში ჩაქცე-




ნახ. 36

ული ქვების მეშვეობით კარგად გამოიკვეთა. მას გეგმაში სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ წაგრძელებული ოვალის ფორმა აქვს. მისი ზომებია 1,65 მ×1,0 მ-ზე დასაკრძალავი ორმოს ძირი მიწის იმდროინდელი ზედაპირიდან 1,05 მ-ზე მდებარეობდა.

მიცვალებულის ჩონჩხის ძვლები შედარებით ცუდად იყო დაცული. იგი დასვენებული იყო მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ. მიცვალებულის ჩრდილოეთით აღმოჩნდა 3 თიხის ჭურჭელი (№ 452—454), ხოლო თიხის ჭურჭლის აღმოსავლეთით— ცხოველის ძვლები.

სამარხი № 56 (ნახ. 3, 38—39, ტაბ. XXV) აღმოჩნდა BF ფართობის 41/45 კვადრატში, ნოლი ხაზიდან 0,95 მ სიღრმეზე. იგი ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხი გადახურული იყო ქვის ფილებით. დასაკრძალავი ორმოს ზომებია 0,9 მ×0,9 მ-ზე. მასში აღმოჩნდა მხოლოდ 2 თიხის ჭურჭელი (№ № 455, 456). სამარხში არ აღმოჩენილა მიცვალებულის ჩონჩხის ნაშთი და სავარაუდოა, რომ კენოტაფს წარმოადგენს.

№ 55 და № 56 სამარხებს ქვებისაგან შედგენილი წრე შემოუყვებოდა, № 37 სამარხის ქვაყრილს ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა, ხოლო № 56 სამარხი — კენოტაფი კი გადახურული იყო ქვის ფილებით. არ არის გამორიცხული, რომ მის გარშემო მიმოფანტული ქვები წრიული ქვაყრილის ნაშთს წარმოადგენდა.




ნახ. 37

0 2 4 8

ამ პერიოდიდან გარკვეული ცვლილება შეიმჩნევა დაკრძალვის წეს-ჩვეულებაში — მიცვალებულები ნაცვლად ჩრდილო-დასავლეთისა თავით ჩრდილოეთისაკენ არიან დამხობილნი. გვიანბრინჯაოს ხანიდან დაწყებული რკინის ფართო ათვისების ხანის ჩათვლით თრელის სამაროვანზე მამაკაცები დაკრძალული არიან მარჯვენა გვერდზე, ქალები კი — მარცხენაზე.


თრელის სამაროვანის ზემოაღნიშნული ყველა სამარხი დაახლოებით სინქრონულია და ერთ პერიოდს მიეკუთვნება. ისინი ქრონოლოგიური თვალსაზ-



ნახ 38

რისით უშუალოდ ემიჯნება თრელის ზემოთ განხილულ შუაბრინჯაოს ხანის სამარხებს. ამის დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ № 42 სამარხის № 443 ჭურ-


ჭელი როგორც კეცით, ასევე ფორმითა და ორნამენტით დიდ მსგავსებაა პოულობს № 53 სამარხის № 426 თიხის ჭურჭელთან. № 43 სამარხის № 382 თიხის ჭურჭელთან ახლო დგას № 42 სამარხის № 444, № 37 სამარხის № 439—440 და № 56 სამარხის № 455 მჭისე თიხისაგან დამზადებული თიხის ჭურჭელი. გვიანბრინჯაოს ხანის სამარხების შუაბრინჯაოს ხა-



ნახ 39

ნის ძეგლებთან ქრონოლოგიურ სიახლოვეზე მიგვითითებს ის ფაქტიც, რომ მათში აღმოჩენილი შავპრიალა თიხის ჭურჭელი როგორც კეცით, ისე ფორმით გარკვეულ მსგავსებას პოულობს ერთმანეთთან. მაგრამ ამ ორი საფეხურის სამარხების თიხის ჭურჭლის ფორმებსა და დამზადების წესში გარკვეული სხვაობაც არსებობს. გვიანბრინჯაოს ხანის ჭურჭელი, როგორც წესი, მორგვზეა დამზადებული, უკეთ არის გამომწვარი, შიდაპირი ლეგა აქვს, კეცი კი გადანატეხში — ვარდისფერი. აღნიშნული სამარ-

ხები ჩვენ ბაიბურთის სამარხებსა[54] და ულიანოვკის № 2 ყორღანის[55] სინქრონულად მიგვაჩნია. ისინი ერთმანეთს უკავშირდება როგორც შავპრიალა, ისე მჭისე თიხისაგან დამზადებული ჭურჭლით. ყველა ზემოაღნიშნულ სამარხს კ. ფიცხელაური შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის ძეგ-




ნახ. 40

[54] კ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი. დასახ. ნაშრ. ტაბ. VI.
[55] რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. არქეოლოგიური გათხრები ლაგოდეხის რაიონში... გვ. 30.

ლებად მიიჩნევს. ჩვენი აზრით კი ეს სამარხები შიდა ქართლის ფოთლისებური სატევრების შემცველი ძეგლების სინქრონულია. ამის ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთია ის გარემოება, რომ თრელის № 37 სამარხის ბრინჯაოს ხელშუბისპირი მკვეთრად განსხვავდება შუაბრინჯაოს ხანის შუბისპირებისაგან და ანალოგიურია გვიანბრინჯაოს ხანის ხელშუბისპირებისა. სხვებისაგან განსხვავებით მას მასრაზე რელიეფური სპირალი შემოუყვება. № 37 სამარხის სატევარიც გარკვეულ მსგავსებას პოულობს გვიანბრინჯაოს ხანის ზოგიერთ სატევართან. საერთო ზომა-პროპორციებით თრელის სატევარი მსგავსია კავთისხევის კოლექციისა და არტიკის № 3 სამარხის სატევრებისა. იგი სახელურითა და ქუდით მეტ სიახლოვეს იჩენს კავთისხევის სატევართან.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ როგორც კავთისხევის კოლექცია[56], ისე არტიკის № 3 სამარხი[57] შეიცავს გვიანბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელ ნივთებს. ყველა აღნიშნული სატევარი ჩვენ წინააზიური სატევრების ადგილობრივ სახესხვაობად მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, თრელის სატევრისტარის დაფანჯრული ქუდი აღმოსავლეთ საქართველოს სატევრების ქუდების პროტო-



ნახ. 41


ტიპს უნდა წარმოადგენდეს. თრელის № 37 სამარხისა და სამთავროს ფოთლისებური სატევრების დროინდელი სამარხების სინქრონულობის ერთ-ერთი დამამტკიცებელი ფაქტია ისიც, რომ თრელის № 37 სამარხის სინქრონულ ულიანოვკის № 2 ყორღანში, სხვა მრავალრიცხოვან თიხის ჭურჭელთან ერთად, აღმოჩნდა შიდა ქართლის ე. წ. გვიანბრინჯაოს ხანის ადრე ეტაპისა და მისი მომდევნო პერიოდის ძეგლებისათვის დამახასიათებელი პირმოყრილი ქოთანი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფოთლისებური სატევრების შემ-

[56] დ. ქორიძე. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი, 1955, ტ. XXXVII, 3 4 6.

[57] Т. С. Хачатрян. Материальная культура древнего Артика. с. 164, рис. 6а, табл. III_2.


ცველ ძეგლებზე უფრო ადრე ამ ტიპის თიხის ჭურჭელი არ გვხვდება. ამის გამოც მართებულად არ მიგვაჩნია კ. ფიცხელაურის მიერ შემუშავებული ქრონოლოგიური შკალა, რომლის მიხედვითაც შიდა ქართლის გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურად მიღებული ძეგლები ულიანოვკის № 2 ყორღანზე ბევრად უფრო გვიანი ხანითაა დათარიღებული.

ნაკრძალა ქვიშის ყორღანი N 2



ნახ. 42

ჩვენი აზრით, ულიანოვკის № 2 ყორღანი და შიდა ქართლის გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის ძეგლები სხვადასხვა კულტურის წრეშია მოქცეული და მათ შორის არსებული სხვაობა ამით არის გაპირობებული. მხოლოდ ამით შეიძლება იქნეს ახსნილი ის ფაქტი, რომ სამთავროს სამაროვანზე გათხრილ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის შვიდასზე მეტ სამარხს შორის არ არის აღმოჩენილი ბაიბურთის სამარხებისა და ულიანოვკის № 2 ყორღანისათვის დამახასიათებელი მქისე თიხისაგან დამზადებული დიდი ზომის დერგები და სხვ. იმავე მიზეზით უნდა აიხსნას ის ვარემოებაც, რომ თრელის სამაროვანზე, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის დღემდე გათხრილ ასზე მეტ სამარხს შორის, არ არის აღმოჩენილი სამთავროს გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის ძეგლები-



Obr. 43

სათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს ფოთლისებური სატევარი, მასრაგახსნილი შუბის პირი, თავხვია საკინძი და სარდიონის ე. წ. დახეთქილი მძივი[58]. თრელის სამაროვანზე ყველაზე ინტენსიურად ითხრებოდა ის უბანი, სადაც ადრეული სამარხებია განლაგებული. აქ შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდიდან დაწყებული ადრერკინის ხანის ჩათვლით ყველა საფეხურის სამარხია გათხრილი. ამიტომ ძნელად დასაშვებია, რომ თრელის სამაროვანზე სამთავროს ფოთლისებური სატევრების დროინდელი არცერთი სამარხი არ არის აღმოჩენილი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ყველაზე ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ თრელის № 37, 42, 55 და 56 სამარხები სამთავროს ფოთლისებური სატევრების შემცველი ძეგლების თანადროულია და მათ მსგავსად ძვ. წ. XIV ს. უნდა დათარიღდეს.

ჩვენი აზრით, თრელის სამაროვანი აღნიშნულ საფეხურზე იმ კულტურის წრეშია მოქცეული, რომელიც გავრცელებულია კახეთში (ლაგოდეხის რაიონიდან, როგორც ჩანს მდ. არაგვამდე: ულიანოვკის № 2[59], ოლეს № 11 და № 13 ყორღანები[60]), ქვემო ქართლში (ბაიბურთის ზედა და ქვედა სამარხები[61] და საბიდაღჩას XXVIII და ტაბაწყურის XLII ყორღანები[62]) და სომხეთში (არიჩისა[63] და არტიკის[64] სამაროვნები). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კახეთი და ჩრდილოეთი სომხეთი მომდევნო საფეხურზეც ერთი კულტურის წრეში შედის. ამის საფუძველს იძლევა ულიანოვკის № 1[65] და ლჭაშენის № 1 და № 2[66] ყორღანებისა და არტიკის თანადროული სამარხების[67] მასალის ურთიერთმსგავსება. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, თრელის სამაროვნის № 37, 42, 55 და 56 სამარხები ძირითადად თანადროულია, მაგრამ ქრონოლოგიური სხვაობა მათ შორის მაინც უნდა არსებობდეს. ამის დამამტკიცებელია № 42 და № 55 სამარხების სტრატიგრაფიული განლაგება — № 55 სამარხის ქვაყრილი ნაწილობრივ გადადიოდა № 42 სამარხის ქვაყრილის წრეზე.

თრელის სამაროვანზე, დაახლოებით ძვ. წ. XIII ს-დან იცვლება სამარხთა ტიპი და მათში აღმოჩენილი მასალა. ამ დროიდან დაწყებული თრელისა და სამთავროს ძეგლები უახლოეს მსგავსებას პოულობს ერთმანეთთან. ზემოაღნიშნული კი ჩვენ იმის დამამტკიცებლად მიგვაჩნია, რომ ძვ. წ. XIV საუკუნეში თრელის სამაროვანი, ისევე როგორც კახეთი და თრიალეთი, სხვა კულტურის წრეში შედიოდა, ძვ. წ. XIII საუკუნიდან კი დიღმის ხეობაში შიდა ქართლიდან იჭრება ახალი ეთნიკური ელემენტი, რომელსაც სხვა კულტურა მოაქვს თან.

---

[58] სამთავროს სამაროვნის აღნიშნული ხანის ძეგლები იხ. ტ. ჩუბინიშვილის ნაშრომში „მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები“, თბილისი, 1957.

[59] რ. აბრამიშვილი. დასახ. ნაშრ.

[60] კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 128—131, ტაბ. II_1—IV_2.

[61] იქვე. გვ. 134—136, ტაბ. $VI_{1,2}$.

[62] ნ. თუშიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 149—151, ნახ. 40, 41.

[63] Т. С. Хачатрян. დასახ. ნაშრ.

[64] Т. С. Хачатрян. Материальная культура древнего Артика. Ереван, 1963.

[65] რ. აბრამიშვილი. არქეოლოგიური გათხრები კახეთში. საქართველოში 1960 წ. ჩატარებული არქეოლოგიურ კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1961, გვ. 18—20.

[66] А. О. Мнацаканян. Раскопки курганов на побережье оз. Севан. в 1956 году, СА, № 2, 1956, с. 146—153.

[67] Т. С. Хачатрян. Материальная культура древнего Артика, рис. 9, 10, таб. 5, 6, 21, 25, 30.

თრელის სამაროვნის ძვ. წ. XIII—XII საუკუნეების სამარხები

თრელის სამაროვანზე 1970—75 წლებში ძვ. წ. XIII—XII საუკუნეების 42 სამარხი გაითხარა. წინამდებარე ნაშრომში ვაქვეყნებთ 1970—72 წლებში გათხრილ აღნიშნული ხანის სამარხებს (№№ 9—12, 14, 31, 34—36, 38, 39, 41, 44, 45, 50, 52, 59, 61, 62, 64). ამა თუ იმ საკითხის განხილვისას კი ვითვალისწინებთ დღემდე გამოვლენილ ყველა ძეგლს.

განსახილველი პერიოდის ზემოთ აღნიშნული სამარხები გაითხარა სამხრეთ-აღმოსავლეთ სექტორში.

ქვემოთ ვიძლევით სამარხების აღწერილობას აღმავალი ნომრების მიხედვით.


სამარხი № 9 (ნახ. 44, ტაბ. XXVI). აღმოჩნდა BG ფართობზე, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,6—0,7 მ-ის სიღრმეზე. სამარხი ექსკავატორმა დააზიანა სამხედრო გზის ე. წ. დიღმის კვანძის მშენებლობასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოების დროს, რის გამოც ექსპედიციამ მისი მხოლოდ ერთი ნაწილის გათხრა-შესწავლა შეძლო. როგორც ჩანს, იგი ქვაყრილიანი ორმოსამარხი იყო. სამარხში აღმოჩნდა ადამიანის თავის ქალის ნატეხები, კბილები და ქვედა ყბა, ძლიერ დაზიანებული თიხის 6 ჭურჭელი (№№ 457—462), ბრინჯაოს ორი საკინძი (№№ 463—464), სარდიონის 18 (№ 465) და პასტის 10 მძივი (№ 466).

სამარხი № 10 (ნახ. 45). აღმოჩნდა BG ფართობზე. მისი უდიდესი ნაწილი გზის მშენებლობის დროს დაინგრა. ექსპედიციის მიერ ადგილზე გაიწმინდა მხოლოდ ერთი დაზიანებული ქოთანი (№ 373). გარდა ამისა, გადანაყარ მიწაში აღმოჩნდა რამდენიმე თიხის ჭურჭლის (№ 467—472, 474—482) ნატეხი, ოქროს მძივის გარსაკრავი (№ 492), სარდიონის 11 და პასტის 13 მძივი (№ 493), ბრინჯაოს რგოლი (№ 483), ბეჭედი (№ 484), ფირფიტის ნატეხები (№ 485), თავჩაბრუნებული მახათი (№ 486), და 5 საკინძი (№№ 487—491).

სამარხი № 11 (ნახ. 46, ტაბ. XXV). აღმოჩნდა BG ფართობზე. გზის მშენებლობის დროს დაინგრა მისი სამხრეთი ნაწილი. სამარხი ქვაყრილიანია. შემორჩენილი ნაწილის მიხედვით ქვაყრილს გეგმაში მართკუთხედის ფორმა უნდა ჰქონოდა. ქვაყრილის სისქე სამარხის შუა ნაწილში 0,5—0,6 მ-ს უდრიდა. მიცვალებულის თავის ქალა აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ხოლო ცენტრალურ ნაწილში ხერხემლის, ნეკნებისა და ბარძაყის ძვლის ნატეხები.


ქვაყრილის აყრისას სხვადასხვა დონეზე აღმოჩნდა რამდენიმე თიხის ჭურჭელი (№№ 494—511) და სარდიონისა და პასტის თითო მძივი (№ 512).

სამარხი № 12 (ნახ. 3, 47, 48, ტაბ. XXVIII, XXIX). აღმოჩნდა BF ფართობის 23/41—42 კვადრატებში. იგი ქვაყრილიანი ორმოსამარხია. ქვაყრილს გეგმაში ოვალის ფორმა ჰქონდა და მიმართული იყო სამხრეთ-დასავლე-




ნახ. 44

თიდან — ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ქვაყრილიდან დასაკრძალავი ორმოს იატაკი 0,6 მ. სიღრმეზე აღმოჩნდა. მისი ფართობია 1,8 მ×1,3 მ-ზე. ჩონჩხის ცუდი დაცულობის გამო მიცვალებულის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა. თავის ქალა აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ერთი კიდურის წინამხარის ძვლები იდო ლანგარზე (№ 513), ხოლო მეორისა — რამდენადმე სამხრეთ-დასავლეთით, სასმისსა (№ 517) და № 525 ჭურჭელზე, ქვემო კიდურების ძვლები კი — სამხრეთ-დასავლეთით.



ნახ. 45

სამარხში აღმოჩნდა თიხის 13 ჭურჭელი, ბრინჯაოს მახათი, 2 საკინძი, სარდიონის 68 მძივი და საქონლის ძვლები (ცხვრის თავის ქალა და ძროხის ძვლები). თიხის ჭურჭლის უმეტესობა (№№ 513—515, 520, 523, 524, 517,




ნახ. 46

518, 521, 522, 525) განლაგებული იყო სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში. ერთი სასმისი (№ 519) აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ კედელთან მდებარე ხელადაში (№ 520), ხოლო მეორე (№ 516) — რამდენადმე უფრო სამხრეთით. ბრიხჯაოს საკინძები (№№ 527, 528) აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ

კუთხესთან, მახათი (№№ 526) — N 514 და 517 ჭურჭელს შორის, ხოლო სარდიონის მძივები (№ 529) — № 518 სასმისის მახლობლად.


სამარხი № 14 (ნახ. 3, 49, 50, ტაბ. XXX) აღმოჩნდა BF ფართობის 23/38 კვადრატში. იგი ქვაყრილიანი ორმოსამარხია. ქვაყრილი წაგრძელებული იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. მისი ფართობია 1,2 მ×0,9 მ-ზე.



ნახ. 47

მიცვალებული დასვენებული იყო მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა თიხის 8 ჭურჭელი, ბრინჯაოს მახათი, სარდიონის 30 და ცისფერი პასტის 3 მძივი. თიხის 7 ჭურჭელი (№№ 530—535) განლაგებული იყო მიცვალებულის წინ (ამათგან ერთი ჭურჭლის აღება ვერ მოხერხდა ძლიერ ცუდი დაცულობის გამო), ხოლო მერვე (№ 536) — მიცვალებულის




ნახ. 48

ბარძაყისა და წვივის ძვლებს შორის. ბრინჯაოს მახვთი (541) იდო მიცვალებულის იდაყვის ძვლების სამხრეთით, ხოლო მძივები (№ 542) — გულმკერდის

არეში. ამას გარდა, სამარხის მთელ ფართობზე მიმოფანტული იყო თიხის ჭურჭლის ნატეხები (№№ 537—540).


სამარხი № 31 (ნახ. 3, 51, 52, ტაბ. XXXI). აღმოჩნდა BF ფართობის 32, 33/49 კვადრატებში, ნოლი ხაზიდან (იატაკი) 1,17 მ-ის სიღრმეზე. სამარხი წარმოადგენს ძირითადად რიყის ქვებისაგან ნაგებ აკლდამას. იშვიათად ნახმარია ფლეთილი ქვებიც. რიყის ქვები საკმაოდ მრავლად აღმოჩნდა სამარხშიც. სავარაუდოა, რომ აკლდამა გადახურული იყო ხის ძელებით და ზემოდან ეყარა ქვები. აკლდამის გარეგანი ზომებია 2,7 მ × 2,1 მ-ზე, ხოლო ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში შემორჩენილი კედლის მაქსიმალური სიმაღლე კი უდრიდა 0,8 მ. სამარხი მიმართული იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. როგორც ჩანს, აკლდამა აუგიათ მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ, რის გამოც აღმოსავლეთი კედლის ქვეშ მოჭცეულა ძვლები და თიხის ჭურჭლის ნატეხები. სამარხი გაძარცული აღმოჩნდა. დარღვეული იყო როგორც მიცვალებულის ჩონჩხის, ასევე სამარხეული ინვენტარის (№№ 543—558) თავდაპირველი მდებარეობა. მიცვალებულის ზედა ნაწილი აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედელთან, იღაყვის ძვლები კი — სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში.



ნახ. 49

სამარხი № 34 (ნახ. 53, ტაბ. XXXII$_1$) აღმოჩნდა BF ფართობზე, № 31 სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთით. სამარხი ძლიერ დაზიანებულია. სამარხეულ ინვენტარში არეული ქვები შესაძლოა იმის მოწმობაა, რომ იგი ქვაყრილიანი ორმოსამარხი იყო. მიცვალებულის ჩონჩხი შემორჩენილია ფრაგმენტულად. თავის ქალა იდო ჩრდილოეთ ნაწილში. სამარხში ინვენტარიდან აღმოჩნდა რამდენიმე თიხის ჭურჭლის (№№ 559—564), ბრინჯაოს მახათისა (№ 565) და ბრინჯაოს გაურკვეველი დანიშნულების მქონე ნივთის ნატეხები (№ 566), ობსიდიანის ანატკეცები (№ 567) და ცისფერი და თეთრი პასტის იოტები, რომელთა აღება ვერ მოხერხდა.

სამარხი № 35 (ნახ. 54) აღმოჩნდა BF ფართობზე, № 34 სამარხის მახლობლად. სამარხი ძლიერაა დაზიანებული. მისი ზომებია 1,3 მ×1,1 მ-ზე. სამარხში ერთმანეთში იყო არეული მიცვალებულის ძვლები და თიხის ჭურჭლის ნატეხები (№№ 568—573). აქვე აღმოჩნდა სარდიონის საკიდი (№ 574) და ცისფერი პასტის იოტები. ცუდი დაცულობის გამო იოტების აღება ვერ მოხერხდა.




ნახ. 50

ს ა მ ა რ ხ ი № 36 (ნახ. 3, 55, 56, ტაბ. XXXII$_2$, XXXIII, XXXIV) აღმოჩნდა BF ფართობის 36,37/16, 17 კვადრატებში. იგი ჩაშვებული იყო № 37 ყორღანული სამარხის ქვაყრილის ცენტრალურ ნაწილში. როგორც ჩანს, მიცვალებული დაუკრძალავთ № 37 სამარხის დასაკრძალავი ორმოს გადახურვის ჩაქცევის შემდეგ ქვაყრილში წარმოქმნილ ძაბრისებურ ორმოში, ქვაყრილის ზედაპირიდან 1,2 მ-ის სიღრმეზე. სამარხი დამხრობილი იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. მისი ზომებია 1,45 მ×1,26 მ-ზე. მიცვალებული დაუკრძალავთ

მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ. მისი ორივე ბეჭი თითქმის მიწაზე იდო.

სამარხში აღმოჩნდა თიხის 10 ჭურჭელი, ბრინჯაოს 2 საკინძი, ბრინჯაოს მახათი, სარდიონისა და პასტის მძივები, წვრილფეხა საქონლის ყბა.

თიხის ოთხი ქოთანი (№№ 576, 579, 580, 583) იდო მიცვალებულის წინ, სამარხის აღმოსავლეთ კედელთან, ორი ჭურჭელი — ქოთანი (№ 582) და დოქი (№ 578) — მიცვალებულის კეფასთან, სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეს-




ნახ. 51

თან, № 584 ჭურჭელი — თავის ქალის წინ, ხოლო № 581 ქოთანი აღდგა სამარხის მთელ ფართობზე მიმოფანტული ნატეხებისაგან. მიცვალებულს გულმკერდზე ედო მოზრდილი ტოლჩა (№ 577), ხოლო მარცხენა ხელის ქვემოთ იდო ლანგარი (575). ბრინჯაოს საკინძები (№№ 585, 586) აღმოჩნდა ლანგარზე, მახათი (№ 587) — თავის ქალის ქვეშ, სარდიონისა (№ 588) და პასტის (№ 589) მძივები კი მიცვალებულის გულმკერდის არეში.

სამარხი № 38 (ნახ. 3, 57, 58, ტაბ. XXXV, XXXVI) აღმოჩნდა BF ფართობის 41/25,26 კვადრატების მიჯნაზე, ნოლი ხაზიდან 1,26 მ-ის სიღრმეზე. სამარხი დაზიანებული იყო წყალსადენის მილის გაყვანისას. იგი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ წაგრძელებული ქვაყრილიანი ორმოსამარხია. მისი სავარაუდო ზომებია 1,6 მ×1,1 მ-ზე.

მიცვალებულის ჩონჩხი ცუდად იყო დაცული. შემორჩენილი იყო მხოლოდ თავდაპირველი მდგომარეობიდან დაძრული დაზიანებული თავის ქალა, იდაყვში მოხრილი მხრისა და წინამხრის ძვლები და სხივის ძვალი.


სამარხში აღმოჩნდა თიხის 13 ჭურჭელი, ბრინჯაოს 2 საკინძი, სარდიონის 105 და პასტის 2 მძივი (№ № 590, 606). თიხის ჭურჭლიდან ერთი იდო სამარხის სამხრეთ ნაწილში (601), ხოლო დანარჩენები განლაგებული იყო ორ დიდ ჯგუფად. თიხის ჭურჭლის ერთი ჯგუფი აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში (№ № 590, 593, 594, 595, 596, 602), მეორე კი — სამარხის ჩრდილო-და-



ნახ. 52


სავლეთ კუთხესთან (№ 591, 592, 597, 598, 600). ამას გარდა, ერთი კოჭობი (№ 599) აღმოჩნდა სამარხის დასავლეთის კედელთან, მის შუა ნაწილში.

ბრინჯაოს ერთი საკინძი (№ 603) აღმოჩნდა № 602 ჭურჭელზე, ხოლო მეორე (№ 604) — მიცვალებულის წინა მხრის ძვალზე. სამარხის მთელ ფარ-



ნახ. 53

თობზე მიმობნეული იყო სარდიონის მძივები (მათგან 12 ცალი აღმოჩნდა № 593 ჭურჭელში); პასტის მძივები კი აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში.




ნახ. 54

სამარხი № 39 (ნახ. 3, 59, 60, ტაბ. XXXVII, XXXVIII, XXXIX). აღმოჩნდა BF ფართობის 40/17 კვადრატში, ნოლი ხაზიდან 1,21 მ-ის სიღრმეზე. იგი ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხს გეგმაში სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ


წაგრძელებული ოვალის ფორმა ჰქონდა. მისი ზომებია 1,5 მ×1,2 ძ-ზე. სამარხის ძირი ქვაყრილის ზედაპირიდან 0,6 მ-ზე აღმოჩნდა.

დასაკრძალავი ორმოს გათხრისას დაუზიანებიათ № 37 სამარხის ქვაყრილის ზღუდის აღმოსავლეთი კედელი.




ნახ. 55

მიცვალებული დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ. იგი დასვენებული იყო დიდ ლანგარზე. ჩონჩხი ცუდად იყო დაცული. იგი, როგორც ჩანს, დაზიანდა სამარხში ქვაყრილის ჩაქცევის დროს.


589
0 1 2 3
588
575
584
587
585
586
576
577
578
583
581
580
0 2 4 6
579

Obb. 56

სამარხში აღმოჩნდა თიხის 13 ჭურჭელი (№№ 607—619), ბრინჯაოს მთლიანადსხმული სატევარი (№ 620), მასრაგახსნილი შუბისპირი (№ 261), საკინძი (№ 622) და კილიტი (№ 623). სამარხეული ინვენტარი ძირითადად გახლაგებული იყო მიცვალებულის წინ, სამარხის დასავლეთ კედელთან და თავთან. სამარხის ჩრდილო ნაწილშივე იდო საქონლის ძვლები.




ნახ. 57

სამარხი № 41 (ნახ. 61, 62, ტაბ. XL, XLI) აღმოჩნდა BG ფართობის 24,25/6,7 კვადრატებში, ნოლი ხაზიდან 0,31 მ-ის სიღრმეზე. იგი ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხი ორმოს ძირი ქვაყრილიდან 0,7 მ-ის სიღრმეზე იყო. დასაკრძალავ ორმოს ჰქონდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ წაგრძელებული ოვალის ფორმა. მისი ზომებია 1,9 მ×1,2 მ-ზე.

სამარხის ძირი თითქმის მთელ ფართობზე დაფარული იყო მოშავო ფერის ტყავისა თუ რაღაც ქსოვილის ნაშთით. სამარხი ეკუთვნის ზრდადასრულებულ ინდივიდს. მიცვალებული დაუსვენებიათ მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ. მიცვალებულის თავის ქალა დაძრული იყო თავდაპირველი მდგომარეობიდან. იგი ლანგარზე იდო, ქვედა ყბის მარჯვენა ნახევარი კი აღმოჩნდა მისგან აღმოსავლეთით. სავარაუდოა, რომ სამარხი გადახურული იყო ხის ძელებით. როგორც ჩანს, გადახურვა ჩაიქცა გვამის

გახრწნის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში თავის ქალას არ ექნებოდა დასავლეთისაკენ გადაგორების საშუალება.

სამარხში აღმოჩნდა თიხის 14 ჭურჭელი (624—637), ბრინჯაოს მთლიანადსხმული ბოლომომრგვალებული მახვილი, შუბისპირი, სამაჯური, რგოლი, სა-




ნახ. 58

კინძი, სარტყელი და სარდიონისა და მინისებური პასტის მძივები. ამას გარდა, ლავიწისა და მხრის ძვალის შეერთების ადგილას იდო ბრინჯაოს ფირფიტის ნატეხები, მაგრამ მათი აღება ცუდი დაცულობის გამო ვერ მოხერხდა.


თიხის ჭურჭლის მეტი ნაწილი განლაგებული იყო სამარხის ჩრდილო ნაწილში, მიცვალებულის ჩონჩხის დასავლეთით, ხოლო სამი კი (№№ 627, 628, 631) — სამხრეთ ნაწილში, მიცვალებულის ფეხებთან. ბრინჯაოს მახვილი (№ 638) იდო სამარხის ცენტრალურ ნაწილში, ბრინჯაოს შუბისპირი (№ 639)— იდაყვის ძვლის დასავლეთით, ბრინჯაოს სარტყელი (№ 643) — წელის არეში, მახვილისა და მიცვალებულის ქვემო კიდურების ქვეშ, ბრინჯაოს სამაჯური (№ 641) — მარჯვენა მხრის ძვალზე, რგოლი (№ 640) — ბრინჯაოს მახვილთან, მიცვალებულის ბარძაყის ძვალზე, საკინძი (№ 642) — მიცვალებულის კისრის არეში. მარჯვენა იდაყვის ძვალთან აღმოჩნდა სარდიონისა და მომწვანო ფერის მინისებური პასტის ორ-ორი მძივი (№ 644), ხოლო მიცვალებულის ფეხებთან — მსხვილფეხა საქონლის კიდურის ძვალი და წვრილფეხა საქონლის ორად გატეხილი ყბა.

ს ა მ ა რ ხ ი № 44 (ნახ. 3, 63, 64, ტაბ. XLII, XLIII, XLIV) აღმოჩნდა ВГ ფართობის 39/24 კვადრატში, ნოლი ხაზიდან 1,34 მ-ის სიღრმეზე. დასაკრძალავი ორმო გადახურული ყოფილა ხის ძელებით. სავარაუდოა, რომ მას ზემოდან ჰქონდა ქვაყრილი. სამარხის ჩრდილო ნაწილში აღმოჩნდა სამხრეთისა-



ნახ. 59


კენ დაქანებული დანახშირებული ფენა — გადახურვის ნაშთი. დასაკრძალავ ორმოს ზომები სამარხეული ინვენტარის გავრცელების მიხედვით უდრის


616
607
611
609
610
612
622
623
0 1 2 3
619
618
613
608
0 2 4 6
620
621
614
615
617

Бъб. 60


1,5 მ×1,15 მ-ზე. სამარხი წაგრძელებული იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

სამარხი ეკუთვნის ზრდადასრულებულ ინდივიდს. ძვლები ცუდად იყო დაცული — აღმოჩნდა მხოლოდ თავის ქალა, ქვედა კიდურის ძვლები, წინა



ნახ. 61

მხრის ერთი ძვალი და რამდენიმე ნეკნი. მიუხედავად ამისა, ქვედა კიდურების განლაგების მიხედვით ირკვევა, რომ მიცვალებული ესვენა მარჯვენა გვერდზე,


644
641
635
628
642
640
0 1 2 3
633
637
636
626
0 2 4 6
632
639
638
624
625
630
629
627
634
631

Sob. 62

თავით ჩრდილოეთისაკენ. თავის ქალა თავდაპირველი მდგომარეობიდან დაძრულა. იგი ლანგარზე იდო თხემით სამხრეთისაკენ. მისგან დასავლეთით აღმოჩნდა ქვედა ყბა.

სამარხში აღმოჩნდა თიხის 11 ჭურჭელი, ბრინჯაოს მთლიანადსხმული სატევარი, მთლიანადსხმული შუბისპირი, კოპებიანი საკინძი და წვრილფეხა საქონლის ძვლები. თიხის ჭურჭელი (№№ 645—655) ძირითადად სამარხის დასავლეთ ნაწილში იყო განლაგებული. მხოლოდ ერთი (ქილა № 648) იდო სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. ბრინჯაოს სატევარი (№ 656) აღმოჩნდა თავის ქალის სამხრეთით, წვერით აღმოსავლეთისაკენ და ტარით ლანგარზე, შუბისპირი (№ 657) — ჩრდილოეთ კედელთან, ხოლო საკინძი (№ 658) — ლანგარზე.

სამარხის სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის (ცხვრის?) თავის ქალა, კიდურის ძვლები და ნეკნები. № 649 ტოლჩაზე იდო საქონლის კიდურის ძვლის ნატეხი, სატევრის წვერზე — ცხვილფეხა საქონლის კიდურის ძვალი. წვრილი დაშლილი ძვლები აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედელთან.

როგორც ჩანს, მიცვალებულს ქვეშ დაგებული ჰქონდა ტყავი თუ სუდარა. მისი კარბონიზებული ნაშთი ფრაგმენტულად გვხვდებოდა სამარხის თითქმის მთელ ფართობზე.

სამარხი № 45 (ნახ. 65, 66, ტაბ. XLV$_{1,2}$, XLVI, XLVII) აღმოჩნდა BF ფართობის 32/21 კვადრატში, ნოლი ხაზიდან 1,33 მ-ის სიღრმეზე. დასაკრძალავი ორმოს ფართობი სამარხეული ინვენტარის განლაგების მიხედვით უდრიდა 1,5 მ×1,5 მ-ზე. მიცვალებული დაუკრძალავთ მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდილოეთისაკენ. ძვლები ცუდად იყო დაცული. თავის ქალა დაძრული იყი პირვანდელი მდგომარეობიდან და თხემით დასავლეთისაკენ იყო მიმართული.

სამარხში აღმოჩნდა თიხის 11 ჭურჭელი, ბრინჯაოს 2 საკინძი, სარდიონის 66, თეთრი პასტის 3 მძივი (№ 672) და საქონლის ძვლები. თიხის ჭურჭელი (№№ 659—669) ძირითადად განლაგებული იყო სამარხის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ კედლების გასწვრივ, ხოლო 2 ჭურჭელი — ტოლჩა (№ 662) და ხელადა (№ 666) აღმოჩნდა სამარხის ცენტრში. ამათგან კათხა იდო ბარძაყის ძვლებს ქვემოთ. ბრინჯაოს 1 საკინძი (№ 670) აღმოჩნდა ლანგარზე, ხოლო მეორე (№ 671) — მის აღმოსავლეთით. სარდიონის 43 მძივის ასხმა აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის არეში. დანარჩენი მძივები მიმოფანტული იყო სამარხის ცენტრალურ ნაწილში.

სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გაიწმინდა მსხვილფეხა საქონლის ბარძაყის ძვალი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში — წვრილფეხა საქონლის თავის ქალა.


სამარხი № 50 (ნახ. 3, 67, 68) აღმოჩნდა BF ფართობის 41, 42/49, 50 კვადრატებში, ნოლი ხაზიდან 0,64 მ-ის სიღრმეზე. სამარხი ცუდად იყო დაცული. მიცვალებულის ჩონჩხიდან შემოინახა მხოლოდ თავის ქალის (თხემის) ნატეხები და კიდურების ძვლის ფრაგმენტები. სამარხეული ინვენტარის განლაგების მიხედვით დასაკრძალავი ორმოს ფართობი უდრის 1,2 მ×0,8 მ-ზე. იგი წაგრძელებულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა დასავლეთის კედელთან განლაგებული 3 თიხის ჭურჭლის ნატეხი (№№ 673—675) და სარდიონის 17 მძივი (№ 676).

სამარხი № 52 (ნახ. 3, 69, 70, ტაბ. XLVIII) აღმოჩნდა BG ფართობის 38/1 კვადრატში, ნოლი ხაზიდან 1,21 მ-ის სიღრმეზე. სამარხი დაზიანებული იყო ექსკავატორის მიერ. სამარხეული ინვენტარის განლაგების მიხედვით და-

საკრძალავი ორმოს ფართობია 1,8 მ×1,35 მ-ზე. იგი წაგრძელებულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. მიცვალებულის ჩონჩხი ძლიერ იყო დაზიანებული. ვაიწმინდა თავის ქალისა და ლულოვანი ძვლების ცალკეული ნატეხები.

სამარხში აღმოჩნდა თიხის 7 ჭურჭელი (678, 679, 681, 685) და ორი სარქველი (№ 678, 680), ქვიშაქვისაგან დამზადებული კვირისტავი (№ 686) და



ნახ 63

ბრინჯაოს 2 ისრისპირი (№№ 687,688). თიხის 4 ჭურჭელი (№№ 677,679, 681, 684) იდო სამარხის დასავლეთ კედელთან, ხოლო დანარჩენი — სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. ამათგან ერთ-ერთი (№ 680) ჭურჭლის სარქველია და იგი კარგად მოერგო № 679 ჭურჭელს. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეშივე აღმოჩნდა კვირისტავიც, ბრინჯაოს ისრისპირები კი № 682 ჭურ-

ჭელში. თიხის ჭურჭლის ცალკეული ნატეხები მიმოფანტული იყო სამარხის მთელ ფართობზე.


წვრილფეხა საქონლის თავის ქალისა და ლულოვანი ძვლების ნატეხები აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. ამას გარდა, წვრილფეხა სა-



ნახ. 64

ჭონლის ცალკეული ძვლები იდო სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხე'ში და № 679 ჭურჭელში.

ს ა მ ა რ ხ ი № 59 (ნახ. 3, 71) აღმოჩნდა BG ფართობის 41/1 კვადრატ'ში. იგი წარმოადგენს ორმოსამარხის ნაშთს. სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში




ნახ. 65

აღმოჩნდა ლულოვანი ძვლის მხოლოდ რამდენიმე ნატეხი. სამარხეული ინვენტარი მხოლოდ კერამიკულია. თიხის ჭურჭელი (№ № 689—696) ძლიერ დაზიანებული და არეული იყო. თიხის ჭურჭლის შედარებით უძრავად გადარჩენი-

ნილი ქვედა ნაწილების მიხედვით ირკვევა, რომ ჭურჭელი ძირითადად სამარხის ჩრდილო ნაწილში იყო განლაგებული. სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა მხოლოდ ერთი ხელადის (№ 692) ნატეხები.


სამარხი № 61 (ნახ. 72) აღმოჩნდა ВН ფართობის 35/38 კვადრატ'ში. სამარხში ჩავარდნილი ქვები მიგვანიშნებს, რომ იგი ქვაყრილიანი ორმოსამარხი



ნახ. 66

იყო. სამარხის გამართვისას ჩაუჭრიათ ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ორმო. თვით სამარხი კი დაზიანებულია საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დროს.

სამარხში მიცვალებულის ძვლები ცუდად დაცულია, რის გამოც, დაკრძალულის პოზის გარკვევა ვერ მოხერხდა. არეული იყო თიხის ჭურჭელიც. მათი ნატეხების ალაგების შემდეგ შესაძლებელი გახდა თიხის 6 ჭურჭლის გამოყოფა (№№ 697—702).



ნახ. 67

სამარხი № 62 (ნახ. 73, ტაბ. XLIX), აღმოჩნდა BC ფართობის 40, 41/49 კვადრატების მიჯნაზე, ნოლი ხაზიდან 0,9 მ-ის სიღრმეზე. ინვენტარის განლაგების მიხედვით სამარხის ორმოს ზომებია 1.4 მ×1.1 მ-ზე. იგი წაგრძელებულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. მიცვალებულის ჩონჩხი ცუდად იყო დაცული, მისი ცალკეული ნაწილები დაძრული იყო თავდაპირველი მდგომარეობიდან. თავის ქალა წინა კიდურების ძვლებს შორის იყო მოქცეული და


პირქვე ემხო სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მყოფ ლანგარზე (№ 704), ხოლო ქვედა ყბა (კბილებით ქვევით) ამ ჭურჭლის სამხრეთ-დასავლეთით იდო. ძლიერ დაშლილი მენჯის ძვალი იდო ბარძაყის ძვალზე. ლავიწის ერთი ძვალი აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მეორე კი — აღმოსავლეთის კედლის შუა ნაწილთან. იქვე იყო ხერხემლის ნაწილებიც.

მიცვალებულისათვის სამარხში ჩაუტანებიათ თიხის 9 ჭურჭელი (№№ 703—711). მათგან ერთი (№ 710) იდო სამარხის დასავლეთ კედელთან, ხოლო დანარჩენი — ჩრდილო და აღმოსავლეთის კედელთან. ამას გარდა, სამარხის სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა ბრინჯაოს მახათი (№ 712), ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში — ტყვიის ხვია (№ 713). სარდიონისა და პასტის მძივები (№ 714) მიმოფანტული იყო სამარხის ცენტრში და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

სამარხი № 64 (ნახ. 3, 74, 75, ტაბ. L) აღმოჩნდა BF ფართობის 39, 40/48 კვადრატების მიჯნაზე. ქვაყრილი არ შემონახულა, მაგრამ დასაკრძალავ ორმოში ჩავარდნილი რამდენიმე რიყის ქვა სამარხს ზემოთ არსებული ქვაყრილის მაჩვენებელი უნდა იყოს. დასაკრძალავი ორმოს ზომებია 1.7 მ×1.0 მ-ზე. იგი წაგრძელებულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

მიცვალებულის ჩონჩხის ძვლები ცუდად იყო დაცული და მისი ცალკეული ნაწილები დაძრული იყო თავდაპირველი მდგომარეობიდან. თავის ქალა აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, პირისახით ზემოთ, გულმკერდის არეული ძვლები იდო თიხის ჭურჭელზე, ხოლო მკვეთრად მოხრილი ქვედა კიდურების ძვლები მენჯთან შედარებით რამდენადმე მაღლა იდო.

სამარხში აღმოჩნდა თიხის 10 ჭურჭელი (№№ 715—724). მათგან ერთი (№ 716) იყო სამარხის სამხრეთ ნაწილში, ერთი (№ 721) — მიცვალებულის წელის არეში, ხოლო დანარჩენი კომპაქტურად იყო განლაგებული სამარხის ჩრდილოეთ ნახევარში.




ნახ. 68

ამას გარდა სამარხში აღმოჩნდა სარდიონის 77 და თეთრი პასტის 4 მძივი. ამათგან სარდიონის 4 მძივი იდო № 720 ჭურჭელში, ხოლო დანარჩენი მიმოფანტული იყო მიცვალებულის გულმკერდის არეში. № 717 ჭურჭელში აღმოჩნდა ფრინველის ლულოვანი ძვლები.

თრელის სამაროვანზე 1968—75 წლებში გაითხარა სხვადასხვა პერიოდის 129 სამარხი, რომელთაგან 101 სამარხი ძვ. წ. XIII—VI საუკუნეებით თარიღდება (№№ 6, 7, 9—14, 16, 19, 23, 24, 28—36, 38—41, 44—50, 52, 57—73, 75—80, 82, 83, 85—103, 105—114, 116—129).

BG და BF ფართობზე საკმაოდ მჭიდროდაა განლაგებული ბრინჯაო-რკინის ხანის სამარხები. აღნიშნული დროის სამარხები ერთ სტრატიგრაფიულ ჭრილშია განლაგებული. ასე მაგალითად, № 37 სამარხის ქვაყრილში ჩაშვებული იყო № 36 სამარხი, ქვაყრილის ზღუდე დაზიანებული ჰქონდა № 39 და № 45 სამარხებს (ნახ. 29); № 42 სამარხის წრის შიგნით აღმოჩნდა №№ 28,57

და 58 სამარხები (ნახ. 6), № 55 სამარხის წრეში — № № 46 და 47 საძარხები (ნახ. 34), ხოლო №100 სამარხის წრის შიგნით ჩაშვებული იყო № № 87 და 95 სამარხები.




ნახ. 69

ძვ. წ. XIII—VI საუკუნეების სამარხების უმეტესობა აღმოჩნდა SO სექტორის BG და BF ფართობებზე, შედარებით მცირე ნაწილი (№ № 6, 7, 16, 19, 23, 24) — CB და CC ფართობზე, ხოლო ერთი (№ 61) — BH ფართობზე.

აღნიშნული ხანის სამარხები ძირითადად ქვაყრილიანი ორმოსამარხებია, ორი დასაკრძალავდარბაზიანი ყორღანია (№№ 16 და 24), ორი კი — რიყის ქვით ნაგები აკლდამა (№№ 31 და 117).

ძვ. წ. XIII—IX საუკუნეების ორმოსამარხების ერთ ნაწილს მიწის იმდროინდელ ზედაპირზე გარშემო შემოუყვება ძირითადი მოზრდილი ლოდე-




ნახ. 70

ბისგან შედგენილი წრე (№№ 71, 73, 93, 94, 105, 112, 113, 121), რომელთა დმ 5,5 მ-დან (სამარხი № 105) 12 მ-მდე (სამარხი № 93) მერყეობს.

ყველა ამ სამარხის წრის შიდა სივრცე ქვიშით იყო მოფენილი. ძვ. წ. X—IX სს № 71 და № 73 სამარხებს გარდა, ყველა ზემოხსენებული სამარხი ძვ. წ. XIII—XII საუკუნეებით თარიღდება.

ქვის წრეებიანი სამარხების ერთ ნაწილში წარჩინებული მეომრებია დაკრძალული (№№ 71 და 73), ხოლო მეორე ნაწილი გაძარცულია. სამარხის ტიპი, დასაკრძალავი ორმოების შედარებით დიდი ზომები (№ 93 სამარხის ორმოს ფართობი უდრიდა 5 მ×4 მ-ზე) და შემორჩენილი ინვენტარი (№ 94 სამარხის ბრინჯაოს ბრტყელი ცული, ოქროს მძივები და ფირფიტის ნატეხები) გვაფიქრებინებს, რომ გაძარცულ წრიულ სამარხებშიც გვარის ღაწინაურებული პირები იყო დაკრძალული.

თრელის სამაროვანზე ძვ. წ. XIII საუკუნიდან იცვლება სამარხთა ტიპი. ამ დროიდან დაწყებული რკინის ფართო ათვისების ხანის ჩათვლით ნაცვლად წრიულქვაყრილიანი სამარხებისა ძირითადად გავრცელებული იყო ქვაყრილიანი ორმოსამარხები.



ნახ. 71

ქვაყრილიანი სამარხების ორმოები სავარაუდოა, რომ გადახურული იყოს ხის ძელებით. დასაკრძალავ ორმოებს ჩვეულებრივ კუთხეებმომრგვალებული სწორკუთხედის ფორმა ჰქონდა. მათი სიგრძე მერყეობს 2,5 მ-დან (სამარხი № 49) 1,2 მ-მდე (სამარხები №№ 14, 50), ხოლო სიგანე — 1,75 მ-დან (სამარხი № 49) 0,8 მ-მდე (სამარხი № 50). ყველა სამარხი დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

ქვაყრილიან ორმოსამარხებში მიცვალებული ჩვეულებრივ დაკრძალულია კიდურებმოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ. გამონაკლისს წარმოადგენს ძვ. წ. VIII—VI საუკუნეების № 13 სამარხი, რომელშიც მიცვალებული ესვენა გულაღმა, მუხლებგადაშლილი ქვედა კიდურებით. რამდენიმე სამარხში (№№ 12, 48, 62, 64, 97, 98 103, 106) ჩონჩხის ცალკეული ნაწილების არაბუნებრივი მდებარეობის გამო არ არის გამორიცხული მიცვალებულის მყდომარე პოზაში დაკრძალვა, ხოლო ოთხი სამარხი კენოტაფი უნდა იყოს (№№ 63, 70, 77, 111).

სამარხების ერთი ნაწილი აშკარად გაძარცულია, დიდი ნაწილი კი დაზიანებულია გვიან, რის გამოც მათში მიცვალებულის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა (№№ 9, 10, 12, 19, 31, 35, 40, 48, 50, 52, 58—62, 66—69, 75—83, 87, 89, 93, 94, 99, 101, 105, 108, 110, 112—114, 117, 118, 120—123, 125—129).

SO სექტორის BG და BF ფართობებზე ძვ. წ. XII ს. მეორე ნახევრიდან ძვ. წ. VIII ს-მდე აღმოჩენილია მხოლოდ წარჩინებული მეომრების სამარხები (№№ 28, 30, 41, 47, 49, 71, 73, 79, 90, 97, 109, 119), ხოლო რიგით წევრებს კი მარხავდნენ ამ ადგილიდან მეტ-ნაკლებად მოშორებით. ძვ. წ. VIII ს-დან კი, როცა რამდენადმე მივიწყებულ იქნა ეს სამაროვანი, აქ ისევ ასაფლავებდნენ რიგით წევრებს (№№ 13, 24, 46, 53, 60, 66, 69, 107 სამარხები).

ქვემოთ განვიხილავთ 1972 წლის ჩათვლით გათხრილ ძვ. წ. XIII—XII საუკუნეების სამარხთა ინვენტარს, რომელთა შორის დიდ უმრავლესობას თიხის ჭურჭელი წარმოადგენს.

კ ე რ ა მ ი კ ა

თრელის სამაროვანზე ძვ. წ. XIII—XII საუკუნეების სამარხებშიც ყველაზე მრავალრიცხოვან მასალას თიხის ჭურჭელი წარმოადგენს. აღნიშნული პერიოდის კერამიკა, როგორც წესი, დამზადებულია მორგვზე წვრილმინარევებიანი თიხისაგან, გამომწვარი შავად და შემკულია გეომეტრიული სახეებით. ორნამენტი დატანილია ამოღარვის, ჭედვისა და გაპრიალების ტექნიკით. იშვიათად გვხვდება რელიეფური ორნამენტიც. ჭურჭლის ზედაპირი უმეტესად კარგად არის მოგლუვებული. გვხვდება შედარებით მქისე თიხისაგან დამზადებული ხაოიანი ზედაპირის მქონე ჭურჭელიც.

ფერადი
თაბ. V$_{1-4}$

კერამიკულ ნაწარმს განვიხილავთ დანიშნულებისა და ფორმის მიხედვით.

ლ ა ნ გ რ ე ბ ი დ ა ჯ ა მ-ფ ი ა ლ ე ბ ი. თრელის სამაროვანზე 1970—72 წლებში გათხრილ ძვ. წ. XIII—XII საუკუნეების სამარხებში აღმოჩენილია 20 ლანგარი და ჯამ-ფიალა[1]. ფორმის მიხედვით შესაძლებელი გახდა ოთხი ჯგუფის გამოყოფა: I გვერდჩაღარული, II შეუღლგვერდიანი, III გადაშლილგვერდიანი და IV გვერდშეზნექილი ლანგრები და ჯამ-ფიალები. ტიპოლოგია შედგენილია ჭურჭლის გვერდის მოყვანილობის მიხედვით.

I ჯგუფში გაერთიანებულია 10 ჭურჭელი[2], მათთვის დამახასიათებელია: გადაშლილი ბაკომომრგვალებული[3] ან სწორი პირი[4], ჩაღარული გვერდი, მკვეთრად გამოხატული წიბო, დაქანებული კალთა და უქუსლო[5] ან დაბალქუსლიანი[6] ბრტყელი პირი. თრელის სამაროვანზე აღმოჩენილ ლანგრებსა და ჯამ-ფიალებს შორის გვერდჩაღარული ლანგრები გამოირჩევა შემკობითაც. ორნამენტი უმეტესად დატანილია გვერდზე და ძირზე, გვერდზე გვხვდება ტალღისებური ღარები (ნახ. 66), ძირზე კი — ჭდეული მოკლე ხაზები და სპირალისებური ღარები. ამავე ჯგუფშია გაერთიანებული № 9 სამარხის № 457 ჭურჭელი (ნახ. 44), რომელსაც შემორჩენილი აქვს ერთი სწორკუთხაგანივკვეთიანი ყური. ყურიანი ლანგრები ქართლში იშვიათად გვხვდება. ჩვენთვის ცნობილი მასალებიდან ერთი ცალი აღმოჩენილია კასპის სამაროვანზე[7]. კ. ფი-

---

[1] სამარხები №№ 9 (457), 10 (767), 11 (503, 504, 505), 12 (513), 14 (530), 31 (543, 544), 34 (559), 36 (575), 38 (591), 39 (607), 41 (626), 44 (646), 45 (661, 669), 50 (673), 52 (683), 59 (689, 690), 62 (704, 710).

[2] სამარხები №№ 9 (457), 12 (513), 36 (575), 39 (607), 44 (646), 45 (661, 669), 50 (673), 52 (683), 59 (689, 690), 62 (704, 710).

[3] სამარხები №№ 9 (457), 36 (575), 38 (591), 39 (607), 44 (646), 45 (661, 669), 50 (673), 52 (683), 59 (690), 62 (704, 710).


[4] სამარხები №№ 12 (513), 59 (689).

[5] სამარხები №№ 36 (575), 44 (646), 52 (683), 59 (689), 62 (704, 710).

[6] სამარხები №№ 12 (513), 39 (607), 45 (661), 59 (690).

[7] მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე. კასპის სამაროვანი. მსკა, IV, თბ., 1965, გვ. 39, ტაბ. II$_{13}$.

ცხელაურის ცნობით, ყურიანი ლანგრები დიდი რაოდენობით გვხვდება კახეთის ტერიტორიაზე: გულგულაში, ბაკურციხეში, იყალთოში, თელავში. მისი აზრით, ამ ტიპის ჭურჭელი დამახასიათებელია მხოლოდ იორ-ალაზნის აუზისათვის[8]. რამდენიმე ცალი ყურიანი ლანგარი აღმოჩენილია ლაგოდეხის რაიონის




ნახ. 72

სოფ. ულიანოვკაში[9]. თრელის სამაროვანზე აღმოჩენილი ლანგრის ანალოგიურია სომხეთში მეწამორის ნასახლარზე ნაპოვნი ერთი ლანგარი[10]. გვერდჩაღა-


[8] კ. ფიცხელაური. გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი სოფ. გულგულადან. მსკა, II, თბ., 1959, გვ. 144, ტაბ. V₂.

[9] რ. აბრამიშვილი. არქეოლოგიური ვათხრები კახეთში (ხელნაწერი). სამარხები №№ 1, 2, 3, 4, 5, 6.

[10] Э. В. Ханзадян. Остатки материального производства, стратиграфические наблюдения и вопросы датировки поселения. Мецамор, Ереван, 1973, рис. 72.



Бзв. 73



Esb. 74

რული ლანგრების ჯგუფიდან აღსანიშნავია ერთი პატარა ზომის ფიალა (ნახ. 66), რომელსაც აქვს განზე გადგმული სამი დაბალი ფეხი[11]. სამფეხა ჭურჭელი გვხვდება სამთავროს[12], კასპის[13], ცხინვალის[14], მინგეჩაურის[15], არტიკის[16] გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხებში, მაგრამ არც ერთი მათგანი ჩვენთვის საინტერესო ჭურჭლის ზუსტ ანალოგიას არ წარმოადგენს.

გვერდჩაღარული ლანგრები თრელის სამაროვანზე გვხვდება 1972 წლის შემდეგ გათხრილ ძვ. წ. XIII—XII საუკუნეების სამარხებშიც[17]. ამ ტიპის ჭურჭელი დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ძვ. წ. XI—VI საუკუნეების სამარხებშიც[18]. ანალოგიური ლანგრები აღმოჩენილია სამთავროს[19], ნარეკვავის[20], ზემოავჭალის[21], კასპის[22], მადნისჭალის[23] და ბეშთაშენის[24] გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანის სამარხებში.

აღნიშნული ტიპის ჭურჭელი თარიღდება ძვ. წ. XIV—VI საუკუნეებით და მათი ტერიტორიული გავრცელების არეალი ძირითადად შემოიფარგლება შიდა ქართლით. იშვიათად გვხვდება შიდა ქართლის მოსაზღვრე ქვემო ქართლის (ბეშთაშენი, მადნისჭალა) ტერიტორიაზეც.

II ჯგუფში გაერთიანებულია 6 ჭურჭელი[25]. მათთვის დამახასიათებელია გადაშლილი ბაკომომრგვალებული პირი, შვეული გვერდი, მკვეთრად გამოხატული წიბო და უჭუსლო[26] ან დაბალჭუსლიანი[27] ბრტყელი ძირი. ყველა მათგანი სადაა, გამონაკლისია ერთი ჭურჭელი (სამარხი № 34, № 559), რომელსაც ძირის კიდე შემკული აქვს ჭდეული მოკლე ხაზებით (ნახ. 53). შვეულგვერდიანი ლანგრები აღმოჩენილია სამთავროს[28], წოფის[29], მადნისჭალის[30] და ბეშთაშენის[31] სამაროვნებზე. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ შვეულგვერდიანი ლანგრები გავრცელებულია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში და უმთავრესად გვხვდება შიდა და ქვემო ქართლის ტერიტორიაზე.

---

[11] სამარხი № 45 (669).

[12] ორმოსამარხები №№ 101, 232, 343.

[13] მ. ბარამიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 40, ტაბ. II_5.

[14] Б. В. Техов. К истории изучения памятников эпохи энеолита и бронзы в нижнем течении реки Большой Лиахви, Тб., 1963, с. 65, рис. 27_2.

[15] И. Асланов, Р. Ваидов, Г. Ионе. Древний Мингечаур, Баку, 1959, табл. $XLIII_{6,7}$.

[16] Т. С. Хачатрян. Древняя культура Ширака, Ереван, 1975, с. 229, рис. 144.

[17] სამარხები №№ 80, 87, 9 , 116, 121.

[18] სამარხები №№ 16, 24, 29, 30, 48, 57, 60, 63, 73, 77, 78, 90, 92, 109, 123, 129.

[19] ორმოსამარხები №№ 19, 20, 51, 56, 81, 88, 96, 114, 155, 173, 192, 240, 279, 281.

[20] ნ. ოქროპირიძე. ნარეკვავის სამაროვანი. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, თბ., 1963, გვ. 199—200, ტაბ. IV.

[21] ვ. ნიორაძე. ზემო ავჭალის სამარე. საქართველოს მუზეუმის მოამბე, VI, თბ., 1931 გვ. 211.

[22] მ. ბარამიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 40, ტაბ. III_1.

[23] ნ. თუშიშვილი. მადნისჭალის სამაროვანი. თბ., 1972, გვ. 92—93.

[24] Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941, Табл. XLVIII.

[25] სამარხები №№ 1 (503, 504, 505), 14 (530), 34 (559), 38, (591), 65, 101, 127.

[26] სამარხები №№ 14 (530), 38 (591).

[27] სამარხები №№ 11 (503, 504, 505), 34 (559).


[28] ორმოსამარხები №№ 13, 14, 16, 19, 20, 64, 75, 155, 261, 263, 268, 275, 280.

[29] რ. აბრამიშვილი. წოფის სამაროვანი (ხელნაწერი). სამარხი № 2, ორმო სამ. № 1, ქვაყუთი № 1.

[30] ნ. თუშიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 93, სურ. 14, № 166.

[31] Б. А. Куфтин. დასახ. ნაშრ. ტაბ. $XVIII_5$.

III ჯგუფში გაერთიანებულია 3 ჭურჭელი[32], მათ აქვთ ძლიერ გადაშლილი ბაკომომრგვალებული პირი და გვერდი, მომრგვალებული წიბო და უქუსლო ბრტყელი ძირი. ერთი მათგანი პირზე შემკულია ტალღისებური ორი ამოღარული ზოლით [33] (ნახ. 52). მსგავსი ჭურჭელი გვხვდება თრელის სამაროვნის



ნახ. 75

1972 წ. შემდეგ გათხრილ სამარხებშიც[34]. სამი მათგანი თარიღდება ძვ. წ. XIV საუკუნის მიწურულით. აღსანიშნავია, რომ სამივე აღმოჩენილია ერთსა და

[32] სამარხები №№ 10 (767), 31 (543, 544).
[33] სამარხი № 31 (543).
[34] სამარხები №№ 88, 117 (3 ცალი), 119, 126, 128, 129.

Bob. 76

იმავე სამარხში[35]. ანალოგიური ჭურჭელი ნაპოვნია სამთავროს ძვ. წ. XIV—VI საუკუნეებით დათარიღებულ სამარხებში[36]. მსგავსი ლანგრები აღმოჩენილია აგრეთვე წოფისა[37] და თლის[38] სამაროვნებზე და თარიღდება ძვ. წ. XIII—XII საუკუნეებით.

IV ჯგუფში შედის ერთი ლანგარი[39] (ნახ. 62), რომელსაც სხვებისაგან განსხვავებით აქვს ბრტყელი ბაკო, შიგნით შედრეკილი გვერდი, მკვეთრად გამოხატული წიბო და ბრტყელი ძირი. მისი ანალოგიური ჭურჭელი ჩვენთვის ცნობილი არ არის.

თრელის სამაროვანზე აღმოჩენილი ლანგრები და ჯამ-ფიალები მოიცავს მთელ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას და მათი ანალოგიური ჭურჭელი გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ძირითადად კი ქართლში. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ყურიანი ლანგრები, რომელთა უმეტესობა კახეთშია აღმოჩენილი.

დ ო ქ ე ბ ი და ხ ე ლ ა დ ე ბ ი. თრელის სამაროვანზე ძვ. წ. XIII—XII ს. ს. სამარხებში აღმოჩენილია 3 დოქი[40] და 31 ხელადა[41]. მათ ახასიათებს საშუალო ზომის, შუისაკენ შევიწროებული ყელი, ოდნავ წაგრძელებული სფეროსებური მუცელი და ზოომორფული ყური (რამდენიმეს ყური სადა აქვს)[42], რომელიც პირს ქვევით და მხარეზეა მიძერწილი. გამონაკლისს წარმოადგენს ოთხი ხელადა, რომლებსაც ყურის ზედა ნაწილი უშუალოდ პირზე აქვს მიბმული[43]. ჭურჭლის უმეტესობას ყელზე და მხარზე გარსშემოუყვება ამოღარული ზოლები, № 632 ჭურჭლის ზედა ნაწილი კი სპირალურად განლაგებული ღარებითაა დაფარული. ზემოალნიშნული ხელადების ერთი ნაწილი უმრავლესობისაგან რამდენადმე განსხვავებული ნიშნებით ხასიათდება. ასე მაგალითად, რამდენიმე მათგანი ბიკონუსურმუცლიანი[44], ორი კი — ტანგოფრირებულია[45]. № 653 ხელადას სამი დაბალი ფეხი აქვს (ნახ. 64), № 666 ჭურჭელს პატარა, მუცელთან შეფარდებით მაღალი, განიერი ყელი აქვს, № 664 ხელადა კი მსხლისებური ფორმის ტანითა და მაღალი, ოდნავ გადაშლილი პირით გამოირჩევა (ნახ. 66).

აღსანიშნავია, რომ თრელის სამაროვანზე ზემოაღნიშნული ფორმის ჭურჭელი გვხვდება ძვ. წ. XIII—IX ს. ს.-ში, ხოლო მომდევნო VIII—VI ს. ს-ში დოქებისა და ხელადების ფორმები იცვლება და უფრო მრავალფეროვანი ხდება.

თრელის სამაროვნის ზემოთ განხილული ჭურჭლის ანალოგიური დოქები და ხელადები გავრცელებულია შიდა ქართლის ტერიტორიაზე. ისინი გვხვდება

---

35 სამარხი № 117.

36 ორმოსამარხები №№ 54, 58, 64, 73, 75, 128, 218, 254, 283 (2).

37 რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ. წრიული სამარხი № 2, ქვაყუთი № 6.

38 Б. В. Т е х о в. Очерки древней истории и археологии Юго-Осетии. Тб., 1972, с. 161—162, рис. 59$_7$.

39 სამარხი № 41 (626).

40 სამარხები №№ 39 (№ 612 და № 613), 41 (№ 631).

41 სამარხები №№ 9 (№ 459), 10 (№ 470), 11 (№ 501), 12 (№ 520 — № 522), 14 (№ 533), 36 (№ 578), 38 (№№ 594—596, 600), 39 (№ 614), 41 (№ 632), 44 (№ 651—653), 45 (№ 664—№ 666), 62, (№ 709), 64 (№ 79), 65, 80, 86, (2 ცალი), 94, 96, 126 (3 ცალი).


42 სამარხები №№ 12 (№ 522), 36 (№ 578), 41 (№ 631, 632), 65.

43 სამარხები №№ 12, 36, 41, 65.

44 სამარხები №№ 12 (№ 522), 14, (№ 533), 38 (№ 595), 76.

45 სამარხები №№ 14, 65.

საკუთრივ თბილისში[46] (ნავთლუღში, საბურთალოზე, ღრმაღელეში), სამთავროს[47] ნარეკვავის[48] და არმაზისხევის[49] სამაროვნებზე, ხოვლეგორის[50] და დიდი გორის[51] ნამოსახლარებზე. მსგავსი ფორმის ჭურჭელი შიდა ქართლის გარეთ ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ მის მომიჯნავე ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არსებულ მადნისჭალის სამაროვნიდან[52]. ეს ფორმები გავრცელებულია XIV[53] ს-დან — IX[54] ს-ის ჩათვლით.



ნახ. 77

ქილები. ყურიანი ქილები. თრელის სამაროვანზე 1970—72 წ. წ. გათხრილი ძვ. წ. XIII—XII საუკუნეების სამარხებში აღმოჩნდა 8 ყურიანი ქილა[55]. მათ აქვთ ლეგა-მონაცრისფრო კეცი და ასეთივე ფერის მოვლუვებული ზედაპირი. მათთვის დამახასიათებელია ოდნავ გადაშლილი მრგვალ-

[46] დ. ქორიძე. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. I, 1955, ტაბ. XXX_1, XXX_{12}, სურ. 28, 29; მისივე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, II, გვ. 26, სურ. 4.

[47] ორმოსამარხები №№ 26 (1938 წ.), 228 (იხ. ტ. ჩუბინიშვილი. მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1957, ტაბ. XV) 80, 221 (XIV ს.) №№ 7 (1938 წ.) 125, 240 (3 ცალი) (XIII ს. — XII ს. 1 ნახ.), №№ 96, 164, (2 ცალი), 279 (2 ცალი) (XII ს. II ნახ. — X ს. I ნახ.), №№ 44 (2 ცალი, 1939 წ.), (X ს. II ნახ. — IX ს.).

[48] ნ. ოქროპირიძე. დასახ. ნაშრ. ტაბ. $V_{2,3,10}$.

[49] ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე. მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. I, თბ., 1955, ტაბ. $CXIX_4$.

[50] დ. მუსხელიშვილი. ხოვლეგორის ნასახლარის არქეოლოგიური მასალა (ხელნაწერი), ნივთის № 194, VI ფენა.


[51] ო. ღამბაშიძე. გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები სოფ. დოღლაურიდან. მსკა, VI ტაბ. I_4.

[52] ნ. თუშიშვილი. დასახ. ნაშრ. ტაბ. XXI, ნახ. 19_1, 31.

[53] სამთავროს №№ 26, 80, 221, 228 ორმოსამარხები, ღრმაღელეს № 4 სამარხი — დ. ქორიძე. დასახ. ნაშრ. ტ. II, ნახ. 28, 29, გვ. 90, 95. მადნისჭალის სამაროვნის № 1 ორმოსამარხი, № 25 და № 30 ქვაყუთები, ნ. თუშიშვილი. დასახ. ნაშრ.

[54] სამთავროს № 44 ორმოსამარხი, თრელის №№ 30, 71, 97, 106, და სხვ. სმ.

[55] სამარხები №№ 10 (469), 31 (545), 36 (579), 39 (608, 617), 41 (627), 44 (647), 45 (659).



Бъб. 78

ბაკოიანი ფართო პირი (გამონაკლისს წარმოადგენს № 10 სამარხის № 469 ვიწროპირიანი ჭილა), ღარისებური დაბალი ყელი, სფეროსებური ოდნავ წაგრძელებული კორპუსი, უჭუსლო[56] ან დაბალჭუსლიანი[57] ბრტყელი ძირი, მხარზე დაძერწილი ორი სადა[58] ან ზოომორფული[59] ყური და ყურებს შორის სიმეტრიულად განლაგებული შვერილები — უნაგირისებური[60], ლურსმნისებური[61] (ნახ. 66), კოპისებური[62] (ნახ. 60) და ბორცვისებური[63] (ნახ. 64) ან ბრტყელი და კოპისებური ერთდროულად[64] (ნახ. 56). ორნამენტირებულია ჭურჭლის ყელი, მხარი, მუცელი და ტანის ქვედა ნაწილი. ძირი ჩვეულებრივ სადა აქვთ, გამონაკლისია № 45 სამარხის № 659 ჭილა, რომელსაც ძირის კიდეზე შემოსდევს მოკლე ირიბი ჭდეები (ნახ. 66).

თრელის სამაროვანზე მსგავსი ჭილები აღმოჩენილია 1972 წლის შემდეგ გათხრილ, როგორც ძვ. წ. XIII—XII საუკუნეებისა[65], ასევე უფრო მოგვიანო ძვ. წ. XI—VI საუკუნეებით დათარიღებულ სამარხებშიც[66]. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არც ერთი მათგანი ზემოაღნიშნული ჭილების ზუსტ ანალოგიებს არ წარმოადგენს. განხილული ჭილებისაგან რამდენადმე გამოირჩევა № 45 სამარხის № 659 ჭილა, რომელსაც ძაბრისებური ყელი აქვს (ნახ. 66). მისი ანალოგიური ჭურჭელი ჩვენთვის ცნობილი არ არის.

თრელის სამაროვანზე აღმოჩენილი ყურიანი ჭილების ანალოგიური ჭურჭელი გვხვდება სამთავროს[67], ნარეკვავის[68], მადნისჭალის[69], წინწყაროს[70], არტიკის[71], სამაროვნების გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხებში.

ზემოაღნიშნული ჭილები თარიღდება ძვ. წ. XIV—VI საუკუნეებით და, როგორც ჩანს, ძირითადად გავრცელებულია შიდა ქართლისა და მის მომიჯნავე ქვემო ქართლის ტერიტორიაზე.

უ ყ უ რ ო ჭ ი ლ ე ბ ი და დ ე რ გ ე ბ ი. თრელის სამაროვანზე 1970—72 წწ-ში გათხრილ XIII—XII საუკუნეების სამარხებში აღმოჩენილია 20 ჭილა და 1 დერგი[72]. მათ აქვთ მოშავო-მონაცრისფრო მოგლუვებული ზედაპირი, ასეთივე ფერის შიდაპირი და კეცი, ოდნავ გადაშლილი ბაკოიანი პირი, ღარისებური დაბალი ყელი, სფეროსებური ოდნავ წაგრძელებული ტანი და ბრტყელი ძირი. ოთხი მათგანი ჭუსლიანია[73]. აღნიშნული ჭურჭლიდან შვიდი

---

[56] სამარხები №№ 10 (469), 31 (545), 39 (617), 44 (647).

[57] სამარხები №№ 36 (579), 39 (608), 41 (627), 45 (659).

[58] სამარხები №№ 39 (617), 41 (627), 44 (647).

[59] სამარხები №№ 10 (469), 36 (579), 39 (608), 45 (659).

[60] სამარხები №№ 10 (469), 39 (608), 41 (627).

[61] სამარხი № 45 (659).

[62] სამარხი № 39 (617).

[63] სამარხი № 44 (647).

[64] სამარხი № 36 (579).

[65] სამარხები №№ 65, 80, 86.

[66] სამარხები №№ 28, 30 (2), 40, 47, 49 (1), 71 (3) 72, 73, 77, 79, 119, 125.

[67] ორმო სამარხები №№ 39, 158, 212, 262.

[68] ნ. ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 195—196, ტაბ. V_6.


[69] ნ. თ უ შ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 96, ტაბ. $XXVII_{39,69,70}$.

[70] Б. А. К у ф т и н. დასახ. ნაშრ. ტაბ. $XXIX_1$.

[71] П. С. Х а ч а т р я н. Материальная культура древнего Артика, Ереван. 1963, С. 118—121, табл. $24_{2,3}$.

[72] სამარხები №№ 9 (461), 11 (494, 495, 507), 31 (550), 36 (580, 583), 38 (590), 39 (609, 616), 41 (634), 44 (645, 648, 654), 45 (660, 667), 52 (677, 679), 61 (700), 64 (715, 716).

[73] სამარხები №№ 45 (660), 52 (679), 62 (703), 64 (715).



ნახ. 79

ქილა შედარებით მცირე ზომის და ვიწროპირიანია[74]. მათ ყელი შემკული აქვთ კონცენტრული ღარებით. გამონაკლისია სამი ქილა. ერთი მათგანი (ნახ. 56)

[74] სამარხები №№ 9 (461), 36 (583), 39 (616), 41 (634), 44 (654), 45 (667), 52 (679).


ორნამენტირებულია დაშტრიხული სამკუთხედებით[75], მეორე — წიწვისებური და ბადისებური სახეებით[76] (ნახ. 64), ხოლო მესამე (სარქველიანი) — ირიბი ნაპრიალები ხაზებით[77] (ნახ. 70). განხილული ქილების ანალოგიური ჭურჭელი გვხვდება სამთავროს[78], ნარეკვავის[79], ჩარდახის[80] და მადნისჭალის[81] სამაროვნებზე.

ზემოთ განხილული ჭურჭლიდან გამოირჩევა სამი მოზრდილი ქილა. მათ აქვთ შედარებით ფართო პირი[82]. ორი მათგანი ყელზე და მუცელზე ორნამენტირებულია კონცენტრული[83] (ნახ. 52), მესამე კი ტალღისებური[84] ღარებით, (ნახ. 60). თრელის სამაროვანზე ანალოგიური ქილა კიდევ ოთხი ცალია აღმოჩენილი. ორი მათგანი თარიღდება XIII—XII ს.ს.[85], ორი კი XI—IX სს[86]. მათი მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია სამთავროში[87], მადნისჭალაში[88], ბეშთაშენში[89] და არტიკში[90].

განხილული ჭურჭლისაგან რამდენადმე განსხვავდება 5 ქილა, რომელთაც აქვთ ფართო პირი და ბიკონუსური მუცელი[91]. ორი მათგანი (სამარხი № 36, ჭურჭელი 580, 583) შედარებით მაღალია (ნახ. 56). მსგავსი ქილები გვხვდება სამთავროს[92], ნარეკვავის[93], ჩარდახის[94], მადნისჭალის[95] და არტიკის[96] სამაროვნებზე. ცალკე უნდა განვიხილოთ 5 ქილა, რომლებიც სხვებისაგან განსხვავებით უფრო მოზრდილებია[97]. აღნიშნული ქილებიდან ერთი ჭურჭელი (სამარხი № 44, ჭურჭელი 645, ნახ. 64) შედარებით ფართოპირიანი და ბიკონუსურტანიანია. მას მხრებზე დაძერწილი აქვს უნაგირისებური ოთხი შვერილი. მეორე ქილას მხრებზე დაძერწილი აქვს ორი ბრტყელი შვერილი, რომლებიც სიდიდის გამო შეიძლება სახელურებად ჩაითვალოს[98] (ნახ. 58). მესამე ქილას ბრტყელ შვერილებთან ერთად მხრებზე დაძერწილი აქვს კოპები[99] (ნახ. 66), დანარჩენი სამი ჭურჭელიც განსხვავებულია სხვებისაგან. ორი მათ-

---

[75] სამარხი № 36 (583).
[76] სამარხი № 44 (654).
[77] სამარხი № 52 (679).
[78] ორმო სამარხები, №№ 29, 80, 228, 281.
[79] ნ. ოქროპირიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 195—196, ტაბ. $IV_{1,2}$.
[80] ნ. ოქროპირიძე. მუხრანის ველის არქ. ძეგლები ძვ. წ. XVII—VII ს.ს. მსკა IV, ტაბ. II_8.
[81] ნ. თუშიშვილი. დასახ. ნაშრ., ტაბ. XXV_{19}.
[82] სამარხები №№ 31 (550), 44 (648).
[83] სამარხები №№ 31 (550), 44 (648).
[84] სამარხი № 39 (616).
[85] სამარხები №№ 123, 124.
[86] სამარხები №№ 30, 47.
[87] ტ. ჩუბინიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 56—58, სურ. 5_{5527}, ტაბ. XIV_{518}.
[88] ნ. თუშიშვილი. დასახ. ნაშრ., ტაბ. XVI_{110}.
[89] Б. А. Куфтин. დასახ. ნაშრ., ტაბ. $XLVIII_6$.
[90] П. С. Хачатрян, დასახ. ნაშრ. ტაბ. 15_2, 16_7.
[91] სამარხები №№ 11 (494, 495, 507), 36 (580, 583).
[92] ორმო სამარხები №№ 26, 229, 180, 283.
[93] ნ. ოქროპირიძე. ნარეკვავის სამაროვანი..., ტაბ. V_{11}.
[94] ნ. ოქროპირიძე. მუხრანის ველის..., ტაბ. III_2.
[95] ნ. თუშიშვილი. დასახ. ნაშრ. სურ. № 15_{165}.
[96] П. С. Хачатрян. დასახ. ნაშრ. ტაბ $21_{2,4}$.
[97] სამარხები №№ 38 (590), 44 (645), 62 (703), 64 (715, 716).
[98] სამარხი № 38.
[99] სამარხი № 45.



ნახ. 80

განი მაღალია, აქვთ სფერული ფორმა და ვიწრო პირი[100] (ნახ. 73), მესამე კი უფრო დაბალია და აქვს ბიკონუსური მუცელი[101] (ნახ. 75). განხილულ ჭილებს თრელის სამაროვანზე ანალოგიები არ ეძებნებათ. მათი სახესხვაობები გვხვდე-

[100] სამარხი № 62 (703).
[101] სამარხი № 64 (715).

ბა ნავთლულის[102], სამთავროს[103], მადნისჭალის[104], არტიკის[105] სამაროვნებზე და ხოვლეგორის ნასახლარზე[106].

აღსანიშნავია ერთი დერგი (677), რომელსაც ყელზე აქვს ორი ზონარგასაყრელი ხვრელი და თან ახლავს სარქველის ფრაგმენტი. თრელის სამაროვანზე სარქველიანი ჭურჭელი სულ ორი ცალია აღმოჩენილი[107]. ორივე სარქველი ერთნაირი ფორმისაა (ნახ. 70). ანალოგიური ჭურჭელი აღმოჩენილია სამთავროში[108], და ჩარდახში[109]. მსგავსი სარქველები გვხვდება საბურთალოზე[110]. ისინი დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ხოვლეს სამაროვანზეც[111].

პირმოყრილი ჭურჭელი თრელის სამაროვანზე აღმოჩენილია 16 ცალი[112]. მათთვის დამახასიათებელია უყელო, შუისაკენ შეზნექილი ორი, სამი და ოთხი ამოღარული ზოლით შემკული პირი, სფერული, ძირისაკენ წაგრძელებული მუცელი ან რამდენადმე ბიკონუსური ტანი და ბრტყელი ან ქუსლამოღებული[113], ძირი.

ჭურჭელი უყურო[114] ან ორყურაა[115], მას მხარზე დაძერწილი აქვს უნაგრისებური ან ბრტყელი შვერილები, რომლებსაც ხშირად დაუყვება რელიეფური ზოლი. ერთ შემთხვევაში ჭურჭელზე მიძერწილია ვერძის თავის მსგავსი ორი წყვილი შვერილი[116].

მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია შიდა ქართლში (სამთავროს[117], კასპის[118], ჩარდახის[119], კარსნის[120], ღრმაღელეს[121] და ფლავისმანის[122] სამაროვნებზე), ქვემო ქართლში (მადნისჭალის[123], ბეშთაშენის[124], წოფის[125], ღრმახევისათვის[126] და ულიანოვკის[127] სამაროვნებზე), სომხეთში (რედკინ ლაგერის[128],

---

[102] ნ. ჭორიძე. დასახ. ნაშრ. ტაბ. XXV_1.

[103] ორმო სამარხები №№ 88, 123, 125, 191, 285.

[104] ნ. თუშიშვილი. დასახ. ნაშრ. ტაბ. XXIX, 48, 64.

[105] П. С. Хачатрян. დასახ. ნაშრ. ტაბ. $II_{2,6}$.

[106] დ. მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრ., ფენა VII.

[107] სამარხი № 52 (677, 679).

[108] ორმო სამარხი № 344.

[109] ნ. ოქროპირიძე. მუხრანის ველის... ტაბ. II_5

[110] დ. ჭორიძე. დასახ. ნაშრ., ტაბ. III_9.

[111] დ. მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი.

[112] სამარხები №№ 11 (508), 12 (514), 14 (531), 28, 34 (561), 35 (568), 52 (681), 75, 80, 86, 89, 95, 96, 103 (2 ცალი), 118.

[113] სამარხები №№ 52 (681), 89, 96, 103 (2 ცალი).

[114] სამარხები №№ 14 (531), 96, 103 (2 ცალი)

[115] სამარხები №№ 11 (508), 12 (514), 28, 52 (681), 75, 80, 86, 89, 95, 118

[116] სამარხი № 96.

[117] ორმო სამარხები №№ 10, 13, 16, 20, 39, 153 (3 ცალი), 161, 232, 247, 268.

[118] მ. ბარამიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 41, ტაბ. III.

[119] ნ. ოქროპირიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 17. ტაბ. III_6.

[120] მცხეთა I თბ., 1955, ტაბ. $CXIX_7$.

[121] დ. ჭორიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 84, 94, ტაბ. $XVII_2$.

[122] ს. მაკალათია. ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი, სსმმ, ტ. V, თბ., 1930, გვ. 234, სურ. $17_{1,4}$.

[123] ნ. თუშიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 37, 47, ტაბ. XXVIII.

[124] Б. А. Куфтин. დასახ. ნაშრ. გვ. 337, ტაბ. LI.

[125] რ. აბრამიშვილი. დასახ. ნაშრ.

[126] Р. М. Абрамишвили. К. К. Кахиани, Д. И. Гоциридзе. Грмахевиставские селища и могильники, полевые археологические исследования в 1974 г, თბ., 1976, გვ. 22, ტაბ. XVI_4.

[127] რ. აბრამიშვილი. არქეოლოგიური გათხრები კახეთში, გვ. 13, 30, 32, ტაბ. XX.

[128] В. Вырубов. Предметы древности в хранилище общества любителей кавказской археологии. თბ., 1877.

მაკარაშენის, სანაინის[129], მეწამორის[130], ხურჯინ-ხოგერის, აიგრანი-ტალისა და ემშკუტის[131] სამაროვნებზე), აზერბაიჯანში (ნორა-გიუხის[132], მინგეჩაურის[133], ქედაბეკის[134], ბაიანისა[35] და კუშჩის[136] სამაროვნებზე) და ირანის აზერბაიჯანში (ნასახლარ გეო-თეფეს A ფენაში[137]).

თრელის სამაროვანზე პირმოყრილი ჭურჭელი აღმოჩენილია ძვ. წ. XIII—XII სს-ის სამარხებში. გამონაკლისს წარმოადგენს № 28 სამარხი, რომელიც ძვ. წ. XI საუკუნით თარიღდება.

პირმოყრილი ჭურჭელი დამახასიათებელია ე. წ. ცენტრალური ამიერკავკასიური კულტურისათვის და თარიღდება ძვ. წ. XIV—XII საუკუნეებით.

ქ ო თ ნ ე ბ ი და ქ ვ ა ბ ქ ო თ ნ ე ბ ი. უ ყ უ რ ო ქ ო თ ნ ე ბ ი. თრელის სამაროვანზე ძვ. წ. XIII—XII სს. სამარხებში უყურო ქოთანი 20 ცალია აღმოჩენილი[138]. ყველა მათგანი დამზადებულია მსხვილმინარევებიანი მჭისე თიხისაგან. უმეტესობას აქვს მოშავო-მონაცრისფრო კეცი და ასეთივე ფერის ხაოიანი ზედა და შიდაპირი. გვხვდება მოყავისფრო ჭურჭელიც. უმრავლესობას მუცლის ქვედა ნაწილი და ძირი ცეცხლზე ხმარებისაგან შებოლილი აქვს. მათთვის დამახასიათებელია ოდნავ გადაშლილი ბაკოიანი პირი, ღარისებური დაბალი ყელი, სფეროსებური ოდნავ წაგრძელებული ტანი და ბრტყელი ძირი. ერთი ჭურჭელი ჭუსლიანია[139]. ყველა ქოთანს ყელს ქვემოთ და ძირის კიდეზე შემოუყვება ფრჩხილისეული ჰდეების თითო მწკრივი. ორი ჭურჭელი ასეთი ჰდეებით ორნამენტირებულია მუცელზეც[140] (ნახ. 56), ქოთნების უმრავლესობას კორპუსი და ძირი დაფარული აქვს ჩარხის საშუალებით დატანილი სპირალური ღარებით[141]. ზოგიერთ მათგანს ამდაგვარი ღარები აქვს მხოლოდ ტანზე[142].

თრელის სამაროვანზე მსგავსი ქოთნები გვხვდება შუაბრინჯაოს ხანის ბოლოდან ძვ. წ. XII საუკუნის ჩათვლით. აღნიშნული დროის განმავლობაში ისინი განიცდიან გარკვეულ ცვლილებას. ადრეული ხანის ჭურჭელი შემკულია არა მარტო ფრჩხილისეული სახეებით, არამედ ტალღისებური ღარებითაც[143] (ნახ. 23 № 426. ნახ. 33 № 443.), ხოლო გვიანი ხანის ქოთნებისათვის დამახასიათებელია მხოლოდ ფრჩხილისეული ორნამენტი. განსხვავება შეიმჩნევა ფორმაშიც. ადრეული ხანის ჭურჭელი ხასიათდება შედარებით ფართე პირით,

---

[129] А. А. Мартиросян. Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1964, с. 140, рис. 58, 79.

[130] Мецамор, Ереван. 1973, табл. $XXXV_1$, $XXVII_1$.

[131] С. А. Есаян. Древняя культура племен Севера-Восточной Армении, Ереван, 1976, с. 112, 114, 195, табл. 91, 92, 134.

[132] К. Х. Кушнарева. Археологические работы 1954 г. в окрестностях села Ходжалы, МИА № 67, с. 380, рис. 11.

[133] Древний Мингечаур, Баку, 1959, табл. XXIX.

[134] А. А. Ивановский. По Закавказью, МАК, табл. X, XII_{13}.

[135] ИАК, Вып. 12, 1904. С. 48, рис. 9.

[136] Я. И. Гуммель. Археологические очерки..., გვ. 136, №№ 75, 88.

[137] T. Burton Brown, Excavation in Azarbaijan, 1948, London, 1951 გვ., 267, ნახ. 39, ჭურჭელი 23.

[138] სამარხები №№ 10 (473), 11 (502) 12 (524), 24, 31 (549), 34 (562), 36 (581, 582), 41, (633), 51, 52 (682), 61 (698), 88, 89, 94, 103, 104, 116, 126.

[139] სამარხი № 89.

[140] სამარხები №№ 36 (582), 41 (633).

[141] სამარხები №№ 36 (581, 582), 41 (633), 52 (682), 88, 89, 103.

[142] სამარხები №№ 11 (502), 126.

[143] სამარხები №№ 53, 115, 42.

დაბალი ყელითა და გაფართოებული ზედა ნაწილით, გვიანი ხანის ჭურჭელი კი — შედარებით ვიწრო პირითა და სფეროსებური ტანით.

აღსანიშნავია, რომ ერთი ამ ტიპის ქოთანი აღმოჩენილია VIII—VII სს-ით დათარიღებულ № 24 სამარხში. ადრეულებისაგან განსხვავებით მას ძირი დაღარული აქვს პარალელური ხაზებით.

ანალოგიური ჭურჭელი სამთავროს სამაროვანზე გვხვდება გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპიდან[144]. აღნიშნული ტიპის ქოთნები აღმოჩენილია ნავთლულისა[145] და ჩარდახის[146] გვიანი ბრინჯაოს ხანის სამარხებში. ამას გარდა, 23 ქოთანი აღმოჩენილია კახეთში, გულგულას სამაროვანზე, რომელიც თარიღდება გვიანბრინჯაოს ხანით[147]. კ. ფიცხელაურის ცნობით ანალოგიური ჭურჭელი აღმოჩენილია: თელავის, იყალთოს, თოღლაურის, ბაკურციხის, მაღაროს, საგარეჯოს, თლის, ძეგამის, ბაიბურთის მიდამოებში[148]. მსგავსი ქოთნების სახესხვაობა გვხვდება სომხეთის ტერიტორიაზე[149].

ამრიგად, აღნიშნული ტიპის ჭურჭელი ძირითადად გავრცელებულია ქართლისა და კახეთის ტერიტორიაზე. ქართლში ისინი გვხვდება XIV—XII ს. ს., ხოლო კახეთში კი მოგვიანო ხანაშიცაა გავრცელებული.

ყ უ რ ი ა ნ ი ქ ო თ ა ნ ი თრელის სამაროვანზე აღმოჩდა 33 ცალი[150]. ყველა მათგანი დამზადებულია მსხვილმინარევებიანი მქისე თიხისაგან. აქვთ ლეგა-მონაცრისფრო კეცი და ასეთივე ფერის ხაოიანი ზედაპირი და შიდაპირი. გვხვდება რუხი ფერის ჭურჭელიც. ქოთნების უმეტესობას ძირი შებოლილი აქვს[151]. ამ ტიპის ჭურჭლისათვის დამახასიათებელია გადაშლილი ბაკოიანი პირი (ზოგიერთი მათგანი სწორპირიანია[152]), ღარისებური დაბალი ყელი, სფეროსებური, ოდნავ წაგრძელებული ტანი და ბრტყელი ძირი (სამი ჭურჭელი ჭუსლიანია[153]). მხარზე და მუცელზე დაძერწილი აქვთ თითო ზოომორფული ყური, გამონაკლისია სამი სადაყურიანი ჭურჭელი[154] (ნახ. 66). ამ ჯგუფში გაერთიანებული ქოთნებისათვის დამახასიათებელია ყელს ქვემოთ და ძირის კიდეზე ფრჩხილისეული ორნამენტით შემკობა. ერთ მათგანს კი ასეთი ორნამენტი მუცელზეც შემოსდევს[155]. ზოგიერთ ჭურჭელს ტანი დაფარული აქვს ძირიდან მომდინარე სპირალისებური ღარებით[156], რომელიც დატანილია ჩარხის საშუალებით. რამდენიმე ქოთანს ღარები უფრო მკვეთრად ეტყობა[157], ზოგი-

---

[144] ორმოსამარხები №№ 10, 12, 13, 19, 70, 75, 174, 183, 288.

[145] დ. ქ ო რ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი. ნაწილი I, გვ. 191.

[146] ნ. ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე. დასახ. ნაშრ. გვ. 15, ტაბ. III_4.

[147] კ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 141—143, სურ. № 2, 3.

[148] კ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 142.

[149] მეწამორი. ნახ. №№ 65, $76_{1,2,3}$.

[150] სამარხები №№ 9 (460), 12 (523), 14 (549), 16, 24, 28, 30, 39, (615) 44 (655), 45 (668), 47, 48, 49, 64 (7 7) 65 (2ც), 73, 77, 79, 89, 90, 92, 96, 99, 100, 101, 107 (2 ცალი), 123 (2 ცალი), 124 (2 ცალი).

[151] სამარხები №№ 9 (460), 12 (523), 14 (549), 16, 24, 28, 30, 39 (615) 45 (655), 49, 73, 99, 101, 123.

[152] სამარხები №№ 49, 85, 96.

[153] სამარხები №№ 30, 45 (668), 91.

[154] სამარხები №№ 16, 30, 45 (668).

[155] სამარხი № 45 (668).

[156] სამარხები №№ 28, 47, 48, 65, 73, 123.

[157] სამარხები №№ 45 (668), 96, 99.

ერთ მათგანს მარტო ტანი აქვს დაღარული[158], დანარჩენი ჭურჭელი კი სადა ზედაპირიანია[159].

ცალკე უნდა გამოვყოთ ოთხი ქოთანი — სამი მათგანი ხასიათდება წაგრძელებული კორპუსით[160] (ნახ. 60), ხოლო მეოთხეს სხვა ქოთნებისაგან განსხვავებით აქვს ცილინდრული, შედარებით მაღალი ყელი, მუცელზე კი — ფრჩხილისებული ჰდეების ოთხი მწკრივი[161].

თრელის სამაროვანზე ზემოაღნიშნული ტიპის ქოთნები ქრონოლოგიურად გავრცელებულია ძვ. წ. XIII—VI სს. და ამ ხნის განმავლობაში თითქმის არ განიცდის ცვლილებას. გამონაკლისს წარმოადგენს ის ქოთნები, რომელთა ტანი დაფარულია სპირალური ღარებით. ამგვარი ქოთნები თრელის სამაროვანზე გავრცელებულია მხოლოდ ძვ. წ. XIII—XII სს.

ანალოგიური ყურიანი ქოთნები აღმოჩენილია სამთავროში[162], ხოვლეში[163], და მადნისჭალის სამაროვანზე[164]. ზემოაღნიშნულ ძეგლებზე, თრელის სამაროვნისაგან განსხვავებით, ყურიანი ქოთნები გვხვდება ძვ. წ. XIV საუკუნიდან. სამთავროს სამაროვანზე ისინი გავრცელებულია ძვ. წ. XIV—VI სს-ში. მსგავსი ქოთნები აღმოჩენილია აგრეთვე საბურთალოსა და დიდუბის VIII—VI საუკუნის სამარხებში[165].

ამრიგად, აღნიშნული ქოთნები თარიღდება ძვ. წ. XIV—VI სს. და ტერიტორიულად გავრცელებულია მხოლოდ ქართლში. კახეთიდან მსგავსი ჭურჭელი ჩვენთვის არ არის ცნობილი.

ბ ი კ ო ნ უ ს უ რ ი ფ ო რ მ ი ს ქ ვ ა ბ ქ ო თ ნ ე ბ ი თრელის სამაროვანზე აღმოჩენილია 12 ცალი[166]. მათთვის დამახასიათებელია ოდნავ გადაშლილი ბაკომომრგვალებული პირი და წიბოიანი ტანი. ჭურჭლის უმეტესობას წიბო შუა ნაწილში აქვს[167], ხოლო ნაწილს კი — რამდენადმე ზემოთ[168]. ზოგიერთი ჭურჭლის ზედა ნაწილი გოფრირებულია[169].

თრელის სამაროვანზე ბიკონუსური ფორმის ქვაბქოთნებთან ერთად აღმოჩენილია ასეთივე ფორმის მცირე ზომის ჭურჭელი — კოჭობები.

ზემოთ განხილული ფორმის ქვაბქოთნები თრელის სამაროვანზე აღმოჩენილია შუაბრინჯაოს ხანის მიწურულისა[170] და ძვ. წ. XIII[171]—VII[172] საუკუნეების სამარხებში.

---

158 სამარხები №№ 9 (460), 12 (523), 24, 65.
159 სამარხები №№ 14 (549), 16, 39 (615), 47, 49, 64, 79, 90, 100, 101, 102, 107 (2 ცალი).
160 სამარხები №№ 39 (615), 48, 73.
161 სამარხი № 30.
162 ორმოსამარხები №№ 21, 44, 56, 65, 73, 131, 180.
163 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, IV ფენა.
164 ნ. თ უ შ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ. ტაბ. $XXVII_{68}$.
165 დ. ქ ო რ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., ნაწილი II, ნახ. 10_3, 12, ტაბ. IV_6.
166 სამარხები №№ 24, 41 (635), 47, 53 (428), 77, 89, 101, 109, 118, 121, 123, 126.
167 სამარხები №№ 41 (635), 53, 77, 109, 123.
168 სამარხები №№ 24, 53 (428), 101, 121.
169 სამარხები, №№ 47, 118.
170 სამარხი № 53 (428).
171 სამარხები №№ 41, 89, 121, 126.
172 სამარხი № 24.

მსგავსი ბიკონუსური ფორმის ქვაბქოთნები აღმოჩენილია როგორც აღმოსავლეთ საქართველოში (სამთავროს[173], კასპის[174], არმაზის[175], მადნისჭალის[176], ბეშთაშენისა[177] და ღრმახევისათვის[178] სამაროვნებზე, ნაცარგორასა[179] და ხოკლეგორაზე[180]), ასევე სომხეთსა (ხურჯინ-ხოგერის, გამშკუტის, აიგრანი-ტალას, რედკინლაგერის, შამახინის, დარანძის, კრაპატში-იალის[181], ევქლუსა[182] და ართიკის[183] სამაროვნებზე) და აზერბაიჯანში (ხანლარის, კუშის[184] სამაროვნებზე და ბორცვ სარითეფეზე[185]).

ზემოთ განხილულ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ბიკონუსური ფორმის ქვაბქოთნები გავრცელებულია ცენტრალურ ამიერკავკასიაში შუაბრინჯაოს ხანის მიწურულიდან რკინის ფართო ათვისების ხანის ჩათვლით (ძვ. წ. XVI—VI სს.).

კ ო ჭ ო ბ ე ბ ი თრელის სამაროვანზე აღმოჩენილია სულ 33 ცალი[186]. მასში შეიძლება გამოიყოს სამი ჯგუფი: ქვაბქოთნისებური[187], ვიწროყელიანი — ბიკონუსური[188] და სფერულმუცლიანი[189] კოჭობები.

ქვაბქოთნისებური ფორმის პირფართო კოჭობები იმეორებენ ბიკონუსური ქვაბქოთნებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, გავრცელებულია იმავე ტერიტორიაზე და თარიღდება ძვ. წ. XIII—VII საუკუნეებით.

ბიკონუსური ფორმის კოჭობებს აქვთ ვიწრო ყელი და ბაკომომრგვალებული პირი. ნაწილი კოჭობებისა ზედა ნაწილში წაგრძელებულია[190], ნაწილს კი წიბო შუაში აქვს[191]. ასეთი ფორმის კოჭობები აღმოჩენილია სამთავროსა[192] და ნარეკვავის[193] სამაროვნებზე და ყათნალიხევის გორაზე[194].

თრელის სამაროვანზე ამდაგვარი კოჭობები თარიღდება ძვ. წ. XIII—IX საუკუნეებით.

---

[173] სამარხები №№ 3, 11, 13, 137, 144, 152, 206, 246, 247 და სხვა.

[174] მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., ტაბ. 11.

[175] მცხეთა I, თბ, 1955, ტაბ.: $XVIII_1$ XIX_{10}.

[176] ნ. თ უ შ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., ტაბ. $XXVI_{195}$.

[177] Б. А. Куфтин. დასახ. ნაშრ., ტაბ. XLVIII.

[178] Р. М. Абрамишвили, К. К. Кахиани. Д. М. Гоциридзе. Грмахевиставские селища и могильники. Полевые археологические исследования в 1975 г. Тб. 1976, с. 22.

[179] გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი. სტალინირის ნაცარგორა, მიმომხილველი II, თბ., 1951, ტაბ. V_7.

[180] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ. (ხელნაწერი).

[181] С. А. Есаян. დასახ. ნაშრ. ტაბ. 92, 96, 105, 111, 114, 118, 135.

[182] А. А. Мартиросян. დასახ. ნაშრ. ნახ. 59.

[183] Т. Хачатрян და სახ. ნაშრ. ტაბ. 215.

[184] Я. И. Гуммель. დასახ. ნაშრ. გვ. 41, 136.

[185] И. Нариманов. Дж. Халилов. Археологические раскопки на холме Саритепе. Материальная культура Азербайджана, IV, Баку, 1962. с. 62, Табл. XV_2.

[186] სამარხები №№ 7 (ორი ცალი), 12 (515), 14 (536), 20, 34 (563), 38 (598, 599), 39 (618, 619), 41 (635), 47, 57, 59, (695), 64 (721, 722), 72, 75, 78, 79, 85 (ორი ცალი), 86, 90, 98, 100, 106 (ორი ცალი), 116, 118, 119, 124, 128.

[187] სამარხები №№ 20, 39 (2 ცალი), 41, 64, 72, 78.

[188] სამარხები №№ 12, 14, 75, 79, 86, 98, 106, 116, 119.

[189] სამარხები №№ 7, 47, 57, 64, 78, 85 (2 ცალი), 90, 100, 106, 118, 124, 128.

[190] სამარხები №№ 12, 14, 75, 79, 116, 119.

[191] სამარხები №№ 86, 98, 106.

[192] სამარხები №№ 156, 181, 206, 218, 221, 232, 302, 322 და სხვ.

[193] ნ. ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., ტაბ. IV_5.

[194] დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი. უფლისციხე, I, თბ., 1964, ტაბ. $XII_{1,5}$.

სფერულმუცლიან კოჭობებს აქვთ ბაკომომრგვალებული პირი და ოდნავ წაგრძელებული თანაბრად შევიწროებული მუცელი. ზოგიერთი კოჭობი მხრებგადგმულია.

ასეთი ფორმის კოჭობები გავრცელებულია ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე და თარიღდება ძვ. წ. XIV—VI საუკუნეებით.

ცილინდრული ფორმის ჰურჰელი თრელის სამაროვახზე სულ 3 ცალია აღმოჩენილი[195] (ნახ. 62, № 624, № 625. ნახ. 77_6). ჰურჰელს აქვს ფართო ძირი (ერთი მათგანი სამფეხაა[196]), ცილინდრული ტანი, შვეულგვერდიანი ლანგრის ფორმის პირი და ორი ყური.

ცილინდრული ფორმის ორი ჰურჰელი თარიღდება ძვ. წ. XIII—XII სს-ით[197], ერთი კი — ძვ. XI—X სს[198].

წელში გამოყვანილი ორყურა ჰურჰელი თრელის სამაროვანზე აღმოჩენილია სულ 3 ცალი[199]. მათ აქვთ ფართო ბრტყელი ძირი, წელში გამოყვანილი ტანი და ოდნავ გადაშლილი ან სწორი, ბაკომომრგვალებული პირი, რომელზედაც მიძერწილია ორი ოვალურგანივკვეთიანი მცირე ზომის ყური. პირს ქვემოთ ჰურჰელს შემოუყვება ერთი ან რამდენიმე ამოღარული ზოლი (ნახ. 73, № 706, ნახ. $77_{7,8}$).

მსგავსი ჰურჰელი აღმოჩენილია სამთავროს[200] და საბურთალოს [201] სამაროვნებზე და ყათლანახევის ნამოსახლარ გორაზე[202].

საქართველოში აღმოჩენილი ჩვენთვის საინტერესო ჰურჰელი ძვ. წ. XIV—IX საუკუნეებით თარიღდება.

ტოლჩები. ძირდაქანებული ტოლჩები თრელის სამაროვანზე სულ 27 ცალია[204] აღმოჩენილი[205]. აქედან 15 ძვ. წ. XIII—XII ს. ს. თარიღდება[206]. აღნიშნული ტიპის ტოლჩებისათვის დამახასიათებელია ოდნავ წელში გამოყვანილი, მკვეთრად ძირდაქანებული ტანი და ერთი ყური. მათი ზედაპირი და კეცი ძირითადად ლეგა-მოშავო ან ლეგა-მორუხოა. რამდენიმე ჰურჭლის კეცი კი მოწითალო ფერისაა[207]. ჩვეულებრივ ზედაპირი კარგად არის მოგლუვებული[208], ერთი ჰურჰელი კი მქისე თიხისაგანაა დამზადებული[209]. ხშირად მათ პირს ქვემოთ გარსშემოუყვება ერთი, ორი ან სამი ამოღარული ზოლი. გვხვდება ზოომორფულყურიანი[210] (რომლებსაც ყურის ზედა

---

[195] სამარხები №№ 30, 41 (624, 625).

[196] სამარხი № 41 (624).

[197] სამარხი № 41 (624, 625).

[198] სამარხი № 30.

[199] სამარხები №№ 62 (706), 75, 118.

[200] სამარხები №№ 44, 47, 84, 203.

[201] დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ. II ნაწ. გვ. 38, სურ. 10.

[202] დ. ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. XII_8.

[204] სამარხები №№ 9 (№ 458), 10 (№ 478, № 480), 11 (№ 497, 500), 12 (№ 518), 31 (№547, № 548), 34 (№ 560), 38 (№ 598), 44 (№ 649, № 650), 65, 75, 87, 88 (3 ცალი), 99, 117, 126 (4 ცალი).

[205] ამ ჯგუფში შეგვყავს მცირე ზომის ის სასმისები, რომელთაც ანალოგიური ფორმა აქვს. სამარხები №№ 11 (№№ 498—500), 44 (№ 650), 76, 99, 126 (2 ც.).

[206] სამარხები № 9, 10, 11, 12, 31, 34, 38, 44, 65, 75, 87, 88, 99, 117, 126.

[207] სამარხები № 34 (560), 88, 117, 126.

[208] სამარხები №№ 9 (№ 458), 11 (№№ 497—500), 44 (№№ 649, 650), 65, 75, 76, 126 (3 ცალი).

[209] სამარხი № 88.

[210] სამარხები №№ 11 (498, 499), 65, 75, 88 (2 ც.), 96, 103, 126 (3 ცალი).

ნაწილზე დაძერწილი აქვთ უნაგირის ფორმის ლილვაკი) და ტანგოფრირებული[211] ტოლჩები (ნახ. 52, 64). ზემოაღნიშნული სახის ჰურჭლისაგან რამდენადმე განსხვავდება № 547 მოზრდილი ტოლჩა, რომელიც პირს ქვევით სამი კონცენტრული ღარით, ხოლო ტანზე კი გაპრიალების ტექნიკით დატანილი ზოლებითაა შემკული. ცალკე დგას აგრეთვე № 41 სამარხის სასმისი, რომელსაც ფინჯნის ფორმა აქვს (ნახ. 62, № 636) ჩვენთვის საინტერესო ტოლჩებთან ფორმით ახლოს დგას № 12 სამარხის №№ 515 და 519 სასმისები, რომლებსაც ტოლჩებისაგან განსხვავებით ყური არა აქვთ. აღნიშნული სახის ტოლჩები და სასმისები გვხვდება სამთავროს სამაროვანზე როგორც XIV ს-ის[212], ისე XIII—XII სს.-ის[213] სამარხებში. მათგან ერთი ნაწილი ტანგოფრირებულია[214], მეორე კი სადაა. მსგავსი ფორმის ტანგოფრირებული ტოლჩები გვაქვს ნარეკვავისა[215] და ნავთლუღის[216] სამაროვნებზე. ამ ტოლჩებთან თავისი ფორმით ახლოს დგას წინწყაროს[217], წოფის[218], გულგულასა[219] და თეთრიწყლების[220] სამაროვნებზე აღმოჩენილი ტოლჩები. მათ, შიდაქართლური ტოლჩებისაგან განსხვავებით, ყური უშუალოდ პირიდან ეწყებათ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წინწყაროს, წოფისა და თეთრიწყლების ტოლჩები უფრო მოგვიანო პერიოდს (რკინის ფართო ათვისების ხანას) მიეკუთვნება.

ფ ი ნ ჯ ნ ი ს ფ ო რ მ ი ს ტ ო ლ ჩ ე ბ ი თრელის სამაროვანზე 24 ცალია მოპოვებული[221], მათ შორის რვა ძვ. XVIII ს—XII სს. I ნახ-ით დათარიღებულ სამარხებშია აღმოჩენილი[222]. მათთვის დამახასიათებელია ფინჯნის ფორმის, პირიდან ძირისაკენ ოდნავ შევიწროებული ტანი თითო ზოომორფული ყურით (გამონაკლისია № № 46 და 47 სამარხთა ტოლჩები, რომელთაც სადა ყურები აქვთ). მათი ზედაპირი და კეცი ძირითადად ლეგა-მონაცრისფრო ან მოყავისფრო-მოჩალისფროა. ჰურჭლის უმეტესობა მქისე თიხისაგანაა დამზადებული. გამონაკლისს წარმოადგენს № 46 სამარხის მოგლუვებულ ზედაპირიანი ჰურჭელი.

ზემოაღნიშნული ტოლჩების ერთი ნაწილი უმრავლესობისაგან რამდენადმე განსხვავებული ფორმისაა. მაგალითად № 577 ჰურჭელს ცილინდრისებური, ძირისაკენ ოდნავ შევიწროებული ტანი (ნახ. 56), ხოლო № 662 ტოლჩას კასრისებური ტანი და ბაკოიანი პირი აქვს (ნახ. 66). მასთან ახლოს დგას წინწყაროს სამაროვნის № 35 სამარხის ტოლჩა[223]. ცალკე დგას № 123 სამარხის სას-

---

[211] სამარხები №№ 44 (№ 649), 65, 76, 88 (3 ცალი), 117.

[212] ორმოსამარხები №№ 54, 64, 113, 128, 232 (იხ. ტ. ჩუბინიშვილი. მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები თბ., 1957, ტაბ. XV, 263, 268 (2 ცალი).

[213] ორმოსამარხები №№ 7, 29 (2 ცალი), 44 (2 ცალი), 96, 206[1], 344.

[214] ორმოსამარხები №№ 7, 44, 54, 96, 268, 344.

[215] ნ. ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე ნარეკვავის სამაროვანი თბ., 1963. ტაბ. VI.

[216] დ. ქ ო რ ი ძ ე. დასახ. ნაშრ. 1 ნაწ. XXX[13], XXXI[19].

[217] Б. А. К у ф т и н. დასახ. ნაშრ. ტაბ. XXIX, გვ. 293.

[218] რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. წოფის სამაროვანი, (ხელნაწერი)

[219] გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და მადლობა გადავუხადოთ კ. ფიცხელაურსა და შ. ნუცუბიძეს, რომლებმაც შესაძლებლობა მოგვცეს გვესარგებლა გულგულას სამაროვნის მასალით.

[220] К. Н. П и ц х е л а у р и. Итоги исследования памятников эпохи поздней бронзы и раннего железа. Могильник «Тетрицклеби», табл. XI, XII.

[221] სამარხები №№ 36 (№ 577), 45 (№ 662), 46 (2 ცალი), 47 (2 ცალი) 50 (№ 674). 58, 59 (№ 691), 71, 73, (2 ცალი), 77, 80, 87, 90, 92, 97, 105, 106, 109, 123.

[222] სამარხები №№ 36, 50, 59, 80, 87, 95, 105, 123.

[223] მ. მ ე ნ ა ბ დ ე. წინწყაროს სამაროვნის მასალები, თრიალეთის სამაროვნები, კატალოგი 1, თბ., 1968, გვ. 62., ტაბ. IV[118].

მისი, რომელიც ღრუქუსლიანია და ყელსა და ყურს შორის დაძერწილი ბრტყელი შვერილი აქვს. ამ ჭურჭლის მსგავსი ფორმისაა სამთავროს № 281 სამარხში და აღაიანში აღმოჩენილი ფეხიანი სასმისები[224].

ჩვენთვის საინტერესო ფორმის ტოლჩები ძირითადად გვხვდება შიდა ქართლში (დიდუბის[225], სამთავროს[226], ნარეკვავის[227], ოჟორის[228], რენეს[229] სამაროვნები და ხოვლეგორის[230] ნასახლარი).

იმვიათი გამონაკლისის სახით გვხვდება ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიაზეც (რეტკინ-ლაგერის სამაროვანი)[231].

ქრონოლოგიური თვალსაზრისით აღნიშნული ტოლჩების გავრცელების არეალი მოიცავს მთელ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას ძვ. წ. XIV[232] ს-დან ძვ. წ. VI ს-ის[233] ჩათვლით.

ცილინდრული ფორმის ტოლჩები თრელის სამაროვანზე ძვ. წ. XIII—XII ს-ის სამარხებში 14 ცალია აღმოჩენილი[234]. ყველა მათგანს ცილინდრული ფორმის, ზედა ნაწილში ოდნავ გადაშლილი ტანი და თითო ზოომორფული ყური აქვს (გამონაკლისია №№ 75 და 118 სამარხთა სადა, ოვალურგანივკვეთიანი ყურის მქონე ტოლჩები). მათი ზედაპირი და კეცი ძირითადად ლეგა-მონაცრისფრო ან მოშავო ფერისაა. ერთ ნაწილს ზედაპირი კარგად მოგლუვებული აქვს[235], ნაწილი კი მქისე თიხისაგანაა დამზადებული[236]. ყველა მათგანს პირთან თითო ამოღარული ზოლი შემოუყვება. გამონაკლისია № 718 ჭურჭელი, რომლის ზოლი რელიეფურია (ნახ. 75).

თრელის სამაროვნის ზემოაღნიშნული ტოლჩები ძვ. წ. XIII—XII ს. ს-ით თარიღდება. ანალოგიური სახის ტოლჩები გვხვდება შიდა ქართლში (ნავთდუღის[237], სამთავროსა და არმაზისხევის[238] სამაროვნებზე, ნაცარგორაზე[239], ცხინვალში, აგურის ქარხნის ტერიტორიაზე[240]) და იშვიათ შემთხვევაში

---

[224] მ. ბარამიძე. შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, მსკა ტ. VI, გვ. 127, ტაბ. 13.

[225] დ. ქორიძე. დასახ. ნაშრ. II ნაწ., 1958, ტაბ. IV_1, 9.

[226] სამთავროს №№ 19, 32 (XIV ს.), №№ 39, 56 (2 ცალი), 275 (XIII ს-ის II ნახ.), №№ 164, 279 (XI ს.), №№ 19, 51, 81, 95, 114, 151, 211, 222, 281, 284, 311 (X-IX სს.) №№ 315 (2 ცალი), 41, 147, 225 (2 ცალი), 307, 317 (2 ცალი) (VIII—VII სს.), №№ 137, 273 (VII—VI სს.).

[227] ნ. ოჭროპირიძე. დასახ. ნაშრ. ტაბ. III_1, V_4.

[228] ო. ჯაფარიძე. არქეოლოგიური გათხრები ოჟორაში. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 65, 1957.

[229] Ш. Иремашвили. Могильник позднебронзовой эпохи из с. Рене, полевые археологические исследования в 1974 году, с. 33, т. XXVII.

[230] დ. მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრ. № 1958, № 1966.

[231] А. А. Мартиросян. დასახ. ნაშრ. გვ. 200, სურ. 78_{15}.

[232] სამთავროს №№ 19, 32 ორმოსამარხები.

[233] სამთავროს №№ 137, 273 ორმოსამარხები.

[234] სამარხები №№ 10 (№№ 471, 472), 11 (№496), 14 № (532), 31 (№ 546), 38 (№ 593), 62 (№ 705), 64 (№ 718), 65, 75, 96, 103, 116, 118.

[235] სამარხები №№ 10, 11, 14, 75.

[236] სამარხები №№ 62, 65, 96, 116.

[237] დ. ქორიძე. დასახ. ნაშრ. I ნაწ., ტაბ. XXX_4.

[238] ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე., ვ. ლომთათიძე. დასახ. ნაშრ. ტაბ. $CXIX_{10}$.

[239] გ. გობეჯიშვილი. სტალინირის ნაცარგორა, მიმომხილველი, ტ. II, თბ., 1951, ტაბ. X_4 გვ. 239; Б. В. Техов. დასახ. ნაშრ. გვ. 81, სურ. 35.

[240] Б. А. Куфтин. დასახ. ნაშრ. ტაბ. XLVIII, გვ. 331.

შიდა ქართლის მომიჯნავე ქვემო ქართლის (ბეშთაშენის სამაროვანი[241]) ტერიტორიაზე.

აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის საინტერესო ტოლჩები ქრონოლოგიური თვალსაზრისით ძვ. წ. XIV ს[242]—XII ს.[243]. I ნახევრის ფარგლებში ექცევა.

ღრუჭუსლიანი ჭურჭელი თრელის სამაროვანზე სულ 28 ცალია აღმოჩენილი[244]. მათთვის დამახასიათებელია ლეგა-მონაცრისფრო და მორუხო-მონაცრისფრო კარგად მოგლუვებული ზედაპირი, დაბალი ყელი, მხრებიდან ძირისაკენ შევიწროებული მუცელი, გულამოღებული ჭუსლი (გამონაკლისია № 16 სამარხის ჭურჭელი, რომელსაც ყველა სასმისისაგან განსხვავებით ოდნავ შესამჩნევი ჭუსლი აქვს) და ერთი ყური. ერთ ნაწილს ყურზე დაძერწილი აქვს ირიბი ჭდეებით შემკული ლილვაკი[245]. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თრელის სამაროვანზე ასეთი ლილვაკები დამახასიათებელია მხოლოდ ამ ტიპის ჭურჭლისათვის. სხვა ტიპის ლილვაკებისაგან განსხვავებით, ისინი დაძერწილია ყურის დასაწყისში. გამონაკლისია № 663 ჭურჭელი, რომელსაც ყურზე ლილვაკის ნაცვლად კოპი აზის (ნახ. 66). ამ სახის ჭურჭლის დამახასიათებელი ორნამენტია ამოღარული გრძივი ზოლები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში მთელ ტანს სიმეტრიულად დაუყვება[246], ზოგჯერ კი კონებად არის განლაგებული[247]. ამდაგვარი ორნამენტი საერთოდ დამახასიათებელია სხვა ძეგლებზე აღმოჩენილი მსგავსი ფორმის ჭურჭლისთვისაც. მაგალითად სამთავროს[248], დოღლაურის[249] და სხვა. ერთ ჭურჭელზე ასეთი კონები გამოწვის შემდეგაა ამოკაწრული[250], № 79 სამარხის ჭურჭლის ზოლები კი რელიეფურია. ცალკე დგას № 16 სამარხის ჭურჭელი, რომელსაც ბიკონუსური ტანი აქვს. რამდენიმე ღრუჭუსლიანი ჭურჭლის ძირში ჩასმულია ობსიდიანი[251]. ანალოგიური ობსიდიანიანი ჭურჭელი აღმოჩენილია დმანისშიც[252].

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სხვა ტიპის ობსიდიანი თიხის ჭურჭელი თანადროულ ძეგლებში აღმოჩენილი არ არის. თრელის № 16 სამარხში გვაქვს

---

[241] სამთავროს №№ 10, 45, 73 ორმოსამარხები (ტ. ჩუბინიშვილი. მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1957, გვ. 33, 36, 37). R. Abramichvili. La nécropole de Samthavro et la chronologie des civilisations archéologiques du Bronze Récent et du début du Fer au Caucase. Actes du VIII Congrès International des Sciences Préhistoriques et protohistoriques, Beograd, 1973, p. 44—48.

[242] არმაზისხევის № 3 სამარხი, ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე, ვ. ლომთათიძე. დასახ. ნაშრ. ტაბ. $GXIX_{19}$.

[243] №№ 219 (2 ც.) 240 ორმოსამარხები (რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და ... გვ. 138, ვისივე — რკინის ათვისების საკითხისათვის ... გვ. 310 და შემდეგი), ბეშთაშენის № 11 სამარხი (Б. А. Куфтин. დასახ. ნაშრ. ტაბ. XLVIII. რ. აბრამიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 321 — 322. დ. ქორიძე. დასახ. ნაშრ. ტაბ. XXX_4).

[244] სამარხები №№ 11 (506), 12 (516, 517), 16 (5 ცალი), 28 (2 ცალი), 30, 38 (592), 39 (610, 611), 41 (629, 637), 45 (663), 49 (2 ცალი), 73, 79, 113 (სავარაუდოა რომ ამ ფორმის სასმისია, რადგან შემორჩენილია მხოლოდ ძირის ფრაგმენტები), 119, 121, 123, 124 (2 ცალი).

[245] სამარხი № 16 (2 ცალი), 41 (637), 119, 123 (2 ცალი).

[246] სამარხი № 16 (4 ცალი), 38 (592), 39 (610), 79.

[247] სამარხი № 41 (637), 49, 119.

[248] სამარხები №№ 51, 91, 225, 276.

[249] ო. ღამბაშიძე. გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლები სოფ. დოღლაურიდან. მსკა, ტ. VI 1974, გვ. 154, ტაბ. I_3.

[250] სამარხი № 123.

[251] სამარხები №№ 16 (3 ცალი), № 123.

[252] გ. ნიორაძე. დმანისის ნეკროპოლი და მისი ზოგიერთი თავისებურება. სსმმ, XIV-B, 1947.

ჩვენთვის საინტერესო ტიპის მოჭიქული ჭურჭელიც. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გვიანბრინჯაო-რკინის ხანის საქართველოს მოჭიქული ჭურჭელი ძირითადად ამ ფორმისაა.

ჩვენთვის საინტერესო სასმისებს კასპის სამაროვანზე აღმოჩენილი მასალების განხილვისას ეხება მ. ბარამიძე. იგი აღნიშნავს, რომ მათი გავრცელება, ძირითადად გვიანი ბრინჯაოდან რკინის ხანაზე გარდამავალ და რკინის ფართო ათვისების ეპოქების სამარხებში შეინიშნება. ამ ფორმის მოჭიქული ჭურჭელი მას ადგილობრივ ნაწარმად მიაჩნია. მ. ბარამიძე უშვებს იმ ვარაუდსაც, რომ მოჭიქული ჭურჭელი წინა აზიური ამ რიგის ნივთების მიბაძვით არის დამზადებული. მისი აზრით, ძნელი სათქმელია, მოჭიქული ჭურჭელი იმეორებს აქ გავრცელებული სასმისების ფორმას თუ ისინი თითქმის ერთდროულად არსებობენ[253].

აღნიშნული ფორმის სასმისებს მოჭიქულ ჭურჭლებთან დაკავშირებით ეხება კ. ფიცხელაური. მას მოჭიქული ჭურჭელი ადგილობრივ ნაწარმად არ ეჩაჩნია. კ. ფიცხელაურის აზრით მოჭიქული ჭურჭელი ფართოდაა გავრცელებული ასურეთში, ამიერკავკასიაში კი სულ თითო-ოროლაა. შემდეგ ის აღნიშნავს, რომ სამთავროს სამაროვანზე და საერთოდ შიდა ქართლში დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ზუსტად მოჭიქული ჭურჭლის ფორმის შავპრიალა სასმისები. მისი აზრით ამ ჭურჭელს შორის მსგავსება იმდენად დიდია, რომ მათი ურთიერთკავშირი სრულიად უდავოა. აღნიშნული ჭურჭლის მსგავსება კი კ. ფიცხელაურს აფიქრებინებს, რომ ამ ფორმის სასმისები დამზადებულია მოჭიქულების მიბაძვით, რის დამამტკიცებელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ფორმის შავპრიალა ჭურჭელი არ გვხვდება მოჭიქული ჭურჭლის შემცველ კომპლექსებზე უფრო ადრეულ ძეგლებში. სინამდვილეში კი თრელის სამაროვანზე გათხრილია არა ერთი სამარხი, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს მოჭიქული ჭურჭლის შემცველ კომპლექსებს და შეიცავს მათი ფორმის მსგავს სასმისებს. აღნიშნული სასმისები ძვ. წ. XIII ს. — XII საუკუნის I ნახევრით თარიღდება[254]. ჩვენთვის საინტერესო ჭურჭლის ადგილობრიობაზეც მიგვითითებს ის გარემოებაც, რომ ისინი დამახასიათებელია შიდა და ქვემო ქართლისათვის. აღნიშნული ფორმის ჭურჭელი აღმოჩენილია თრელის, სამთავროს[255], კასპის[256], ფლავისმანის[257], დვანის[258], დოღლაურის[259], დმანისის[260] და რეტკინ-ლაგერის[261] სამაროვნებზე. მსგავსი მოჭიქული თუ მოუჭიქავი ჭურჭელი არ გვხვდება არამც თუ წინა აზიაში და კერძოდ ასურეთში, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთ, ამიერკავკასიაშიც კი. გამონაკლისია ერევნის მუზეუმში დაცული, ლენინაკანში აღმოჩენილი ღრუჭუსლიანი შავად გამომწვარი სასმისი.

---

253 მ. ბარამიძე. კასპის სამაროვანი. მსკა, ტ. IV, თ. 1965, გვ. 38.

254 თრელის №№ 11, 12, 38, 39, 41, 45, 113, 121, 123 სამარხები.

255 ორმოსამარხები №№ 1, 4, 19, 44, 51, 85, 89, 91, 137, 186, 211, 222, 225, 236, 276, 281.

256 მ. ბარამიძე. დასახ. ნაშრ., იქვე.

257 ს. მაკალათია. ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი. სსმ, ტ. V, გვ. 233, ნახ. 15, 16.

258 ს. მაკალათია. დვანის ნეკროპოლის არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1948, გვ. 36.

259 ო. ღამბაშიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 154, ტ. 1_3.

260 გ. ნიორაძე. დასახ. ნაშრ. იქვე.

261 А. А. Мартиросян. დასახ. ნაშრ. გვ. 200, ნახ. 78_{11}.

ჩვენთვის საინტერესო ტიპის ჭურჭელი ქრონოლოგიური თვალსაზრისით ძვ. წ. XIII—VII საუკუნეების ფარგლებში ექცევა.

უ ყ უ რ ო ს ა ს მ ი ს ე ბ ი. თრელის სამაროვანზე აღნიშნული სახის ხუთი სასმისია[262], აღმოჩენილი (ნახ. 77,1—5), ორი მათგანი წელშია გამოყვანილი[263], ერთი — კონუსურია[264], ერთი — ცილინდრისებური[265] და ერთიც — კასრისებური[266].

წ ე ლ ში გ ა მ ო ყ ვ ა ნ ი ლ ი ს ა ს მ ი ს ე ბ ი ტანის ქვედა ნაწილში ვიწროა, ხოლო ზედა ნაწილში — მკვეთრად გადაშლილი, მათ პირს ქვემოთ შემოუყვება ორ-ორი ფართოდ ამოღარული ზოლი (ნახ. 77. 2,4).

აღნიშნული ფორმის მსგავსი სასმისები აღმოჩენილია: სამთავროს[267], კარსნის[268], ნავთლუღისა[269] და ბეშთაშენის[270] სამაროვნებზე. სამლოცველო „მელიღელე 1-ში“[271], თრელის საკულტო მოედანზე და ხოვლეგორაზე[272]. უნდა აღინიშნოს, რომ სამთავროში, ბეშთაშენსა და ხოვლეგორაზე აღმოჩენილი სასმისები შედარებით უფრო მოზრდილია და მდიდრულად ორნამენტირებული.

წელში გამოყვანილი სასმისები გავრცელებულია ძვ. წ. XIV—XII საუკუნეებში[273], იშვიათ შემთხვევაში გვხვდება ძვ. წ. XI—IX საუკუნეების კომპლექსებშიც[274].

კ ო ნ უ ს უ რ ი ფ ო რ მ ი ს ს ა ს მ ი ს ს აქვს ბრტყელი, ოდნავ გამოყვანილი ძირი. ჭურჭელი ძირიდან პირისაკენ თანდათან ფართოვდება და წაკვეთილი კონუსის ფორმისაა (ნახ. 77, 5). ამგვარი სასმისები გვხვდება კასპის[275], ნარეკვავის[276], სამთავროს[277], საბურთალოს[278] და მინგეჩაურის[279] სამაროვნებზე.

კონუსური ფორმის სასმისები აღმოჩენილია ძირითადად შიდა ქართლის ტერიტორიაზე და თარიღდება ძვ. წ. XIII—XII საუკუნეებით.

ც ი ლ ი ნ დ რ უ ლ ი ფ ო რ მ ი ს ს ა ს მ ი ს ი ზედა ნაწილში ოდხავ ფართოვდება, აქვს მცირედ გადაშლილი პირი (ნახ. 77, 3). სამარხი, რომელშიც აღნიშნული ჭურჭელია აღმოჩენილი ძვ. წ. XIII—XII საუკუნეებით თარიღდება. ანალოგიური ფორმის სასმისი ჩვენთვის ცნობილი არ არის.

---

262 სამარხები №№ 75, 96, 97, 103, 129.

263 სამარხები №№ 95, 97.

264 სამარხი № 103.

265 სამარხი № 75.

266 სამარხი № 129.

267 სამარხები №№ 19, 53, 56, 64, 153, 170, 331.

268 მცხეთა , 1, თბ., 1955, ტაბ. XIX_3.

269 დ. ქ ო რ ი ძ ე. დასახ. ნაშრ. 1 ნაწ., გვ. 162, სურ. 49. ტაბ. XXX_1, სურ. 11.

270 Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრ. ტაბ. LIII (სამარხ. №№ 19, 32, 37, 13).

271 კ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV—VII). თბ., 1973, ტაბ. XXVII.

272 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ.

273 სამთავრო, ორმოსამარხები №№ 19, 64, 170.

274 თრელი, სამარხი № 97.

275 მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე. დასახ. ნაშრ. გვ. 37, ტაბ. II_6.

276 ნ. ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე. დასახ. ნაშრ. ტაბ. IV.

277 სამარხი № 67, თიხის ჭურჭელი № 1742.

278 დ. ქ ო რ ი ძ ე. დასახ. ნაშრ. ტ. II, გვ. 27, სურ. 4_4 ტაბ. III_2.

279 Древний Мингечаур, Баку, 1959, табл. $XXVI_{2,3}$.

კასრისებური ფორმის სასმისი პირისა და ძირისაკენ ოდნავ შევიწროებულია. მას პირს ქვევით შემოუყვება ერთი ამოღარული ზოლი (ნახ. 77, 1). მსგავსი სასმისები აღმოჩენილია სამთავროს[280], საბურთალოსა[281] და ფლავისმანის[282] სამაროვნებზე.

აღნიშნული სასმისები გავრცელებულია შიდა ქართლში და თარიღდება ვეიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით.

სრულიად ცალკე დგას № 61 სამარხის № 701 ფართოპირიანი ჭურჭელი. იგი ძლიერ დაზიანებულია, შემორჩენილია მხოლოდ პირისა და მხრის ფრაგმენტები. აღნიშნული ჭურჭლის ზუსტი ანალოგია ჩვენთვის არ არის ცნობილი. (ნახ. 72).

მაღალყელიანი № 697 ჭურჭელი აღმოჩენილია № 61 სამარხში. მას აქვს შედარებით ფართო, გადაშლილი ბაკოიანი პირი, მაღალი ყელი და ოდნავ გამობერილი მუცელი. მხარზე გარშემოუყვება ერთი ტალღისებური და რამდენიმე კონცენტრული ღარი. ჭურჭელს ქვედა ნაწილი აკლია.

მსგავსი ჭურჭელი შიდა ქართლში თრელების გარდა, აღმოჩენილია სამთავროს №№ 139, 153, 160 და 163 ორმოსამარხებში[283]. ანალოგიური ჭურჭელი დამახასიათებელია კახეთის ტერიტორიისათვის. მათ ვხვდებით ნასადგომარის, ოლიებისა და სათვალის წყლების სამაროვნებზე და მელიღელე I სამლოცველოზე[284].

სამთავროში ამ ტიპის ჭურჭელი გვხვდება ძვ. წ. XIII—XII სს-ის სამარხებშიც. ასეთად მიგვაჩნია სამთავროს სამაროვნის სარდიონის ექვსწახნაგა მძივის, ბრინჯაოს სარტყლისა და საკიდების შემცველი № 160 სამარხი, ნასადგომარის № 1 და № 10 სამარხები და ოლიების და სათვალის წყლის სამაროვნები. ამავე ხანისაა ანალოგიური ჭურჭლის შემცველი არტიკის სამარხებიც[285]. დასაშვებია, რომ აღნიშნული ტიპის ჭურჭელი გვხვდება ძვ. წ. XIV საუკუნეშიც. შესაძლოა ასეთ ადრეულ კომპლექსს წარმოადგენდეს თრელის № 61 სამარხი.

იარაღი

ბრინჯაოს მთლიანადსხმული სატევარი თრელის სამაროვანზე აღმოჩენილია 3 ცალი[286] (ნახ. 60, 64). მათ შორის შედარებით ადრეული უნდა იყოს № 44 და № 65 სამარხთა სადატარიანი სატევრები. მათზე რამდენადმე გვიანია № 39 სამარხის სატევარი, რომლის ტარი რელიეფური წერტილებითაა ორნამენტირებული. ამგვარი ორნამენტი დამახასიათებელია შიდა ქართლის, მის მომიჯნავე ქვემო ქართლისა და კახეთის სატევარ-მახვილებისათვის (თრელი[287], სამთავრო[288], ნარეკვავი[289], ზემო ავჭალა[290], სამგორი[291],

ფერადი ტაბ. VI$_2$, 3

---

[280] სამარხები №№ 75, 280, 306.
[281] დ. ქორიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 36, სურ. 8$_3$.
[282] ს. მაკალათია. ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი. გვ. 235, სურ. 185.
[283] კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. ტაბ. LVIII$_2$; LIX, LX.
[284] კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. ტაბ. XXV, LXI, LXII$_1$, LIV, LXV$_2$.
[285] Т. С. Хачатрян. დასახ. ნაშრ. ტაბ. X.
[286] სამარხები №№ 39 (№ 620), 41 (№ 650), 65.
[287] თრელის №№ 28, 41 სამარხები.
[288] რ. აბრამიშვილი. დასახ. ნაშრომი.
[289] ნ. ოქროპირიძე. მუხრანის ველის არქეოლოგიური გათხრები, მსკა, IV, ტაბ. I$_2$.
[290] გ. ნიორაძე. ზემოავჭალის სამარე, გვ. 184, სურ. 24.
[291] დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმში. ინვენტარის № 11—46:1.

მარნეული[292]), იშვიათ შემთხვევაში გვხვდება სომხეთის ტერიტორიაზეც (ვორნაკი[293], ხაშტარაკი[294]). ჩვენთვის საინტერესო მთლიანადსხმული, სადატარიანი, დაბალქუდიანი სატევრები კი გავრცელებულია როგორც ქართლში, ასევე კახეთში[295] და მათი ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ. წ. XIII ს.—XII ს. I ნახ. არ უნდა სცილდებოდეს[296].

ბრინჯაოს ბოლომომრგვალებული მახვილი თრელის სამაროვანზე № 41 სამარხშია აღმოჩენილი (ნახ. 62). ამავე სამაროვანზე ანალოგიური მახვილები მოპოვებულია საქართველოს სამხედრო გზის ე. წ. დიღმის კვანძის მშენებლობასთან დაკავშირებულ მიწის სამუშაოების დროს[297]. ზემოაღნიშნულ მახვილებს სამთავროს სამაროვნის ბოლომომრგვალებული მახვილებისაგან განსხვავებით დაბალი ქუდი აქვს. ამ ნიშნითაც ეს მახვილები უფრო ბუნებრივად აკავშირებენ თავის წინამორბედ მთლიანადსხმულ სატევრებს ბოლოკვეთილ მახვილებთან. როგორც ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ისე ფორმით № 41 სამარხის მახვილი შუალედური რგოლია ბრინჯაოს მთლიანადსხმულ სატევრებსა და ბოლოკვეთილ მახვილებს შორის. თრელის სამაროვნის ბოლომომრგვალებული მახვილების საშუალებით კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება სამთავროს მასალაზე დაყრდნობით შემუშავებული ქართლის ბრინჯაოს სატევარ-მახვილების გენეტიკურ-ქრონოლოგიური ურთიერთობა. თრელის № 41 სამარხის კომპლექსი უფრო დამაჯერებელს ხდის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ბოლომომრგვალებული მახვილები ქრონოლოგიური თვალსაზრისით წინ უსწრებენ ბოლოკვეთილ მახვილებს[298]. № 41 სამარხში, ისევე, როგორც სამთავროს ბოლომომრგვალებული მახვილების შემცველი კომპლექსების უმეტესობაში, არ არის აღმოჩენილი რკინის ნივთი. ამ სამარხის ადრეულობაზე მიგვითითებს აგრეთვე მასში აღმოჩენილი ბრინჯაოს მთლიანადსხმული შუბისპირი მასრაზე ორი სალტით და სარდიონის კასრისებური მძივი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო № 41 სამარხი ჩვენ სამთავროს ბოლომომრგვალებული მახვილების სინქრონულად მიგვაჩნია და მათ მსგავსად ძვ. წ. XII საუკუნის მეორე ნახევრით ვათარიღებთ[299].

ბრინჯაოს შუბისპირები თრელის სამაროვნის ძვ. წ. XIII—XII საუკუნის სამარხებში 4 ცალია აღმოჩენილი[300]. მათ შორის № 621 მასრაგახსნილია, აქვს სამკუთხედისებური პირი, რომელსაც შუაში ქედი დაუყვება. აღნიშნული შუბისპირი გამოირჩევა თავისი სიგრძით (ნახ. 60). მისი ზუსტი ანალოგი ჩვენთვის ცნობილი არ არის. დანარჩენი სამი შუბისპირი მთლიანად-

---

[292] დაცულია საქ. სახ. მუზეუმში. ინვენტ. № 23—59:1.

[293] დაცულია ერმიტაჟში.

[294] А. А. Мартиросян. დასახ. ნაშრ., გვ. 130, სურ. 52.

[295] კ. ფიცხელაური. ბრინჯაოს კახური ტიპის სატევარი, მსკა ტ. II, გვ. 117, ცხრილი 5; მისივე, ორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა, გვ. 63, 74. მისივე. Локализация археологических культур на территории восточной Грузии. Труды Кахетинской экспедиции.

[296] რ. აბრამიშვილი. რკინის ფართო ათვისების საკითხისათვის... გვ. 318, 326.

[297] ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წინაფეოდალური ხანის საქართველოს მატერიალური კულტურის განყოფილებაში.

[298] რ. აბრამიშვილი. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის..., გვ. 135—136.

[299] რ. აბრამიშვილი. რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე... გვ. 328—330.

[300] №№ 39 (№ 621), 41 (№ 639), 44 (657), 60.

სხმულია, აქვთ ფოთლისებური მოყვანილობის პირი, ორი რელიეფურზოლიანი შეკრული მასრა, რომელიც წვერის ბოლომდე თანდათანობით ვიწროვდება და პირზე რელიეფურ ქედში გადადის (ნახ. 62, 64). ანალოგიური შუბისპირები გავრცელებულია მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ ძირითადად კახეთის ტერიტორიისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი[301]. მთლიანად სხმული ხელშუბისპირები და შუბისპირები მასრაზე ორი სალტით გავრცელებულია ძვ. წ. XIV[302]—IX[303] საუკუნეებში. თრელის სამაროვანზე კი აღნიშნული სახის იარაღი ძვ. წ. XIII საუკუნეში ჩნდება და ძვ. წ. IX[304] საუკუნის ჩათვლით არსებობს.

შინამოსაქმეობასთან და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები

ბრინჯაოს სადგისები თრელის სამაროვანზე სულ სამი ცალია აღმოჩენილი. მათგან ორი ცალი ძვ. წ. XIII—XII ს. ს. № 52 ორმოსამარხიდანაა (ნახ. 70), ერთი კი (სამარხი № 49), ძვ. წ. IX საუკუნეს მიეკუთვნება. ყველა მათგანი ოთკუთხა განივკვეთიანია და თავსა და ბოლოსაკენ ვიწროვდება.

მსგავსი სადგისები ძირითადად ძვ. წ. XIV[305]—XII[306] ს. ს.-ის ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი.

ბრინჯაოს მახათი თრელის ძვ. წ. XIII—XII ს. ს-ის სამარხებში აღმოჩენილია 14 ცალი[307]. ყუნწის დამზადების მიხედვით ისინი ორი სახისაა: ე. წ. თავჩაბრუნებული[308] (ნახ. 45, 53) და ჩვეულებრივი — გაბრტყელებულ ბოლოზე ნახვრეტით[309] (ნახ. 48). აღსანიშნავია, რომ მახათების ნაწილს ყუნწი დაზიანებული აქვს, რის გამოც მათი ტიპის დადგენა ვერ ხერხდება[310]. ორივე ტიპის მახათები თრელის სამაროვანზე ძვ. წ. XIII ს-დან ჩნდება, სამოავროს სამაროვანზე კი ისინი უკვე ძვ. წ. XIV ს. სამარხებშია დადასტურებული[311]. თავჩაბრუნებული მახათები შიდა ქართლურ კულტურაში ძვ. წ. XIV—XII სს-ის ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი, თუმც, შედარებით იშვიათად, ისინი ძვ. წ. IX საუკუნემდე არსებობენ. გამონაკლისს წარმოადგენს სამთავროს ჩრდ. უბნის № 112 სამარხი, რომელიც ძვ. წ. VIII—VII სს-ით თარიღდება. ძვ. წ. VIII ს-დან კი მარტო მეორე ტიპის მახათები ვვხვდება.

---

301 კ. ფიცხელაური. იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე..., გვ. 74, 75 მისივე, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის... გვ. 179.

302 სამთავროს №№ 80 და 228 ორმოსამარხები. R. Abramichvili, La nécropole de Samthavro, გვ. 45-ქრონოლოგიური ტაბულა. შეადარეთ კ. ფიცხელაური. იორ-ალაზნის ტერიტორიაზე..., გვ. 75.

303 სამთავროს № 151 ორმოსამარხი, კ. ფიცხელაური. იქვე.

304 თრელის № 73 სამარხი.

305 სამთავროს №№ 26, 58, 280 და სხვ. ორმოსამარხები. ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის უძველესი..., გვ. 88.

306 სამთავროს № 240 სამარხი, რ. აბრამიშვილი. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და ..., ტაბ. I_{208}, 209.

307 სამარხები №№ 10, 12, 14, 29, 34, 36, 62, 80, 86, 95, 96, 100, 103, 116.

308 სამარხები №№ 10, 34, 80.

309 სამარხი № 12.

310 სამარხები №№ 14, 29, 36, 62, 86.

311 ტ. ჩუბინიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 88.

კ ვ ი რ ი ს ტ ა ვ ი თრელის სამაროვანზე აღმოჩენილია 4 ცალი[312]. სამარხები, რომლებშიც ისინია მოპოვებულ ძვ. წ. XIII—XII სს-ით თარიღდება. აღნიშნული კვირისტავები კონუსისებური ფორმისაა (ნახ. 70) და ქვიშაქვისაგანაა დამზადებული.

ტაბუხის ძვლისაგან დამზადებული ამ ფორმის კვირისტავი უკვე ადრებრინჯაოს ხანიდან ჩნდება[313]. ანალოგიური კვირისტავი სამთავროს სამაროვანზე ძვ. წ. XIV საუკუნის სამარხშია აღმოჩენილი[314].

ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ს ა კ ი ნ ძ ე ბ ი თრელის სამაროვანზე 1970—1972 წ. წ. გათხრილ ძვ. წ. XIII—XII ს. ს. სამარხებში 17 ცალია აღმოჩენილი[315]. მათ შორის 16 სოკოსებურთავიანია, ერთს (№ 658) კი, სხვებისაგან განსხვავებით, თავზე ხუთი კოპი აზის (ნახ. 64). საკინძები, როგორც სადა, ისე კოპიანი შიდა ქართლურ კულტურაში ძვ. წ. XIII—XII სს. ძეგლებზე[316] (სამთავრო[317], ნარეკვავი[318], კასპი[319] და სხვა) გვხვდება.

ბ რ ი ნ ჯ ა ო ს გ ა რ ს ა კ რ ა ვ ე ბ ი აღმოჩენილია თრელის № 10 (№ 485, (ნახ. 45) და № 80 სამარხებში, რომლებიც ძვ. წ. XIII—XII ს. ს-ით თარიღდება. ყველა მათგანი რომბისებური ფორმისაა, დამზადებულია ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან და შემდეგ არის მორკალური. აღნიშნულ ვარსაკრავებზე ორნამენტი პუნსონის ტექნიკითაა დატანილი. მსგავსი ფორმის ვარსაკრავები ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ლოჭინის ხევის მარცხენა ნაპირზე აღმოჩენილ თანადროულ სამარხიდან. აღსანიშნავია, რომ ამ გარსაკრავებზეც ორნამენტი იგივე ტექნიკითაა დატანილი[320].

ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ბ ე ჭ ე დ ი აღმოჩენილია ძვ. წ. XIII—XII ს. ს. დათარიღებულ № 10 სამარხში (№ 484, (ნახ. 45). იგი დამზადებულია ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან. ბეჭედს შუა ნაწილში ორი რელიეფური ზოლი დაუყვება. ანალოგიური ბეჭდები სინქრონული ძეგლებიდან ცნობილი არ არის.

ს ა მ ხ ა რ ი ღ ლ ი ე თ ა ს მ ი ს ბ რ ი ნ ჯ ა ო ს რ გ ო ლ ი თრელის სამაროვანზე აღმოჩენილია 6 ცალი[321]. მათ შორის № 41 სამარხის რგოლი (ნახ. 62) თანმხლები ინვენტარის მიხედვით თარიღდება ძვ. წ. XII ს-ის მეორე ნახევრით, დანარჩენები კი — ძვ. წ. XI—IX საუკუნეების ფარგლებში ექცევა. სხვებისაგან განსხვავებით № 41 სამარხის რგოლი ორნამენტირებულია. სამხარიღლიე თასმის ბრინჯაოს რგოლები ამიერკავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბევრ ძეგლზეა აღმოჩენილი. ეს რგოლები დაკავშირებულია საბრძოლო იარაღის აკაზმულობასთან და ჩვეულებრივ წარჩინებული მეომრების სამარხებში გვხვდება[322].

---

[312] სამარხები №№ 52 (№ 686), 103, 105, 118.

[313] ღრმახევისთავის სამარხი № 54.

[314] ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 88.

[315] სამარხები №№ 9 (№ 463, 464), 10 (№№ 487, 491), 12 (№№ 527, 528), 36 (№№ 585, 586), 38 (603, 604), 39 (№ 622), 44 (№ 658), 45 (№№ 670, 671).

[316] რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ზოგიერთი ბრინჯაოს ხანი. სა და .. გვ. 137, 138.

[317] ორმოსამარხები №№ 44 (5 უბანი), 84, 87, 164, 240, 247.

[318] ნ. ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე. ნარეკვავის სამაროვანი. გვ. 215, ტაბ. VII_1.

[319] მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე. კასპის სამაროვანი. ტაბ. I_3, 8.

[320] მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წინაფეოდალური ხანის ქართული მატერიალური კულტურის განყოფილებაში.

[321] №№ 28, 30, 41 (№ 640), 49, 71 და 119 სამარხები.

[322] რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი..., გვ. 134, ტაბ. 1.

მ ძ ი ვ ე ბ ი[323]. დიღმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ თრელის სამაროვანზე გათხრილ და შესწავლილ ბრინჯაო-ადრერკინის ხანის 114 სამარხიდან მძივები აღმოჩენილია 60 სამარხში[324] 3311 ერთეულის რაოდენობით.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია მძივები შუაბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული ძვ. წ. XI ს-მდე. ისინი მოპოვებულია ამ პერიოდის 38 სამარხში[325] 2081 ერთეულის რაოდენობით. ამ სამარხებიდან სამი შუაბრინჯაოს ხანით არის დათარიღებული[326] ერთი — საკუთრივ გვიანბრინჯაოს ხანით (დაახლოებით ძვ. წ. XIV ს)[327], ხოლო 34 სამარხი კი ძვ. წ. XIII—XII სს-ით[328].

მძივების შემადგენლობაში შედის: სარდიონის (1828 ც.)[329], კვარცის (4 ც)[330], ქალცედონის (2 ც.[331]), რიყის ქვის (1 ც.)[332], პასტის (196 ც.)[333], მინისებური პასტის (5 ც.)[334], მინის (14 ც.)[335], მოჭიქული ფაიანსის (8 ც.)[336], ძვლის (6 ც.)[337], ანთიმონის (8 ც.)[338], ბრინჯაოს (5 ც.)[339], ოქროსა (2 ც.)[340] და ნიქარის (1 ც.)[341] მძივები[342].

ქვემოთ მასალა განხილულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

აღნიშნული მძივებიდან ყველაზე ადრეულია შუაბრინჯაოს ხანის №№ 43, 53 და 104 სამარხებში აღმოჩენილი მძივები. სარდიონის ერთი და პასტის ორი მძივი აღმოჩენილია № 43 სამარხში, სარდიონის ექვსი და ნიქარის ერთი მძივი — № 53 სამარხში, ხოლო სარდიონის ერთი მძივი — № 104 სამარხში.

---

[323] თრელის სამაროვნის მძივები დამუშავებულია ნ. ოქროპირიძის მიერ.

ეს ნაწილი, არქიტექტონიკის თვალსაზრისით რამდენადმე განსხვავებულია სხვა პარაგრაფებისაგან და ფაქტიურად დამოუკიდებელ ნაშრომს წარმოადგენს (რედაქტორი).

[324] სამარხები №№ 6, 9, 10, 11, 12, 14, 16, 23, 24, 29, 35, 36 38, 41, 42, 43, 45, 46, 47, 49, 50, 53, 60, 62, 64, 65, 66, 67, 76, 79, 80, 83, 86, 88, 89, 90, 91, 93, 94, 95, 96, 98, 100, 101, 103, 105, 107, 108, 109, 113, 114, 116, 117, 118, 119, 120, 121, 126.

[325] სამარხები №№ 9, 10, 11, 12, 14, 35, 36, 38, 41, 42, 43, 45. 50, 53, 62, 64, 65, 80, 83, 86, 88, 89, 91, 93, 94, 95, 96, 103, 104, 105, 108, 113, 114, 116, 117, 118, 121, 126.

[326] სამარხები №№ 43, 53, 104.

[327] სამარხი № 42.

[328] სამარხები №№ 9, 10, 11, 12, 14, 35, 36, 38, 41, 45, 50, 62, 64, 65, 80, 83, 86, 88, 89, 91, 93, 94, 95, 96, 103, 105, 108, 113, 114, 116, 117, 118, 121, 126.

[329] სამარხები №№ 9, 10, 11, 12, 14, 35, 36, 38, 41, 42, 43, 45, 50, 53, 62, 64, 65, 80, 83, 86, 88, 89, 91, 93, 94, 95, 96, 103, 105, 108, 114, 116, 117, 118, 121, 126.

[330] სამარხები №№ 64, 88.

[331] სამარხი № 42.

[332] სამარხი № 80.

[333] სამარხები №№ 9, 10, 11, 14, 36, 38, 42, 43, 45, 62, 65, 80, 83, 93, 94, 95, 96, 108 113, 121, 126.

[334] სამარხები №№ 9, 10, 36.

[335] სამარხები №№ 41, 80, 103, 105.

[336] სამარხები №№ 9, 96.

[337] სამარხები №№ 93, 94.

[338] სამარხი № 91.

[339] სამარხი № 126.

[340] სამარხები №№ 89, 108.

[341] სამარხი № 53.

[342] ქვის ჯიშები განსაზღვრულია ვიზუალურად

ამ პერიოდის სარდიონის მძივებიდან სამი ბირთვისებურია[343], სამი — მანდარინისებური[344], ერთი — კასრისებური[345] და ერთი — დაბალცილინდრული[346]. პასტის მძივებიდან ერთი ბორბლისებურია, ხოლო მეორე კი — დაბალცილინდრული[347].

საკუთრივ გვიანი ბრინჯაოს ხანის (დაახლოებით ძვ. წ. XIV ს.) № 42 სამარხში აღმოჩენილია სარდიონის 48, ჭალცედონის 2 და პასტის 7 მძივი.

სარდიონის მძივებიდან ერთი ბირთვისებურია, ორი — მანდარინისებური, ერთი — კასრისებური და ოცდათვრამეტი — დაბალცილინდრული.

ჭალცედონის ორივე მძივი დაბალცილინდრულია და ასიმეტრიულგვერდებიანი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჭალცედონის მძივები ძვ. წ. XIV ს-ის შემდეგ თრელის სამაროვანზე აღარა გვხვდება.

№ 42 სამარხში აღმოჩენილი პასტის მძივები თეთრი ფერისა და ცილინდრული ფორმისაა. ერთი მათგანი მოგრძოა, ექვსი კი შედარებით მოკლე.

როგორც დავინახეთ, თრელის სამაროვანზე შუა და საკუთრივ გვიანი ბრინჯაოს ხანის მძივები მცირე რაოდენობით არის მოპოვებული (60 ცალი). აქ აღმოჩენილი მძივების უმრავლესობა ქრონოლოგიურად მომდევნო პერიოდზე (ძვ. წ. XIII—XII სს.) მოდის. ამ ხანის 34 სამარხში[348] აღმოჩენილია 2020 მძივი, რომელიც სხვა პერიოდის მძივებისაგან გამოირჩევა მასალისა და ფორმების მრავალფეროვნებით.

ამ პერიოდის მძივების შემადგენლობაში შედის: სარდიონის (1778 ც), კვარცის (4 ც), რიყის ქვის (1 ც), პასტის (187 ც.), მინისებური პასტის (5ც), მინის (14 ც.), მოჭიქული ფაიანსის (9 ც), ძვლის (6 ც.), ანთიმონის (8 ც.), ბრინჯაოსა (5 ც. და ოქროს (2 ც) მძივები.

სარდიონის მძივებს შორის ფორმის მიხედვით გვხვდება: ბირთვისებური (125 ც.)[349], მანდარინისებური (529 ც.)[350], დაბალცილინდრული (770 ც.[351], მათ შორის ზოგიერთს კონუსისებური მოყვანილობა აქვს —123 ც.)[352], კასრისებური (15 ც.)[353], ბიკონუსური (81 ც.)[354], სწორკუთხა (3 ც.)[355], მოგრძოცილინდრული (4 ც.)[356] დისკოსებური (2 ც.)[357], ოვალური ექვსწახნაგა (8 ც.)[358],

---

[343] სამარხი № 53.
[344] სამარხები №№ 43, 53, 104.
[345] სამარხი № 53.
[346] სამარხი № 53.
[347] სამარხი № 43.
[348] სამარხები №№ 9, 10, 11, 12, 14, 35, 36, 38, 41, 45, 50, 62, 64, 65, 80, 83, 86, 88, 89, 91, 93, 94, 95, 96, 103, 105, 108, 113, 114, 116, 117, 118, 121, 126.
[349] სამარხები №№ 9, 12, 36, 38, 45, 80, 83, 86, 95, 96, 103, 108, 116, 121, 126.
[350] სამარხები №№ 9, 10, 12, 14, 36, 38, 45, 50, 62, 65 80, 83, 86, 95, 96, 103, 116, 121, 126
[351] სამარხები №№ 9, 11, 12, 14, 36, 38, 50, 64, 65, 45, 62, 80, 83, 86, 88, 91, 93, 94, 95, 96, 103, 105, 116, 118, 121, 126.
[352] სამარხები №№ 9, 12, 38, 62, 65, 86, 88, 96, 103, 105, 116, 126.
[353] სამარხები №№ 50, 65, 86, 91, 96, 116, 126.
[354] სამარხები №№ 14, 38, 45, 50, 80, 86, 93, 96, 103, 114, 116, 118, 126.
[355] სამარხები №№ 12, 80, 96.
[356] სამარხები №№ 12, 45, 65.
[357] სამარხი № 80.
[358] სამარხები №№ 38, 45, 80, 86, 103, 105, 126.

მსხლისებური (4 ც.)[359], ნავისებური (4 ც.)[360], ცრემლისებური (22 ც.)[361], შინდისებური (82 ც.)[362] და ნახევრადოვალური (3 ც.)[363] მძივები.

კვარცის მძივები დაბალცილინდრულია (4 ც.)[364], რიყის ქვისა კი მსხლისებური საკიდია (1 ც.)[365].

პასტის მძივებს შორის გამოირჩევა შემდეგი ფორმები: დაბალცილინდრული (26 ც.)[366], მოგრძოცილინდრული (4 ც.)[367], მოკლეცილინდრული იოტები (19 ც.)[368], მორგვისებური (1 ც.)[369], შინდისებური (2 ც.)[370], კასრისებური (16 ც.)[371], ხერხემლისმალისებური (2 ც.)[372], ბიკონუსური (54 ც.)[373], ვიოლინოსებური (1 ც.)[374], მანდარინისებური (3 ც.)[375], რომბისებური (3. ც.)[376] და ოდნავ მოგრძო ბრტყელი (ორი მოპირდაპირე გვერდი ბრტყელი აქვს, დანარჩენი ორი გვერდი კი მომრგვალებული (1 ც.)[377].

მინისებური პასტის მძივებს შორის გვხვდება: კასრისებური (1 ც.)[378], ნავისებური (2 ც.)[379] და ბორბლისებური ირგვლივ სიმეტრიულად განლაგებული ოთხი კონუსური კოპით (2 ც.)[380].

მინის მძივებიდან ერთი ნავისებურია[381], ცხრა — ბორბლისებური[382], სამი მანდარინისებური[383] და ერთი — ბირთვისებური[384].

მოჭიქული ფაიანსის მძივებიდან ორი შინდისკურკისებური მოყვანილობისაა და სიგრძეზე ირიბადაა დაღარული[385], შვიდი კი ბიკონუსურია[386].

ანთიმონის მძივები კუსჯავშნისებურია (8 ც.)[387], ძვლის მძივები ცილინდრულია (6 ც.)[388], ბრინჯაოს მძივები ნახევარწრისებურია (5 ც.)[389], ხოლო ოქროს მძივები შინდისებური მოყვანილობისაა (2 ც.)[390].

---

359 სამარხები №№ 89, 96, 116.
360 სამარხები. №№ 80, 83, 95, 96.
361 სამარხები №№ 96, 118.
362 სამარხები №№ 9, 10, 12, 14, 36, 38, 41, 45, 50, 65, 80, 86, 89, 95, 96, 117, 121, 126.
363 სამარხები №№ 35, 116.
364 სამარხები №№ 64, 88.
365 სამარხი № 80.
366 სამარხები №№ 9, 45, 62, 65, 80, 83, 95, 121, 126.
367 სამარხი № 80.
368 სამარხები №№ 36, 62, 80, 83, 94, 121.
369 სამარხი № 9.
370 სამარხები №№ 10, 62.
371 სამარხები №№ 9, 10, 11, 38, 62, 65.
372 სამარხი № 10.
373 სამარხები №№ 9, 10, 34, 62, 65, 80, 83, 108, 121.
374 სამარხი № 9.
375 სამარხები №№ 14, 62.
376 სამარხები №№ 94, 113.
377 სამარხი № 96.
378 სამარხი № 38.
379 სამარხები №№ 9, 10.
380 სამარხი № 36.
381 სამარხი № 80.
382 სამარხები №№ 41, 80.
383 სამარხი № 103.
384 სამარხი № 105.
385 სამარხი № 96.
386 სამარხები № 9, 96.
387 სამარხი № 91.
388 სამარხები № № 93, 94.
389 სამარხი № 126.
390 სამარხები №№ 89, 108.

რადგან შუაბრინჯაოს ხანის სარდიონის მძივების ფორმები მეორდება, როგორც საკუთრივ გვიანი ბრინჯაოს ხანის, ისე ძვ. წ. XIII—XII საუკუნეებში, ამიტომ ქვემოთ ისინი ერთად გვაქვს განხილული.

თრელის სამაროვნის სარდიონის მძივები დამზადებულია ოთხი სახის სარდიონისაგან: 1. ბზაროვანი მოწაბლისფრო-მონარინჯისფრო და მოწითალო-მოყავისფრო, 2. მოწითალო-მოწაბლისფრო, ყავისფერძარღვებიანი და ლაქებიანი, 3. ნახევრად გამჭვირვალე ღია ვარდისფერი და მონარინჯისფრო-მოვარდისფრო და 4. მუქი წითელი.

სარდიონის ბირთვისებური მძივებიდან (ნახ. 44, ტაბ. XIX, XXVI, XXIX) სამი შუაბრინჯაოს ხანისაა (სამარხი № 53), ერთი საკუთრივ გვიან ბრინჯაოს ხანისა (სამარხი № 42), ხოლო 125 მძივი კი ძვ. წ. XIII—XII საუკუნეებით თარიღდება[391].

შუაბრინჯაოსა და საკუთრივ გვიანი ბრინჯაოს ხანის მძივები დამზადებულია მოწითალო-მოწაბლისფრო და მოწითალო-მონარინჯისფრო, ნახევრად შუქგამტარი, ყავისფერძარღვებიანი და შრეებიანი სარდიონისაგან. ახასიათებთ ორმხრივ ნაკეთები ბიკონუსური ნახვრეტი, ნახვრეტთან მომრგვალებული ნაპირები და ფაქიზად გახეხილ-გაპრიალებული ზედაპირი.

ძვ. წ. XIII—XII სს-ის მძივები კი დამზადებულია მოწაბლისფრო-მონარინჯისფრო, მოწითალო-მოყავისფრო, უმრავლეს შემთხვევაში გაუმჭვირვალე, ბზაროვანი და ნახევრად გამჭვირვალე, მოწითალო-მონარინჯისფრო და მოწითალო-მოწაბლისფრო, ყავისფერძარღვებიანი და შრეებიანი სარდიონისაგან. მათგან ბზაროვანი სარდიონის მძივებს, როგორც წესი, ბიკონუსური ნახვრეტი აქვთ, ხოლო ნახევრად გამჭვირვალე სარდიონის მძივებში კი გვხვდება როგორც კონუსური, ასევე ბიკონუსური ნახვრეტი. სარდიონის ბირთვისებური მძივები საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილია ადრე ბრინჯაოს ხანიდან. ისინი ნაპოვნია ურბნისში ამ პერიოდის ტვლეპიაწყაროს სამაროვნის № 2 სამარხში[392], შუაბრინჯაოს ხანის (თრიალეთის[393], არდასუბნის[394] და საკობიანოს[395]) ყორღანებში და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის (ბეშთაშენის[396], სამთავროს[397], კასპის[398], ნარეკვავის[399], მადნისჭალის[400], თლის[401], სტირფაზის[402], მინგეჩაურისა[403] და ართიკის[404]) სამაროვნებზე.

---

[391] სამარხები №№ 9, 12, 36, 38, 45, 80, 83, 86, 95, 96, 103, 108, 116, 121, 126.

[392] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი. ურბნისი I. თბილისი, 1962, გვ. 37.

[393] Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, с. 93; ე. გოგაძე. თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბილისი, 1972, გვ. 46, 47.

[394] ნ. თუშიშვილი. არდასუბნის შუაბრინჯაოს ხანის სამარხი. მაცნე, თბილისი, 1967, გვ. 288.

[395] შ. დედაბრიშვილის მიერ საკობიანოში (კახეთი) გათხრილ № 21 სამარხში აღმოჩენილია წითელი სარდიონის ფაქიზად დამუშავებული ბირთვისებური მძივი.

[396] Б. А. Куфтин. დასახ. ნაშრ. გვ. 339, ტაბ. LII.

[397] ტ. ჩუბინიშვილი. მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი, 1957, გვ. 92—94.

[398] მ. ბარამიძე. კასპის სამაროვანი. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, თბილისი 1965, გვ. 55—56 .

[399] ნ. ოქროპირიძე. ნარეკვავის სამაროვანი. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ. შრ. ტ. VII, თბილისი, 1963, გვ. 217. ტაბ. VII.

[400] ნ. თუშიშვილი. მადნისჭალის სამაროვანი. თბილისი, 1972, გვ. 23—58.

[401] Б. В. Техов. Очерки древней истории и археологии Юго-Осетии, Тбилиси, 1971, Рис. 61.

[402] Б. В. Техов. Стырфазские кромлехи, Цхинвали, 1974 рис. 24.

[403] Г. М. Асланов, Р. М. Ваидов, Г. И. Ионс. Древний Мингечаур. Баку, 1959, с. 150, 151.

[404] Т. С. Хачатрян. Материальная культура древнего Артика. Ереван, 1963, с. 85, 87.

სარდიონის მანდარინისებრი მძივები თრელის სამაროვანზე აღმოჩენილია 534 ცალი (ნახ. 44, 45, 48, 50, 56 58, ტაბ. XV, XXII, XXVI, XXIX, XXX, XXXVI). ამ ტიპის მძივებიდან სამი შუაბრინჯაოს ხანისაა (სამარხები №№ 43, 53, 104), ორი-ძვ. წ. XIV საუკუნის (სამარხი № 42), ხოლო 529 ცალი — ძვ. წ. XIII—XII საუკუნეების[405]. ფერადი ტაბ. $IX_{1,2}$

შუაბრინჯაოს ხანის მძივებიდან ერთი მოწითალო-მონარინჯისფროა, ყავისფერძარღვებიანი, ნახევრად გამჭვირვალე სარდიონისა (სამარხი № 43), მეორე — მოწითალო-მოწაბლისფროა ყავისფერძარღვებიანი და შრეებიანი სარდიონის (სამარხი № 53), ხოლო მესამე კი მოწითალო გაუმჭვირვალე სარდიონის (სამარხი № 104). სამივე მათგანს ცალი მხრიდან გაკეთებული კონუსური ნახვრეტი აქვს. ერთი მათგანი ფაქიზად არის დამუშავებული (სამარხი № 53) ორი კი — უხეშად.

ძვ. წ. XIV ს-ის მძივები დამზადებულია მოწითალო-მონარინჯისფრო ნახევრად გამჭვირვალე, ყავისფერძარღვებიანი სარდიონისაგან. აქვს ცალი მხრიდან გაკეთებული კონუსური ნახვრეტი და ფაქიზად დამუშავებული ზედაპირი.

ძვ. წ. XIII—XII საუკუნის მძივები დამზადებულია ნახევრად გამჭვირვალე, ღია ვარდისფერი სარდიონისაგან და დაბალხარისხოვანი, ნახევრად გამჭვირვალე, მონარინჯისფრო-მოწაბლისფრო და გაუმჭვირვალე მოწითალო-მოყავისფრო, ბზაროვანი სარდიონისაგან. ბზაროვანი სარდიონის ყველა მძივს ორი მხრიდან გაკეთებული ბიკონუსური ნახვრეტი აქვს[406]. ხოლო ღია ვარდისფერი სარდიონის მძივებს კი — ცალი მხრიდან გაკეთებული კონუსური ნახვრეტი[407]. ღია ვარდისფერი და ბზაროვანი სარდიონის მონარინჯისფრო-მოწაბლისფრო მძივები ფაქიზადაა დამუშავებული, ხოლო ბზაროვანი სარდიონის მოწითალო-მოყავისფრო მძივები კი უხეშად.

თრელის სამაროვნის ძვ. წ. XIII—XII სს-ის მანდარინისებური მძივებიდან ორი სიგრძივ დაღარული ხაზებით არის შემკული (სამარხები №№ 45, 96). № 96 სამარხში სიგრძივ დაღარულ მანდარინისებურ მძივებთან ერთად აღმოჩენილია გადამკვეთი ხაზებით დაღარული პატარა ცილინდრული მძივი, ხოლო ამავე პერიოდის № 126 სამარხში კი — ოვალური ექვსწახნაგა მძივი, რომელიც თითო წახნაგზე თითო ამოღარული ხაზით არის შემკული.

თრელის სამაროვნის ძვ. წ. VIII—VII სს-ით დათარიღებულ № 20 სამარხში კი აღმოჩენილია ერთი პარკეტული და ერთი წიწვოვანი ამოღარული ხაზებით შემკული ბირთვისებური მძივი. ფერადი ტაბ. IX_2

სარდიონის დაღარული მძივები ცნობილია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სხვა ძეგლებიდანაც. ასე, მაგალითად, ერთი ნაპირებთან ირგვლივ დაღარული დაბალცილინდრული სარდიონის მძივი აღმოჩენილია სამთავროს ე. წ. გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის № 264 სამარხში[408]. ორ მოპირდაპირე გვერდზე ამოღარული გრძივი ხაზებით შემკული სარდიონის ოვალური ექვსწახნაგა მძივები აღმოჩენილია ართიკის სამაროვანზე ძვ. წ. XIII—XII სს-ის სამარხებში[409]. სარდიონის სიგრძივ დაღარული და პარკეტული სახეებით შემ-

---

[405] სამარხები №№ 9, 10, 12, 14, 36, 38, 45, 50, 62, 65, 80, 83, 86, 88, 95, 96, 103, 116, 121, 126.

[406] სამარხები №№ 9, 10, 12, 14, 36, 38, 45, 50, 62, 65, 80, 83, 86, 88, 95, 103, 121, 126.

[407] სამარხები №№ 65, 88, 95, 96, 103, 121.

